ევროკავშირი საქართველოსთვის

CSRDG

KONRAD ADENAUER STIFTUNG

საქართველოში კორპორაციული პასუხისმგებლობის განვითარების ეროვნული ჩარჩო

რეკომენდაციები საქართველოს მთავრობას

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

ევროკავშირი საქართველოსთვის

CSRDG

KONRAD ADENAUER STIFTUNG

საქართველოში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარების ეროვნული ჩარჩო

რეკომენდაციები საქართველოს მთავრობას

თბილისი

2023

ნაშრომი შექმნილია საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის (CSRDG) მიერ, ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის „**სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა**: *მდგრადი, ღია და ანგარიშვალდებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები საქართველოს განვითარებისთვის*“ ფარგლებში. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG) და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის შეხედულებებს.

პროექტს „სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა“ ახორციელებს კონსორციუმი კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) ხელმძღვანელობით შემდეგ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად - საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG), სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი (CSI), კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრი (CTC), განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი (EDEC) და ევროპული პოლიტიკის ინსტიტუტი (IEP).

ნაშრომი მოამზადეს:

გიორგი პაპავა

დავით მაისურაძე

ქეთრინ ჰინი

აუდრონე ალიოშიუტე

ლელა ხოფერია

დანართის ავტორი: თომას სერკოვიჩი

სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა

© 2023, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

შინაარსი

მოკლე მიმოხილვა 6

I. შესავალი 12

II. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა (CSR): გლობალური და ადგილობრივი კონტექსტი 18

1. რა არის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა? 18

2. რატომ არის CSR-ი მნიშვნელოვანი და რა სარგებელი მოაქვს მას სახელმწიფოსთვის, საზოგადოებისა და კომპანიებისთვის 20

3. CSR-ის შესახებ ევროპული და მსოფლიო კონტექსტის მოკლე მიმოხილვა 22

4. CSR-ის მთავარი მოვლენები, ტენდენციები და სტანდარტები 26

5. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა ეროვნულ და ორგანიზაციულ დონეებზე 32

6. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა საქართველოში 39

III. საქართველოში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მხარდაჭერის სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები 46

მიზანი 1. CSR-ის განვითარებისკენ მიმართულ ქმედებათა კოორდინირება სახელმწიფო უწყებებსა და დაინტერესებულ მხარეებს შორის 47

1.1 კორპორაციული პასუხისმგებლობის დანერგვაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყების შექმნა და საჯარო მოხელეთა ცოდნისა და უნარების განვითარება CSR-ის საკითხებზე 47

1.2 კორპორაციული პასუხისმგებლობისა და მდგრადობის საკითხებზე დაინტერესებულ მხარეთა დიალოგისა და სექტორთაშორისი თანამშრომლობის ხელშეწყობა 50

1.3 კორპორაციული პასუხისმგებლობის განვითარების მონიტორინგი და შედეგების შეფასება ქვეყნის მასშტაბით 55

მიზანი 2. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობისა და მდგრადობის მხარდაჭერის ღონისძიებათა გატარება 58

2.1 ფისკალური ინსტრუმენტების გამოყენება კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის წახალისებისთვის 59

2.2 კორპორაციული პასუხისმგებლობის მხარდაჭერა მცირე და საშუალო საწარმოებში 63

2.3 კორპორაციული პასუხისმგებლობის დანერგვა სახელმწიფო საწარმოებში 68

2.4 მწვანე ეკონომიკა და ბიზნესის წახალისება გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის მიმართულებით 73

2.5 საჯარო შესყიდვების პროცესში მდგრადობის კრიტერიუმის ინტეგრირება 77

მიზანი 3. კორპორაციული პასუხისმგებლობის შესახებ ცოდნის შექმნა, შესაძლებლობათა გაძლიერება და გამოცდილების გაზიარება 83

3.1 კორპორაციული პასუხისმგებლობის სწავლების დანერგვა საუნივერსიტეტო სისტემაში..... 83

3.2 ცნობიერების ამაღლება, ცოდნისა და ინფორმაციის მიწოდება კომპანიებისა და საზოგადოებისათვის 88

3.3 კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის საუკეთესო მაგალითების გაზიარება და კომპანიათა მოტივირება 92

3.4 გამჭვირვალობის მხარდაჭერა და 96

3.5 კარგი კორპორაციული მმართველობის განვითარება და ორგანიზაციის საქმიანობის უარყოფითი ზეგავლენის შეფასება და მართვა (sustainability due diligence) 102

3.6 პასუხისმგებელი ბიზნესსაქმიანობისა და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის მხარდაჭერა..... 107

დანართი..... 114

დამოწმებული ლიტერატურა 118

მოკლე მიმოხილვა

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს საქართველოში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) განვითარების ეროვნულ ჩარჩოს. მისი მიზანია საქართველოში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობისა და მდგრადობის ხელშემწყობი პოლიტიკის შეფასება და ამ მიზნით საქართველოს მთავრობისთვის რეკომენდაციების შეთავაზება. დოკუმენტში განხილულია კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ძირითად საკითხებთან დაკავშირებით საქართველოში არსებული მდგომარეობა და საუკეთესო პრაქტიკის გასაცნობად ევროპული სახელმწიფოების გამოცდილება.

დოკუმენტის პირველ ნაწილში წარმოდგენილია კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის გლობალური და ეროვნული კონტექსტი, ხოლო მეორე ნაწილში – CSR-ის პრიორიტეტული მიმართულებებში არსებული მდგომარეობისა და საერთაშორისო გამოცდილების განხილვა. საქართველოში CSR-ის ხელშემწყობი პოლიტიკის შემუშავების მიმართულებით იდენტიფიცირებულია სამი ძირითადი სტრატეგიული სფერო: სახელმწიფო უწყებებსა და სოციალურ პარტნიორებს შორის თანამშრომლობის განვითარება, კერძო სექტორში CSR-ის და მდგრადობის წამახალისებელი პოლიტიკის შემუშავება და CSR-ში ჩართული მხარეების კომპეტენციების განვითარება.

საქართველოში არსებული მდგომარეობის შესწავლის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ კერძო სექტორის საქმიანობაში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ინტეგრირების პრაქტიკა ნაკლებად არის განვითარებული, ამ მიმართულების ხელშეწყობისათვის არ არსებობს სახელმწიფოს ერთიანი პოლიტიკა, ხოლო საზოგადოებაში ინფორმაციის ნაკლებობაა, ზოგადად, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობისა და მისი დადებითი ეფექტების შესახებ.

ხაზგასასმელია, რომ კომპანიების საქმიანობაში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ინტეგრირების სახელმწიფო პოლიტიკა ყველაზე მეტად საფინანსო სექტორშია განვითარებული. მწვანე ეკონომიკის განვითარებისა და ამ პროცესში კერძო სექტორის ჩართულობის ზრდისათვის ეროვნულმა ბანკმა შეიმუშავა მდგრადი დაფინანსების ტაქსონომია. ამასთან, მხოლოდ საფინანსო სექტორშია გათვალისწინებული კომერციული ბანკების ვალდებულება, წარადგინონ გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) საკითხების ანგარიშები. ეროვნული ბანკის მიერ საფინანსო ინსტიტუტებისათვის შემუშავებული ანგარიშგების სისტემაც ითვალისწინებს სოციალური და გარემოსდაცვითი მიმართულებებით უარყოფითი ზეგავლენის შეფასების საჭიროებას, რაც მოიცავს ESG საკითხებთან დაკავშირებული რისკების იდენტიფიცირების, მართვისა და დაძლევის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებას.

სახელმწიფოს მხრიდან კომპანიებისა მდგრადობის წახალისების მიმართულებით კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ინიციატივა იყო 2023 წლის ივნისში საჯარო შესყიდვების შესახებ

ახალი კანონის მიღება, რომელიც საქართველოში მდგრადი საჯარო შესყიდვების სისტემის დანერგვას ითვალისწინებს. ამ კანონის აღსრულება და ოთხ პრიორიტეტულ სფეროში საჯარო შესყიდვებში მდგრადობის კრიტერიუმის გათვალისწინება 2025 წლიდან გახდება სავალდებულო. ამასთან, ქვეყანაში ნაკლებად არის განვითარებული მდგრადობის წამახალისებელი საგადასახადო ინსტრუმენტები და ერთ-ერთი მექანიზმი, რომელიც საგადასახადო შეღავათების მიმართულებით მოქმედებს, კომპანიების საქველმოქმედო საქმიანობისთვის შეღავათების დაწესებაა.

CSR-ის მხარდაჭერის მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და კერძო სექტორში გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობისა და მწვანე ეკონომიკის საქმიანობის წახალისების საკითხები გათვალისწინებულია არაერთ სახელმწიფო სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში. საქართველოში დამატებით მოქმედებს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (მგვ) და გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ვალდებულების მექანიზმები.

კერძო სექტორის საქმიანობაში CSR-ის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობას 2022-2030 წლებისთვის საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია მოიცავს, რომელშიც გათვალისწინებულია ბიზნესსექტორში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის დაცვის მხრივ არსებული გარკვეული გამოწვევები და კომპანიებში ადამიანის უფლებათა დაცვის შესაბამისი სტანდარტების გაძლიერება. აღსანიშნავია, რომ ამ ეტაპისთვის სტრატეგიაში კონკრეტული მოქმედებები არ არის განსაზღვრული.

ზემოთ ხსენებული ინიციატივების მიუხედავად, როგორც აღინიშნა, საქართველოში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის დანერგვისა და განხორციელებისათვის აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან ერთიანი პოლიტიკის შემუშავება, ამ პროცესისათვის კოორდინაციის გაწევისა და შესაბამისი ხელშემწყობი ინსტრუმენტების გამოყენების საფუძველზე. ასევე მნიშვნელოვანია კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის საქმიანობაში ჩართული მხარეების ცნობიერების ამაღლება და მათი უნარების განვითარება. საქართველოში იდენტიფიცირებული გამოწვევებისა და საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლის საფუძველზე საქართველოს მთავრობამ რომ შეიმუშაოს CSR-ის ხელშეწყობის პოლიტიკა და სტრატეგია, დოკუმენტში წარმოდგენილია შემდეგი რეკომენდაციები:

- კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის დანერგვის კოორდინაციისათვის აუცილებელია **CSR-ის დანერგვაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყების შექმნა** ან ამ როლის რომელიმე უწყებისთვის მიკუთვნება. იმავდროულად საჭიროა განისაზღვროს ასეთი ორგანოს ადგილი სახელმწიფო მმართველობის ორგანოების სისტემაში. საქართველოს შემთხვევაში, მისი შექმნა შესაძლებელია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ფარგლებში, თუმცა აუცილებელია სხვა სამინისტროებთანაც მჭიდრო კოორდინაცია სოციალურ, ჯანდაცვის, გარემოს დაცვისა და სხვა საკითხებთან დაკავშირებით. დამატებით მნიშვნელოვანია არა მხოლოდ უწყების შექმნა, არამედ მისი დაკომპლექტება შესაბამისი კვალიფიკაციისა და ცოდნის მქონე კადრებით.

- კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის დანერგვის თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია **მხარეთა შორის დიალოგის წარმართვა**. დიალოგის ხელშეწყობისა და მისი ფორმალიზებისთვის არსებითია, რომ სახელმწიფომ შექმნას ინსტიტუციათაშორისი საბჭო და მოიწვიოს ბიზნესის, სამოქალაქო და სახელმწიფო სექტორისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა CSR-ის განვითარებაში ხელს უწყობს პროცესის გამჭვირვალობას და სანდოობას. წინამდებარე დოკუმენტში აღწერილია, რომ საქართველოსთვის აუცილებელია არა მხოლოდ CSR-ის განხორციელებაზე პასუხისმგებელი უწყების შექმნა, არამედ საბჭოს შექმნაც, სადაც წარმოდგენილი იქნებიან დაინტერესებული ჯგუფები სხვადასხვა სფეროდან და სექტორიდან. მნიშვნელოვანია ასეთი საბჭოს ჩართულობით სამოქმედო გეგმის შემუშავება, რომელიც გაითვალისწინებს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის საერთაშორისო მნიშვნელობის სტანდარტებს. აუცილებელია დიალოგის არსებულ პლატფორმებს მხარდაჭერა ჰქონდეთ სახელმწიფოს მხრიდან.

- იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში CSR-ის განვითარებისათვის მთავრობის სამოქმედო გეგმის შემუშავების საჭიროება გამოიკვეთა, ამ პროცესის მონიტორინგისა და შეფასების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების **ყოველწლიური მონიტორინგის ვალდებულების გათვალისწინება**. მნიშვნელოვანია, რომ CSR-ის კოორდინირების უწყებამ სამოქმედო გეგმის შესრულების ყოველწლიური ანგარიში გამოაქვეყნოს და CSR-ის დანერგვასთან დაკავშირებული გამოწვევები შეაფასოს. ასევე სასურველია პროცესის აღსრულების ზედამხედველობის პროცესში ჩართული იყოს საქართველოს პარლამენტი.

- კომპანიებში მდგრადობის მხარდაჭერისთვის **საგადასახადო შეღავათების სისტემების** საერთაშორისო გამოცდილების შესწავლის საფუძველზე გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის წასახალისებლად გამოიკვეთა განახლებადი ენერგიის მოხმარებაზე შეღავათიანი ტარიფის დაწესების, ასევე სამრეწველო სექტორიდან გაფრქვევების სამიზნე მაჩვენებლის განსაზღვრისა და განსხვავებული ტარიფების დაწესების მიმართულებები.

- კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის დანერგვის ხელშეწყობისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია **მცირე და საშუალო ზომის საწარმოების მხარდაჭერა**. CSR-ის დანერგვის მიმართულებით საწარმოების მხარდაჭერა სახელმწიფოს მხრიდან შეიძლება სხვადასხვა ფორმით იყოს გამოხატული, მაგალითად, საწარმოების ფინანსური წახალისება გრანტების სახით. აუცილებელია CSR-ის არსებულ კონკურსებთან ერთად ჩატარდეს ახალი კონკურსები, სადაც მოხდება კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პოპულარიზება, განსაკუთრებით, რეგიონულ დონეზე. მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისათვის საორიენტაციო და პროფესიული გადამზადების პროგრამების შექმნა, სადაც გათვალისწინებული იქნება

მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისათვის CSR-ის დანერგვის ფორმები და მეთოდები და მათი თანამშრომლების ახალი უნარებითა და ცოდნით აღჭურვის შესაძლებლობები.

- **სახელმწიფო საწარმოებში** არსებული პრობლემების აღმოფხვრის ერთ-ერთი ძირითადი საშუალება არის ასეთი საწარმოების საქმიანობაში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სტანდარტების დანერგვა. სახელმწიფო საწარმოების წინაშე არსებული ისეთი გამოწვევების გადაჭრის საშუალება, როგორიცაა პოლიტიკური ზეგავლენა, საწარმოების არაეფექტური მართვა, თანამშრომლების აყვანა არაობიექტური კონკურსების საფუძველზე, გარემოსდაცვითი სტანდარტების დარღვევა, არის სახელმწიფოს მხრიდან CSR-ის ფარგლებში ისეთი ქმედებების განხორციელება, როგორიცაა კორპორაციული მართვის კოდექსის შემუშავება, ეთიკის კოდექსისა და სხვა ანგარიშვალდებულების გამაძლიერებელი სამართლებრივი ბაზის შექმნა, ფინანსური გამჭვირვალობის უზრუნველყოფა ბიუჯეტიდან გამოყოფილ ფინანსურ სახსრებთან დაკავშირებით.

- მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში **მწვანე ეკონომიკის განვითარების** მიმართულება არაერთ სახელმწიფო სტრატეგიაშია გათვალისწინებული, ასევე შემუშავებულია მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (მგვ) მექანიზმის და გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ვალდებულების სისტემები, ქვეყანაში მაინც არ არსებობს მწვანე ეკონომიკაზე გადასვლის ერთიანი სტრატეგიული ხედვა. შესაბამისად, პირველ რიგში, მიზანშეწონილია ამ მიმართულებით სახელმწიფოს სტრატეგიული ხედვის შემუშავება. მნიშვნელოვანია მწვანე დაფინანსების და ინვესტიციების მოზიდვის მექანიზმების განვითარება. ასევე, მწვანე ეკონომიკაში მცირე და საშუალო მწარმოებლების ჩართულობის უზრუნველსაყოფად გამოიკვეთა „აწარმოე საქართველოს“ დაფინანსების არსებულ ინსტრუმენტებში მწვანე კრიტერიუმების ინტეგრირების საჭიროება.

- იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში საჯარო შესყიდვების საკანონმდებლო ჩარჩო **მდგრადი საჯარო შესყიდვების** განვითარების მიმართულებით საერთაშორისო სტანდარტებისა და ევროკავშირის კანონმდებლობის შესაბამისია, მნიშვნელოვანია მთავრობის პოლიტიკის მიმართვა ამ სისტემის ეფექტიან აღსრულებაზე, რაც მოიცავს: (1) საქართველოში საჯარო შესყიდვების დეცენტრალიზებული სისტემიდან გამომდინარე უწყებათაშორისი კოორდინაციისა და შესაბამისი კადრების უნარების განვითარების ხელშეწყობას; (2) სისტემის ეფექტიანი აღსრულებისათვის კომპანიების მდგრადი საქმიანობის სიღრმისეული შეფასებისა და „გრინვოშინგის“ (greenwashing) გამოვლენის მექანიზმის შემუშავებას; (3) გრძელვადიან პერიოდში მაღალი ზეგავლენის მქონე დამატებითი სექტორების იდენტიფიცირებას და მათ საჯარო შესყიდვებზე მდგრადობის რეგულაციების ეტაპობრივ გავრცელებას.

- კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მდგრადობის უზრუნველყოფისა და CSR-ის შესახებ ახალი ცოდნის შესაძენად აუცილებელია მისი **ინტეგრირება უმაღლესი**

საგანმანათლებლო დაწესებულებების სასწავლო პროგრამებში. ამავდროულად მნიშვნელოვანია, რომ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა ისწავლებოდეს საშუალო სკოლებსა და პროფესიული გადამზადების ცენტრებში. საგანმანათლებლო დაწესებულებებში CSR-ის სწავლება ხელს შეუწყობს ახალგაზრდების ცნობიერების ზრდას და მათ პროფესიონალებად ჩამოყალიბებას. ასევე მნიშვნელოვანია კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სფეროში კვლევითი აქტივობების ჩატარება. სწავლების, კვლევისა და პრაქტიკის სინერგია მნიშვნელოვანი ხელისშემწყობი ფაქტორი იქნება საქართველოში CSR-ის განვითარებისთვის.

- **CSR-ის შესახებ ცნობიერების ამაღლება** მნიშვნელოვანია როგორც ბიზნესორგანიზაციებისთვის, ისე მთლიანად საზოგადოებისათვის. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს კომპანიის ბრენდის შესახებ ინფორმაციის დამკვიდრებაში; მომხმარებლების, თანამშრომლებისა და ინვესტორებისათვის მიმზიდველობის გაზრდაში; ახალი თანამშრომლების მოზიდვაში და, ზოგადად, ბიზნესის წარმატებაში. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით მნიშვნელოვანია საკომუნიკაციო კამპანიების, სემინარების, კონფერენციებისა და მრგვალი მაგიდების მოწყობა უნივერსიტეტებთან და საექსპერტო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით; მოქალაქეების გამოკითხვა და მათგან უკუკავშირის მიღება; საჯარო უწყებებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის თანამშრომლებისათვის ტრენინგებისა და შეხვედრების ორგანიზება; სახელმწიფო უწყებებისა და მოქალაქეებისათვის გარემოს დაცვის მნიშვნელობის შესახებ საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება; CSR-ის ელჩების პანელის შექმნა, სადაც შესაძლებელია გაერთიანდნენ საზოგადოებისათვის ცნობადი სახეები, რომლებიც როგორც დედაქალაქში, ისე რეგიონებში შეხვდებიან სტუდენტებს, კომპანიების წარმომადგენლებს, ადგილობრივ მოსახლეობას და მათ წარუდგენენ ინფორმაციას CSR-ის მნიშვნელობის შესახებ.

- CSR-ის დასანერგად აუცილებელია ორგანიზაციებს შორის **საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება**. საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიზნით მნიშვნელოვანია CSR კონკურსების ორგანიზება. აუცილებელია სახელმწიფომ წაახალისოს ასეთი კონკურსები და თავადაც სხვადასხვა ფორმით ჩაერთოს ასეთი კონკურსების განხორციელებაში. მაგალითად, გამარჯვებულებს ჯილდო გადასცენ უშუალოდ სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირებმა, რაც ხაზს გაუსვამს კონკურსის მნიშვნელობას. საუკეთესო პრაქტიკის წარმოჩენისთვის მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო უწყებები და სახელმწიფო საწარმოები თავად იყვნენ მაგალითის მიმცემი კერძო კომპანიებისთვის CSR სტანდარტების დაცვასა და განხორციელებაში. საქართველოში სახელმწიფო არის უმსხვილესი დამსაქმებელი. შესაბამისად, სახელმწიფო თავად უნდა იძლეოდეს CSR-ის დანერგვის მაგალითს, მათ შორის, შრომითი უფლებების დაცვის თვალსაზრისით. ასევე მნიშვნელოვანი იქნებოდა ონლაინპლატფორმების შექმნა, სადაც როგორც ქართულ, ასევე

უცხოურ კომპანიებს ექნებოდათ შესაძლებლობა სხვებისათვის გაეზიარებინათ საკუთარი გამოცდილება.

- საქართველოში ნაკლებად არის განვითარებული **მდგრადობის საკითხებზე გამჭვირვალობის მხარდაჭერისა და კერძო სექტორში მდგრადი განვითარების ანგარიშგების მიმართულება.** შესაბამისად, ქვეყანაში ასეთი ინსტრუმენტის ეტაპობრივი განვითარებისათვის საჭიროა იმ კომპანიების განსაზღვრა, ვისთვისაც სავალდებულო უნდა გახდეს მდგრადობის ანგარიშგება. ამ პროცესში კერძო სექტორის მხარდაჭერისთვის მიზანშეწონილია, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, მდგრადი განვითარების ანგარიშის ჩარჩოსა და სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება; ასევე, კომპანიების მხარდაჭერა შესაბამისი უნარებისა და კომპეტენციების განვითარების საკითხებში.
- ამასთან, სახელმწიფო დონეზე არ არის განსაზღვრული კომპანიების **საქმიანობის უარყოფითი ზეგავლენის შეფასებისა და მართვის (due diligence)** მექანიზმების დანერგვის ვალდებულება. ეს ინსტრუმენტი მხოლოდ საფინანსო სექტორშია გამოყენებული. საქართველოში ამ ინსტრუმენტის განვითარების ხელშესაწყობად საწყის ეტაპზე მნიშვნელოვანია ნებაყოფლობითი სისტემის შემუშავება და კომპანიებისთვის საერთაშორისო და ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისი უარყოფითი ზეგავლენის შეფასებისა და მართვის სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება. რაც შეეხება ამ მიმართულებით კომპანიების ვალდებულებებს, მიზანშეწონილია შესაბამისი მარეგულირებელი ჩარჩოს შექმნა მსხვილი კომპანიებისათვის, რომლებიც მაღალი ზეგავლენის მქონე სექტორებში (წიაღისეულის მოპოვება, სოფლის მეურნეობა და ა. შ.) საქმიანობენ.
- საქართველოში **კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის საერთაშორისო სტანდარტების** დანერგვის ხელშესაწყობად საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლის საფუძველზე გამოიკვეთა: (1) კერძო კომპანიებისათვის მაგალითის მიცემის მიზნით სახელმწიფო საწარმოებში საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის მნიშვნელობა; (2) საქართველოში წიაღისეული რესურსების მოპოვების სექტორში მოქმედ კომპანიებში EITI-ის სტანდარტის დანერგვის მიზანშეწონილობა და დამატებით მაღალი რისკის შემცველი სექტორების იდენტიფიცირების საჭიროება; (3) OECD სახელმძღვანელო პრინციპებთან მრავალეროვანი საწარმოებისათვის საქართველოს შეერთება.

I. შესავალი

კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობას და მდგრადობას დღევანდელ სამყაროში განუზომლად დიდი მნიშვნელობა ენიჭება როგორც კომპანიათა საქმიანობისთვის, ისე სახელმწიფოების მიერ მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევისა და გლობალური გამოწვევების დაძლევის თვალსაზრისით.

საქართველოში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის, ანუ საზოგადოების წინაშე ბიზნესის პასუხისმგებლობის ტრადიციას საკმაოდ დიდი ისტორია აქვს. ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში, სანამ ეს ტერმინი და კონცეფცია ჩამოყალიბდებოდა, ქართველ მეწარმეებს ძალიან მნიშვნელოვანი და მრავალმხრივი წვლილი შეჰქონდათ საზოგადოების განვითარებასა და პრობლემების მოგვარებაში.

სამწუხაროდ, ეს ტრადიცია საბჭოთა ოკუპაციამ და კერძო ბიზნესის მოსპობამ გაწყვიტა. მე-20 საუკუნის მიწურულიდან კი, როდესაც საქართველომ დამოუკიდებლობა დაიბრუნა და ბიზნესმაც განვითარება დაიწყო, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობაც აქტიურად და დინამიკურად იმკვიდრებს თავს საქართველოში. ქართული კომპანიები სულ უფრო მეტად ცდილობენ დაუახლოონ საკუთარი საქმიანობა ბიზნესსაქმიანობის საერთაშორისო სტანდარტებს და დანერგონ კორპორაციული პასუხისმგებლობის კონცეფცია.

თანამედროვე გაგებით, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა არის კომპანიის პასუხისმგებლობა იმ ზეგავლენაზე, რომელსაც ის თავისი გადაწყვეტილებებითა და საქმიანობით ახდენს ბუნებრივ გარემოზე, ეკონომიკურ სისტემებსა და ადამიანებზე, ანუ საკუთარ თანამშრომლებზე, მომხმარებლებზე, მომწოდებლებზე, პარტნიორებზე, ადგილობრივ თემებსა და, ზოგადად, საზოგადოებაზე. ის ეფუძნება კანონის მკაცრ დაცვას და გულისხმობს, რომ ბიზნესი ნებაყოფლობით მეტ პასუხისმგებლობას აიღებს, ვიდრე კანონი ავალდებულებს, ასევე – პასუხისმგებელი და მდგრადი ბიზნესსაქმიანობის უფრო მაღალ საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას.[1]

---

[1] ეს განმარტება ეფუძნება წამყვანი საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სტანდარტების განმარტებებს, შემუშავებულს ევროკომისიის, ISO 26000 CSR სტანდარტის, გაეროს და OECD-ის მიერ.

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ძირითადი შემადგენელი სფეროებია: ადამიანის უფლებების დაცვა, თანამშრომლებთან პასუხისმგებელი ურთიერთობა და შრომითი უფლებები, გარემოს დაცვა, საზოგადოების მხარდაჭერა, მომხმარებელთა უფლებები და მომხმარებლებთან პასუხისმგებელი ურთიერთობა, მიწოდების ჯაჭვების პასუხისმგებლობით მართვა/მდგრადი მიწოდების ჯაჭვები, კორუფციის პრევენცია და აღმოფხვრა, ბიზნესეთიკა, კარგი კორპორაციული მართვა, დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაცია, გამჭვირვალობა და ანგარიშგება.

ამასთან, საზოგადოების განვითარების თანმხლები ახალი გამოწვევები და საჭიროებები ახალ მოთხოვნებს უყენებს ბიზნესსაც. შესაბამისად, ახალი თემები და საკითხები ხდება აქტუალური და შემოდის კორპორაციული პასუხისმგებლობის კონცეფციის არეალში.

კორპორაციულ პასუხისმგებლობას, კომპლექსური და მრავალწახნაგოვანი არსიდან გამომდინარე, წვლილის შეტანა შეუძლია მრავალი სხვადასხვა სფეროს განვითარებასა და პრობლემის მოგვარებაში.

კომპანიებისთვის კორპორაციული პასუხისმგებლობას მრავალი დადებითი შედეგის მოტანა შეუძლია, როგორიცაა: გაუმჯობესებული რეპუტაცია და საზოგადოების ნდობა, მომხმარებელთა და თანამშრომელთათვის კომპანიის მიმზიდველობა, ფინანსებზე გაუმჯობესებული ხელმისაწვდომობა, რისკების ეფექტურად მართვა, კონკურენციული უპირატესობა და ახალი ბაზრების ათვისება, რასაც საბოლოოდ წვლილი შეაქვს როგორც ცალკეულ კომპანიათა წარმატებასა და ფინანსური მაჩვენებლების გაუმჯობესებაში, ისე ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასა და ფართო რეგიონული და გლობალური პრობლემების მოგვარებაში.

ეროვნულ დონეზე მიიჩნევა, რომ პასუხისმგებელი და მდგრადი ბიზნესის განვითარება ხელს უწყობს ქვეყნის მდგრად და ინკლუზიურ ეკონომიკურ განვითარებას, საზოგადოების კეთილდღეობის ზრდას სოციალური და გარემოსდაცვითი პრობლემების უფრო ეფექტური მოგვარების გზით, საერთაშორისო ბაზრებზე ქვეყნის კონკურენტუნარიანობისა და საინვესტიციო მიმზიდველობის ზრდას.

ასევე საყოველთაოდ აღიარებულია, რომ მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევა შეუძლებელია კერძო სექტორის მონაწილეობის გარეშე, ხოლო კორპორაციული პასუხისმგებლობა წარმოადგენს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში ბიზნესის ჩართულობის ფორმას.

ამრიგად, CSR-ის განვითარებაზე ზრუნვა რელევანტური და მნიშვნელოვანია საზოგადოების ყველა სექტორისთვის. მართალია, წარმმართველი როლი კორპორაციული პასუხისმგებლობის განვითარებაში კერძო სექტორს ენიჭება, მაგრამ ასევე ძალზე მნიშვნელოვანია სხვა დაინტერესებულ მხარეთა, როგორებიცაა სამოქალაქო და საერთაშორისო ორგანიზაციები, ბიზნესასოციაციები, პროფკავშირები, მომხმარებლები და ქვეყანათა მთავრობები, შეთანხმებული მოქმედება და ხელშემწყობი ინიციატივები კორპორაციული პასუხისმგებლობის განვითარების მხარდაჭერის გარემოს შესაქმნელად.

კორპორაციული პასუხისმგებლობის მხარდაჭერაში დიდი როლი ეკისრებათ სახელმწიფოთა მთავრობებს. ხელისუფლების სათანადო ხელშემწყობ პოლიტიკას და ინიციატივებს მნიშვნელოვნად შეუძლია დაეხმაროს ქვეყანაში პასუხისმგებელი ბიზნესის განვითარებას. სწორედ ამიტომ დგამენ აქტიურ ნაბიჯებს სხვადასხვა ქვეყნის მთავრობები ამ მიმართულებით. მრავალ ქვეყანაშია შემუშავებული CSR-ის ხელშემწყობი სახელმწიფო პოლიტიკა, ერთიანი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, CSR საკითხების წარმართვისა და კოორდინირების მიზნით დაარსებულია სხვადასხვა სამთავრობო უწყება, მთავრობასთან არსებული სპეციალური კომიტეტი და საბჭო.

საქართველოში ევროინტეგრაციის პროცესის დაჩქარების კვალდაკვალ სულ უფრო აქტუალური ხდება ქართული კომპანიების საქმიანობის დაახლოება ევროპულ სტანდარტებთან, რის მნიშვნელოვან საკითხსაც წარმოადგენს კორპორაციული პასუხისმგებლობა და მდგრადობა. შესაბამისად, დიდ მნიშვნელობას იძენს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარების ხელშეწყობა სახელმწიფო დონეზე.

მნიშვნელოვანია სახელმწიფომ კერძო სექტორის საქმიანობაში მდგრადობის გათვალისწინებისა და შესაბამისი სტანდარტების დანერგვის წახალისებისთვის შეიმუშაოს ერთიანი პოლიტიკა, რეგულაციები და ინიციატივები.

ამდენად, წინამდებარე დოკუმენტის მიზანია საქართველოში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ხელშემწყობი ინიციატივების პრიორიტეტული მიმართულებების იდენტიფიცირება და საქართველოს მთავრობისთვის რეკომენდაციების წარმოდგენა.

წინამდებარე დოკუმენტის შემუშავება ხანგრძლივი და კომპლექსური პროცესი იყო, რომელიც საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის (CSRDG) ხელმძღვანელობითა და კოორდინაციით წარიმართა. დოკუმენტი შეიმუშავა ქართველი და ევროპელი ექსპერტებისაგან დაკომპლექტებულმა ჯგუფმა, რომლის შემადგენლობაც ასახავდა ინტერდისციპლინარულ მიდგომას (სამუშაო ჯგუფში ჩართული იყვნენ ეკონომიკის, სამართლის და კორპორაციული პასუხისმგებლობის და მდგრადობის სპეციალისტები) და ასევე ითვალისწინებდა საქართველოს, აღმოსავლეთ ევროპისა და დასავლეთ ევროპის პერსპექტივას.

სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა:

- ***გიორგი პაპავა,*** ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი, წამყვანი ეკონომისტი
- ***დავით მაისურაძე,*** ილიას უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
- ***აუდრონე ალიოშიუტე - პაულაუსკიენე,*** ლიეტუვის მდგრადი ბიზნესის ასოციაციის „ლავას“ დამფუძნებელი
- ***ქეთრინ ჰინი,*** ირლანდიის CSR-ის დაინტერესებულ მხარეთა ფორუმის ყოფილი თავმჯდომარე
- ***ლელა ხოფერია,*** CSR-ის განვითარების პროგრამის ხელმძღვანელი, CSRDG

იმისათვის, რომ ნაშრომი არ ყოფილიყო მხოლოდ სამაგიდო კვლევის შედეგი, მნიშვნელოვანი იყო ძირითადი დაინტერესებული მხარეების სამუშაო პროცესში ჩართვა და მათთან ინტენსიური კონსულტაციების გამართვა. ამ მიზნით, საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების შესაბამისად, 2022 წელს CSRDG-ის ინიციატივით დაფუძნდა „CSR-ის დაინტერესებულ მხარეთა ფორუმი“.

CSR-ის დაინტერესებულ მხარეთა ფორუმი

CSR-ის დაინტერესებულ მხარეთა ფორუმი არის იდეაზე დაფუძნებული დამოუკიდებელი, არაფორმალური, ნებაყოფლობითი ინიციატივა, რომელიც აერთიანებს მრავალ დაინტერესებულ მხარეს კერძო, საჯარო და სამოქალაქო სექტორიდან და ქმნის დიალოგისა და თანამშრომლობის პლატფორმას CSR-თან დაკავშირებული პოლიტიკის და პრაქტიკის საკითხებზე.

ამჟამად ფორუმი აერთიანებს 40-მდე ორგანიზაციას – სამოქალაქო და საერთაშორისო ორგანიზაციებს, ბიზნესასოციაციებს, კერძო სექტორის წარმომადგენლებს, საგანმანათლებლო/აკადემიურ დაწესებულებებს, დასაქმებულთა კავშირებს, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, სახელმწიფო ორგანოებს.

ფორუმის მისიაა საქართველოში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობისა და მდგრადობის საკითხებზე დაინტერესებულ მხარეთა დიალოგის წარმართვა და პასუხისმგებელი ბიზნესსაქმიანობის მხარდამჭერი პოლიტიკური და ინსტიტუციური გარემოს ჩამოყალიბების ხელშეწყობა ქვეყნის მდგრადი განვითარებისა და ევროპული ინტეგრაციისთვის.

მისიის შესასრულებლად ფორუმს დასახული აქვს **შემდეგი მიზნები:**

1. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მხარდამჭერი ჩარჩო-პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების ხელშეწყობა დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობით და ხელისუფლების სტრუქტურებთან მჭიდრო თანამშრომლობით;
2. მდგრადი და პასუხისმგებელი ბიზნესსაქმიანობის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობა ეროვნულ დონეზე;
3. მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული დღის წესრიგის შესრულებაში ბიზნესის ჩართულობის გაზრდა;
4. CSR საკითხებში დაინტერესებულ მხარეთა დიალოგის და თანამშრომლობის ხელშეწყობა;
5. ქვეყნის განვითარებისა და ევროპული ინტეგრაციისთვის პასუხისმგებელი ბიზნესსაქმიანობის მნიშვნელობის აღიარება ეროვნულ დონეზე;
6. ქვეყანაში CSR ინიციატივების ცნობადობის გაზრდა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება.

ამგვარი ფორუმებისა და პლატფორმების არსებობა გავრცელებულ პრაქტიკაა დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში, განსაკუთრებით კი, ევროკავშირში. კერძო, სამოქალაქო და საჯარო სექტორების წარმომადგენლებისაგან დაკომპლექტებული სამმხრივი საკონსულტაციო ორგანოები კორპორაციული პასუხისმგებლობის საკითხებზე სხვადასხვა წელს დაფუძნდა გერმანიაში, ირლანდიაში, დანაში, ჩეხეთში, ესპანეთში, საფრანგეთსა და კანადაში.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და ქართულ კონტექსტთან მისადაგებული აღმოჩნდა ირლანდიის გამოცდილება, ქვეყნისა, რომელთანაც მრავალ განსხვავებასთან ერთად, მრავალი საერთო აქვს საქართველოს – ესაა პატარა ქვეყანა ევროპის კიდეზე, რომელმაც ბოლო რამდენიმე ათეულ წელში მიაღწია მნიშვნელოვან ეკონომიკურ ზრდას და განვითარებას. ირლანდიის CSR-ის დაინტერესებულ მხარეთა ფორუმი გახდა ის მაგალითი, რომელსაც დიდწილად დაეფუძნა ქართული ფორუმი, თუმცა, ცხადია, გათვალისწინებული იყო სხვა ევროპული ქვეყნების გამოცდილება, ისევე, როგორც საქართველოს კონტექსტი.

საქართველოს CSR-ის დაინტერესებულ მხარეთა ფორუმის შესახებ დაწვრილებით იხ.: https://csrgeorgia.com/ka/csr-forum

ექსპერტთა სამუშაო ჯგუფმა, CSR-ის დაინტერესებულ მხარეთა ფორუმთან თანამშრომლობით, ერთი წლის განმავლობაში იმუშავა წინამდებარე დოკუმენტზე, გაიმართა სამუშაო შეხვედრები და კონსულტაციები, რომელთა შედეგად მიღებული უკუკავშირი, რეკომენდაციები და მოსაზრებები გათვალისწინებულია წინამდებარე ნაშრომში. შესაბამისად, ნაშრომში მაქსიმალურად არის ასახული და წარმოჩენილი საქართველოში ყველა დაინტერესებული მხარის ხედვა და პოზიცია.

ნაშრომში მიმოხილულია ევროკავშირის პოლიტიკა და ზოგადი ტენდენციები, ცალკეული ევროპული ქვეყნების გამოცდილება ეროვნულ დონეზე კორპორაციული პასუხისმგებლობის ხელშეწყობისა და განვითარების სფეროში; გაანალიზებულია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ კონტექსტი და ქვეყნის სტრატეგიული მიზნები, ასევე საქართველოში განხორციელებული თუ მიმდინარე ინიციატივები კორპორაციული პასუხისმგებლობის ცალკეულ საკითხებთან მიმართებით; ამ ყველაფრის საფუძველზე წარმოდგენილია კომპლექსური რეკომენდაციები საქართველოს ხელისუფლებისათვის კორპორაციული პასუხისმგებლობის მხარდასაჭერი პოლიტიკისა და ღონისძიებების თაობაზე, ასევე გამოკვეთილია სხვა დაინტერესებულ მხარეთა როლიც, როგორებიცაა: საგანმანათლებლო ინსტიტუტები, ბიზნესასოციაციები, კერძო სექტორის წარმომადგენლები, სამოქალაქო ორგანიზაციები.

ნაშრომი წარმოადგენს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარების გზამკვლევს საქართველოს ხელისუფლებისა და ყველა დაინტერესებული მხარისათვის. მისი მიზანია გახდეს საფუძველი, რომელსაც დაეყრდნობა საქართველოს მთავრობა კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მხარდაჭერის ერთიანი პოლიტიკის, კონკრეტული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესამუშავებლად.

ნაშრომი მომზადდა „სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივის“ ფარგლებში, ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის მხარდაჭერით, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის ინიციატივით და კოორდინირებით.

II. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა (CSR): გლობალური და ადგილობრივი კონტექსტი

1. რა არის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა?

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა (CSR) არის მე-20 საუკუნის შუა წლებში გაჩენილი კონცეფცია, რომელიც ეხება იმ პასუხისმგებლობებს, რომლებიც მაქსიმალური მოგების მიღების მიღმა აქვთ კომპანიებს საკუთარი დაინტერესებული მხარეების მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს CSR-ის ერთადერთი და საყოველთაოდ აღიარებული განმარტება, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა ძირითადად შეეხება იმას, თუ როგორ ხედავს კომპანია თავისი საქმიანობის ზეგავლენას სოციალურ, გარემოსდაცვით და ეკონომიკურ საკითხებზე და რამდენად ემთხვევა კომპანიის მოქმედება მისი დაინტერესებული მხარეების, მათ შორის – თანამშრომლების, მომხმარებლების, მომწოდებლების, საზოგადოებისა და გარემოს – საუკეთესო ინტერესებს[2]. მეორე მსოფლიო ომის შემდგომი და 1950-იანი წლების პერიოდი შეიძლება ჩაითვალოს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მიმართ დამოკიდებულების განვითარებისა და ცვლილების ხანად. იყო ასევე პერიოდები, როდესაც კორპორაციული ქმედებების მხოლოდ მცირე ნაწილი სცდებოდა საქველმოქმედო საქმიანობას[3]. ამასთან, CSR-ის ბოლოდროინდელი განმარტებები გაფართოვდა და მოიცვა ისეთი თემები, როგორიცაა ეთიკური ბიზნესის წარმოება, ეკოლოგიური მდგრადობის უზრუნველყოფა და სოციალური სამართალი[4].

CSR-ის პროგრამებმა შეიძლება განსაზღვრონ ორგანიზაციის კულტურა. როგორც წესი, ორგანიზაციასა და საზოგადოებაზე მათი ზეგავლენა საგრძნობი და გასაგებია. CSR-ის გავლენა ყოველთვის არ იზომება და იშვიათად განიხილება მოგებისა და ინვესტირების მამოძრავებელ ფაქტორად. CSR-ის აქტივობები სცდება კანონის მოთხოვნის ფარგლებს და

---

[2] Carroll, A. B., The pyramid of corporate social responsibility: Toward the moral management of organizational stakeholders. Business Horizons, 1991, 34(4), 39-48.

[3] Carroll, A.B. A History of Corporate Social Responsibility: Concepts and Practices, In book: The Oxford Handbook of Corporate Social ResponsibilityChapter 2, 2008.

[4]Banerjee, S. B., Iyer, E. S., & Kashyap, R. K. (2008). Corporate social responsibility: A review and conceptual framework. Journal of business ethics, 87(S1), 129-143.

ეხება თანამშრომლებისა და ფართო საზოგადოების უფრო ღრმა საჭიროებებს. CSR-ის პროგრამებში ჩართვას შეუძლია გაზარდოს თანამშრომელთა მოტივაცია და მათი ვალდებულების გრძნობა, რის შედეგადაც იქმნება სოციალური და გარემოსდაცვითი ცნობადობის შიდა კულტურა.

მნიშვნელოვანია განვასხვაოთ CSR ტერმინისგან, რომელსაც დღეს მსოფლიოში ბევრად მეტი ყურადღება ექცევა. ეს არის ESG – გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის საკითხები (environmental, social, and governance issues - ESG) – კრიტერიუმების ნაკრები, რომელსაც ინვესტორები იყენებენ მდგრადობისა და სოციალური ზეგავლენის ფაქტორების მიხედვით კომპანიების შესაფასებლად. მნიშვნელოვანია, რომ ESG-ით წლიურ ანგარიშებში იზომება ისეთ სფეროებში დასახული მიზნები, როგორიცაა ნახშირბადის გაფრქვევის შემცირება, თანასწორობა, მრავალფეროვნება და ინკლუზია. ფლამერის მონაცემებით, ამჟამად მსოფლიოში აქტივების უმსხვილესი მმართველების 75% საინვესტიციო გადაწყვეტილებებში ითვალისწინებს ESG ფაქტორებს.[5] ამ ფაქტორებზე დაფუძნებულმა ინვესტირებამ ევროკავშირის ქვეყნებში რამდენიმე მიზეზის გამო მოიპოვა პოპულარობა: ვინაიდან ინვესტორები სულ უფრო მეტად აცნობიერებენ, რომ გარემოსდაცვითი და სოციალური ფაქტორები მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენენ კომპანიის ფინანსურ მაჩვენებლებზე და რადგან სხვადასხვა რეგულაციის მეშვეობით ევროკავშირმა გადადგა ნაბიჯები მდგრადობის საკითხების ინტეგრირებისკენ თავის საფინანსო სისტემებში. ამ რეგულაციებს მოგვიანებით შევეხებით.

CSR და ESG არის მსგავსი, მაგრამ სხვადასხვა სისტემა. ამასთან, შესაძლებელია მათი ერთდროულად გამოყენება უფრო პასუხისმგებელი და მდგრადი ბიზნესის შესაქმნელად. CSR-ის გამოყენება შეიძლება ბიზნესის ფარგლებში ცნობიერების ასამაღლებლად და დასახული ამოცანების ხაზგასასმელად. ის უფრო მეტად თვისებრივი მეთოდია. ამავე დროს, ESG გვაძლევს მაჩვენებლებს, რომელთაც შეუძლიათ ინვესტორებში და უფრო ფართო ბაზარზე ნდობის გაჩენა. შესაბამისად, გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის კრიტერიუმები ძირითადად გამოიყენება მაშინ, როდესაც კომპანიებს თავიანთი საქმიანობის პროცესებში შემოაქვთ CSR-ის აქტივობები. CSR-ისა და ESG-ის ამ ურთიერთშემავსებელი გამოყენების შედეგად, მცირედ შეიცვალა ამ სისტემების აღსაწერად მიღებული ტერმინოლოგია. „ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია“ (OECD) იყენებს ტერმინს „პასუხისმგებელი ბიზნესსაქმიანობა“, ხოლო ტერმინები „პასუხისმგებელი ბიზნესი“ და „მდგრადი ბიზნესი“ ერთნაირი გაგებით გამოიყენება. მიუხედავად იმისა, რა განმარტებას ვიყენებთ, CSR-ის დაკავშირება ESG ანგარიშგებასთან, სავარაუდოდ, სწორედ ის მიმართულებაა, საითაც მომავალში განვითარდება პასუხისმგებელი ბიზნესი.

---

[5] Flammer, C. (2017). Does Corporate Social Responsibility Lead to Superior Financial Performance? A Regression Discontinuity Approach. Management Science, 63(11), 3570-3584.

2. რატომ არის CSR-ი მნიშვნელოვანი და რა სარგებელი მოაქვს მას სახელმწიფოსთვის, საზოგადოებისა და კომპანიებისთვის

პირველ რიგში, კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობას სარგებელი მოაქვს მთავრობისა და ფართო საზოგადოებისთვის. კორპორაციულ პასუხისმგებლობას წვლილი შეაქვს ისეთი სოციალური და გარემოსდაცვითი საკითხების მოგვარებაში, რომლებთანაც დამოუკიდებლად გასამკლავებლად მთავრობებს არ აქვთ საკმარისი რესურსები თუ ექსპერტული ცოდნა.

ეს მჭიდროდ უკავშირდება მდგრად განვითარებას, ტერმინს, რომელიც პირველად 1987 წელს გამოჩნდა ბრუნდტლანდის (Brundtland) ანგარიშში. ბრუნდტლანდის მიხედვით, მდგრადი განვითარება შემდეგნაირად განიმარტება: „განვითარება, რომელიც პასუხობს ამჟამინდელი თაობის საჭიროებებს ისე, რომ რისკს არ უქმნის მომდევნო თაობებს, უპასუხონ საკუთარ საჭიროებებს“.[6] მოგვიანებით ეს ტერმინი ოფიციალურად დამკვიდრდა გარემოსა და განვითარების გაეროს კონფერენციაზე, რომელიც ჩატარდა რიო-დე-ჟანეიროში 1992 წელს.

კოლკის თანახმად, კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობას შეუძლია შეასრულოს გადამწყვეტი როლი მდგრადი განვითარების წახალისებაში, რომლის ერთადერთი მიზანიც არის საზოგადოებისა და გარემოსთვის სარგებლის მოტანა.[7] მაგალითად, კომპანიებს შეუძლიათ ჩადონ ინვესტიცია განახლებად ენერგიაში, შეამცირონ მათი „ნახშირბადის ნაკვალევი“ და ხელი შეუწყონ მიწოდების მდგრადი ჯაჭვების დანერგვას. ამ გზით კი შესაძლებელია კლიმატის ცვლილებასთან გამკლავება და გარემოს დეგრადირების შემცირება. გარდა ამისა, კომპანიებს შეუძლიათ ჩაერთონ სოციალური პასუხისმგებლობის ისეთ საქმიანობებში, როგორიცაა განათლებასა და ჯანდაცვაში ინვესტირება, ადგილობრივი თემების მხარდაჭერა, ადამიანის უფლებათა დაცვის ხელშეწყობა, ეთიკური ბიზნესსაქმიანობის შესაძლებლობის შექმნა და ქალთა გაძლიერება. ეს ყოველივე კი ეხმარება სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას.

---

[6] World Commission on Environment and Development. (1987). Our Common Future. Oxford University Press.

[7] Kolk, A. (2016). The social responsibility of international business: From ethics and the environment to CSR and sustainable development. Journal of World Business, 51(1), 23-34.

მდგრადი განვითარების მიზნები და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა

გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები (SDGs) 193 ქვეყანამ 2015 წელს მიიღო სიღარიბის აღმოსაფხვრელად და მსოფლიოში კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად მდგრადი განვითარების მიდგომის გზით.

მიუხედავად იმისა, რომ ამ მიზნებზე ქვეყნების მთავრობებს აქვთ ხელი მოწერილი, SDG-ის 169 ამოცანის მიღწევა დამოკიდებულია ბიზნესისა და სამოქალაქო საზოგადოების ერთობლივ მუშაობაზე.

ცალკეული კომპანიებისთვის CSR-ი არის სისტემა, რომლის ფარგლებშიც მათ შეუძლიათ SDGs-ის მიზნების მიღწევა. ბევრი კომპანია საკუთარი CSR პროგრამის მიმართულების ჩამოსაყალიბებლად კონცენტრაციას ახდენს მხოლოდ რამდენიმე SDG მიზანზე. ამავე დროს, ზოგიერთი ქვეყნის მთავრობამ CSR-ის ეროვნული გეგმები SDG-ს შეუსაბამა: ინდოეთში SDG-ის ამოცანების მისაღწევად დამტკიცდა CSR-ის ეროვნული რეგულაციები.[8]

გაეროს „გლობალური შეთანხმება“ (UN Global Compact)[9], რომლის მიზანიც არის ბიზნესის მიმართვა მდგრადი განვითარების ამოცანებისკენ, მსოფლიოს მასშტაბით აერთიანებს 13,000 კომპანიას, რომლებსაც მოეთხოვებათ SDGs-ის მხარდაჭერა მათი ბიზნესაქტივობების ფარგლებში.

მიუხედავად ზემოთქმულისა, CSR-ი თავად კომპანიებისთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია. პასუხისმგებელი ბიზნესსაქმიანობის წარმართვით მათ შეუძლიათ მოიპოვონ მომხმარებლების, ინვესტორების, თანამშრომლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ნდობა. ამას კი შეუძლია დახმარების გაწევა რისკის შემცირებასა და დანაზოგების გაზრდაში, განსაკუთრებით ისეთ საკითხებში, როგორიცაა გარემოზე ზემოქმედება[10], კვალიფიციური სპეციალისტების, განსაკუთრებით ახალგაზრდა, გარემოსდაცვითი შეგნების მქონე თაობების

[8] KPMG. GC Network India, Sustainable Development Goals (SDGs): Leveraging CSR to achieve SDGs. First Sustainable Development Goals (SDGs) Summit 2017.
[9] https://unglobalcompact.org/participation
[10] Burritt, R. L., & Schaltegger, S. (2019). Sustainable entrepreneurship and accounting: A synthesis. Accounting, Auditing & Accountability Journal, 32(5), 1295-1329.

მოზიდვა და შენარჩუნება[11], სიახლეების შემოტანა[12], ბრენდის დადებითი იმიჯის შექმნა და მომხმარებელთა ნდობის მოპოვება[13].

CSR-ი სულ უფრო მეტად გამოიყენება საჯარო დაწესებულებებში, რათა გაძლიერდეს SDG-თან და ევროკავშირის „კლიმატის 2030 წლის სამიზნე გეგმის“ პრინციპებთან შესაბამისობა.[14] სფეროებს შორის, სადაც საჯარო სამსახურები იყენებენ CSR-ს იმისთვის, რომ გასცდნენ კანონით დადგენილ სავალდებულო მინიმალურ მოთხოვნებს, არის „მწვანე“ შესყიდვები და სამუშაო ადგილებზე თანასწორობის, მრავალფეროვნებისა და ჩართულობის (Equality, Diversity and Inclusion - EDI) უფრო ეფექტური პოლიტიკის შემოღება.

3. CSR-ის შესახებ ევროპული და მსოფლიო კონტექსტის მოკლე მიმოხილვა

თავისი პოლიტიკითა და ინიციატივებით ევროკავშირი ერთ-ერთი პირველი იყო CSR-ის ხელშეწყობაში. 2011 წელს ევროკავშირმა გამოაქვეყნა CSR-ის განახლებული სტრატეგია, რომლის მიზანიც იყო წევრ ქვეყნებში CSR-ის პრაქტიკის ჰარმონიზაცია და გაძლიერება. ამ გეგმის თანახმად, ევროკავშირის ყველა წევრ სახელმწიფოს მიაწოდეს რეკომენდაცია CSR-ის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესაქმნელად.

შემდეგ CSR პრაქტიკის აქტიურად დასანერგად ევროკავშირმა შექმნა პოლიტიკის მთელი რიგი დამატებითი ინსტრუმენტები, მათ შორის: „ევროკავშირის მდგრადი ფინანსების ტაქსონომია“ (EU Sustainable Finance Taxonomy), „ევროკავშირის მწვანე შეთანხმება“ (EU Green Deal) და „კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგების დირექტივა“ (Corporate Sustainability Reporting Directive). 2023 წლის ივნისში ევროპარლამენტმა მიიღო „კორპორაციული მდგრადობის რისკების გამოვლენისა და შემცირების დირექტივა“ (Corporate Sustainability Due Dilligence Directive), რომელიც არის კორპორაციულ სოციალური პასუხისმგებლობის ევროკავშირის ყველაზე შორსმიმავალი პოლიტიკა. ამ დირექტივის მიხედვით, კომპანიებს მოეთხოვებათ დანერგონ ორგანიზაციული პროცესები და მართვის სისტემები, რათა შეამცირონ საკუთარი საქმიანობის უარყოფითი ზეგავლენა ადამიანის უფლებებსა და ბუნებრივ გარემოზე, არა მხოლოდ უშუალოდ საკუთარი საქმიანობის ფარგლებში, არამედ მსოფლიოს მასშტაბით მათი ღირებულებათა ჯაჭვის ყველა რგოლის ჩათვლით.

---

[11] Luo, X., & Bhattacharya, C. B. (2019). Corporate social responsibility, customer satisfaction, and market value. Journal of Marketing, 83(5), 1-20.

[12] Fassin, Y., Van Rossem, A., & Buelens, M. (2015). Small-business owner-managers' perceptions of business ethics and CSR-related concepts. Journal of Business Ethics, 127(3), 531-545.

[13] Kim, Y., Lee, H., & Noh, M. (2015). The impact of corporate social responsibility on consumer trust: The case of organic food. Journal of Food Products Marketing, 21(6), 683-697.

[14] EU Commission website: Delivering the European Green Deal

ამგვარი პოლიტიკა კომპანიებს განაწყობს დანერგონ მდგრადი გარემოსდაცვითი და სოციალური პასუხისმგებლობის პრაქტიკა და ამ ქმედებებისა და მიღწეული შედეგების შესახებ ანგარიში ჩააბარონ დაინტერესებულ მხარეებს. ევროპული გაგებით CSR-ს ასევე ახასიათებს დაინტერესებულ მხარეებთან მჭიდრო კავშირი და კომპანიები ცდილობენ დაინტერესებული მხარეების ჩართვას გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ეს მიდგომა ეფუძნება იმის აღიარებას, რომ დაინტერესებული მხარეები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ კომპანიის საქმიანობაზე და, შესაბამისად, ისინი ჩართული უნდა იყვნენ კომპანიის CSR პოლიტიკის ჩამოყალიბებაში. მეტიც, ევროპულ კომპანიებზე ხშირად ხდება სამოქალაქო საზოგადოების, ინვესტორებისა და მარეგულირებლების ზეწოლა CSR მიდგომებისა და პოლიტიკის შემოღებისთვის. ამ ზეწოლის შედეგად მიიღეს CSR-ის პოლიტიკა, როგორიცაა, მაგალითად, მიწოდების ქსელის მართვა, გარემოსდაცვითი მართვა და თანამშრომელთა უფლებები. ევროკავშირი აღიარებს ბიზნესსა და ადამიანის უფლებათა შორის კავშირს და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის წახალისებისას ეთანხმება 2011 წელს გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს მიერ მიღებულ „გაეროს სახელმძღვანელო პრინციპებს ბიზნესისა და ადამიანის უფლებათა შესახებ“. ამ პრინციპების მიხედვით, ბიზნესკომპანიები არიან საზოგადოების კორპორაციული წევრები, რაც მათგან მოითხოვს, იმოქმედონ ყველა მიღებული კანონის შესაბამისად და პატივი სცენ ადამიანის უფლებებს.

ამასთან, აზიაში CSR-ის გამოცდილება ხშირად ნაკარნახევია არა სოციალური პასუხისმგებლობის ქონის სურვილით, არამედ რეგულაციებთან მისადაგებისა და რეპუტაციული რისკების თავიდან აცილების საჭიროებით[15]. შეტის თანახმად, აზიაში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა ჯერ კიდევ საწყის სტადიაზეა და ბევრ კომპანიას კარგად არც ესმის მისი სარგებელი.[16] თუმცა, ფაქტია, რომ აზიაში CSR-ის დანერგვა თანდათანობით უმჯობესდება. ახლა უკვე ბევრი კომპანია აცნობიერებს CSR-ის სარგებელს, იქნება ეს მომხმარებელთა გაზრდილი ლოიალობა, თანამშრომელთა გაუმჯობესებული სულისკვეთება თუ გაუმჯობესებული რეპუტაცია. მეტიც, ამ რეგიონის მთავრობები იწყებენ CSR-ის წასახალისებელი პოლიტიკისა და რეგულაციების შემოღებას. მაგალითად, ტაილანდის მთავრობის „საკმარისი ეკონომიკის“ (Sufficiency Economy) მიდგომა, რომელიც მოუწოდებს კომპანიებს მდგრადი პრაქტიკის დანერგვისკენ.[17]

ჩრდილოეთ ამერიკაში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პრაქტიკას მთავრობის რეგულაციებზე მეტად საბაზრო ძალები და დაინტერესებულ მხარეთა ზეწოლა

---

[15] Masuda, A. D., Takahashi, R., & Hashimoto, H. (2020). Drivers of corporate social responsibility activities in Japan: A comparison between large and small- and medium-sized enterprises. Corporate Social Responsibility and Environmental Management, 27(6), 2652-2665.

[16] Shetty, A. (2016). Corporate social responsibility in Asia: A systematic review of the literature. Journal of Management and Sustainability, 6(3), 51-64.

[17] Ritthiruangdej, P. (2018). Corporate social responsibility practices in Thailand: A content analysis of company websites. Kasetsart Journal of Social Sciences, 39(2), 225-232.

განსაზღვრავს. ჩრდილოეთ ამერიკის კომპანიები სულ უფრო მეტად ნერგავენ CSR-ს მაღალკონკურენტულ ბაზარზე თავის წარმოსაჩენად. Harvard Business Review-ის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, Fortune 500-ის კომპანიების 20 პროცენტს 2020 წელს ჰქონდა მდგრადი განვითარების ხელმძღვანელის თანამდებობა (chief sustainability officer) – შედარებისთვის, ეს მაჩვენებელი 2004 წელს მხოლოდ 2 პროცენტი იყო. CSR-ის ამერიკულ კონტექსტს ახასიათებს მეწილეთა ფოკუსირება ღირებულებაზე და ბევრი კომპანია CSR-ს საკუთარი ფინანსური მაჩვენებლების გაუმჯობესების საშუალებად მიიჩნევს, რაც ძირითადად გამოიხატება გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის საკითხების (environmental, social and governance – ESG) რეიტინგებსა და ინვესტიციებში. ეს მიდგომა მიმართულია მკაფიო ფინანსური ამონაგების მქონე CSR ინიციატივებზე, როგორიცაა ენერგოეფექტურობა და ნარჩენების შემცირება.

KPMG-ის კვლევის თანახმად (2020)[18], უმსხვილესი ევროპული კომპანიების 87% აქვეყნებს ანგარიშს საკუთარ CSR საქმიანობაზე. ჩრდილოეთ ამერიკაში ეს მაჩვენებელი არის 78%, ხოლო აზიაში – 53%. ქვეყნებს შორის განსხვავება მჭიდროდ უკავშირდება განვითარებასა და რეგულაციებს. რიჩარდ ველფორდის კვლევამ "Corporate Social Responsibility in Europe, North America and Asia"[19] გამოავლინა მნიშვნელოვანი კავშირი კულტურასა და CSR-ის პოლიტიკას შორის. CSR-თან დაკავშირებული პოლიტიკა ხშირად გვხვდება სოციალურ-დემოკრატიული ტრადიციების მქონე ქვეყნებში, როგორიცაა, მაგალითად, გერმანია, ნორვეგია და კანადა. მან აგრეთვე აღმოაჩინა კავშირები CSR-სა და ეკონომიკურ განვითარებას შორის – რაც უფრო განვითარებულია ქვეყანა, მით მეტია ალბათობა, რომ ჩართული იყოს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პოლიტიკაში. ეს ფენომენი კვლავ მკაფიოდ შეიმჩნევა თანამედროვე პოსტპანდემიურ სამყაროში.

მაგალითი: კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა ბალტიისა და აღმოსავლეთ ევროპის პარტნიორობის ქვეყნებში

გაერომ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ბალტიის ქვეყნებში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის დანერგვასა და წახალისებაში. CSR-ის კონცეფცია 2000-იანი წლების დასაწყისში „გაეროს გლობალური შეთანხმების" საშუალებით დაინერგა. ესტონეთში 2005 წელს შეიქმნა „ესტონეთის პასუხისმგებელი ბიზნესის ფორუმი", ხოლო ლიეტუვაში 2004 წელს – „პასუხისმგებელი ბიზნესის ეროვნული ქსელი". ამ არაფორმალური ქსელების მიზანი იყო მსჯელობა იმ ღირებულებების დანერგვაზე, რაც მხარს უჭერს CSR-ის ამოცანებს და „გაეროს გლობალური შეთანხმების" აქტივობებში

[18] KPMG. Sustainable Insight: The Corporate Reporting Landscape, 2020.
[19] Welford, R. (2004). Corporate social responsibility in Europe, North America and Asia: 2004 survey results. Business for Social Responsibility.

მონაწილეობა. მოგვიანებით ეს ქსელები ოფიციალურ ორგანიზაციებად გარდაიქმნა. ლატვიაში 2010 წელს „ლატვიის დამსაქმებელთა კონფედერაციის“ (LDDK) ინიციატივით ხელი მოეწერა ქვეყანაში CSR-ის პრინციპების მემორანდუმს და „ლატვიის დამსაქმებელთა კონფედერაციამ“ შექმნა CSR-ის პლატფორმა.

ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით ბალტიის სამივე ქვეყანამ 2008 წლიდან შექმნა CSR-ის ხელშემწყობი ეროვნული სამოქმედო გეგმები. მათი მიზანი იყო კონკურენტუნარიანობის გაძლიერება, სამოქალაქო მმართველობის გაუმჯობესება და საჯარო სოციალური და გარემოსდაცვითი პოლიტიკის დახვეწა იმგვარად, რომ შენარჩუნებულიყო კომპანიების სარგებელი. ეროვნულ სამოქმედო გეგმებში შედიოდა შემდეგი მიმართულებები:

- CSR-ის საუკეთესო პრაქტიკის გავრცელება;
- ბიზნესისთვის CSR-ის შესახებ სასწავლო და სატრენინგო აქტივობების შემუშავება;
- CSR-ის კონკურსის დაფუძნება;
- CSR-ის შესახებ ცნობიერების ამაღლება.

ეს ქმედებები გახდა ბიზნესისთვის საკუთარი CSR შესაძლებლობების განვითარებისა და საკუთარი მიღწევების შესახებ ანგარიშგების წინაპირობა. მთავრობის როლი მნიშვნელოვანი იყო ამ ფონდების მართვასა და დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობაში.

როგორც პოლიტიკურ-მარეგულირებელი, ეკონომიკური და სოციალური გარემოს, ისე CSR-ის ხელშემწყობი არსებული პოლიტიკის შეფასება მიუთითებდა, რომ ბალტიის ქვეყნები სწორი მიმართულებით მიდიოდნენ. ხაზი უნდა გაესვას, რომ CSR-ის ადგილობრივ ქსელებს ასევე მნიშვნელოვანი როლი ჰქონდათ როგორც CSR-ის შესახებ ცნობიერების ამაღლებასა და CSR-ის სათემო ქსელის შექმნაში, ისე სახელმწიფო სამოქმედო გეგმების შედგენა-განხორციელების საქმეში ეროვნულ მთავრობებთან თანამშრომლობაში[20]. ქსელები, როგორიცაა „CSR ლატვია“, ესტონეთის „პასუხისმგებელი ბიზნესის ფორუმი“ და ლიეტუვას „მდგრადი ბიზნესის ასოციაცია“, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ბალტიის ქვეყნებში ბიზნესის მდგრად განვითარებაში. ეს ორგანიზაციები წარმოადგენენ ყველაზე მნიშვნელოვან დაინტერესებულ მხარეებს, ვინც მთავრობასთან განიხილავს რეგულაციებში შესატან ცვლილებებს 2023 წელს, როდესაც ამოქმედდება კორპორაციული მდგრადი ანგარიშგების შესახებ ევროკომისიის დირექტივა (CSRD).

---

[20] Assessment of corporate social responsibility performance and state promotion policies : a case study of the Baltic states.
Journal of business economics and management. - Vilnius : VTGU Publ. House "Technika", ISSN 2029-4433, ZDB-ID 2400520-4. - Vol. 21.2020, 4, p. 1203-1224.

2021 წელს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა მთელ მსოფლიოში იქცა სულ უფრო მზარდი მნიშვნელობის საკითხად. COVID-19-ის პანდემიამ კიდევ უფრო წარმოაჩინა CSR-ის მნიშვნელობა ყველა ამ რეგიონში. ბევრი კომპანია მოწოდებულია, კრიზისის დროს მხარი დაუჭიროს საკუთარ თანამშრომლებს, მომხმარებლებსა და საზოგადოებას. მეტიც, კლიმატის ცვლილებასა და სოციალურ უთანასწორობასთან დაკავშირებით სულ უფრო მზარდმა შეშფოთებამ უბიძგა კომპანიებს, დაენერგათ მდგრადი და სოციალური პასუხისმგებლობის შემცველი პრაქტიკა.

მთელ მსოფლიოში სხვადასხვა ქვეყნის მთავრობები იღებენ ზომებს, რომ რეგულაციებითა და სხვადასხვა პოლიტიკური ინიციატივით გაუმკლავდნენ გლობალურ საფრთხეებსა და პრობლემებს. მაგალითად, ევროკავშირმა, აშშ-მ და ავსტრალიამ მიზნად დაისახეს, რომ 2050 წლამდე ნულამდე დაიყვანონ სათბურის აირების გაფრქვევები; ჩინეთს კი მიზნად აქვს, რომ 2060 წლამდე გახდეს ნახშირბადნეიტრალური ქვეყანა. ამგვარი დაპირებები გარდაისახება სხვა რეგულაციებში და აიძულებს ბიზნესკომპანიებს, მოერგონ ცვალებად გარემოს. თუმცა, CSR-ის ქმედებები კიდევ ბევრი სხვა რეგულაციითა და ინიციატივით იმართება.

4. CSR-ის მთავარი მოვლენები, ტენდენციები და სტანდარტები

ბოლო წლებში უდიდესი მნიშვნელობა შეიძინა მდგრადი განვითარების კორპორაციულმა ანგარიშგებამ, ვინაიდან საიმედო და სანდო ანგარიშგებას სულ უფრო მეტი დაინტერესებული მხარე მოითხოვს.

ევროკავშირის კანონი მოითხოვს, რომ ყველა მსხვილმა კომპანიამ და საფონდო ბირჟაზე დარეგისტრირებულმა კომპანიამ (საფონდო ბირჟაზე დარეგისტრირებული მიკროსაწარმოების გარდა) გაამჟღავნოს ინფორმაცია სოციალურ და გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით არსებულ რისკებსა და შესაძლებლობებზე და იმ გავლენაზე, რაც მათ საქმიანობას აქვს ადამიანებსა და გარემოზე.

2021 წლის 21 აპრილს ევროპარლამენტმა წარმოადგინა „შეთავაზება კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგების დირექტივაზე“ (CSRD), რითაც შეცვალა „არასაფინანსო ანგარიშგების დირექტივა“ (NFRD). „მდგრადი ანგარიშგების ევროპული სტანდარტების“ (ESRS) შემოღებით CSRD აყალიბებს მდგრადი განვითარების ანგარიშგების ევროპულ სისტემას. 2023 წლის 5 იანვარს „კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგების დირექტივა“ ძალაში შევიდა და, შესაბამისად, გამკაცრდება წესები კომპანიების მიერ ანგარიშში წარმოსადგენ სოციალურ და გარემოსდაცვით ინფორმაციაზე. ახალი დირექტივის თანახმად, მდგრადი განვითარების ანგარიშის მომზადება მოეთხოვება მეტ მსხვილ კომპანიასა და საფონდო ბირჟაზე დარეგისტრირებულ მცირე და საშუალო კომპანიას. ეს არის დაახლოებით 50 000 კომპანია, რომელმაც უნდა მოამზადოს ანგარიშები ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: კლიმატის ცვლილება, დაბინძურება, ბიომრავალფეროვნება, სამუშაო ძალა, ადგილობრივი თემები, საბოლოო მომხმარებლები, ბიზნესქცევა და სხვა. უნდა აღინიშნოს, რომ სავალდებულო იქნება გარე შეფასება (აუდიტი). CSRD და ESRS ერთად პირველად

გაათანაბრებს არაფინანსური (მდგრადობისა) და ფინანსური ანგარიშგების მნიშვნელობას და მოუწოდებს ევროკავშირის ქვეყნების კომპანიებს, გააკეთონ მეტი, ვიდრე საკანონმდებლო მოთხოვნები ავალდებულებთ.

კიდევ ერთი რეგულაცია უკავშირდება მწვანე (მდგრად) ინვესტიციებს, რაც სულ უფრო ძლიერდება ევროკავშირში. „მდგრადი დაფინანსების გამჟღავნების რეგულაცია“ (Sustainable Finance Disclosure Regulation (SFDR)) ავალდებულებს ბაზრის მონაწილეებს გამჭვირვალე გახადონ თავიანთი ინვესტირების ESG ასპექტები. რეგულაცია ძალაში შევიდა 2021 წლის მარტში „გრინვოშინგის" (greenwashing) პრობლემის გადაჭრის მიზნით და იმის უზრუნველსაყოფად, რომ საფინანსო ბაზრის მონაწილეებმა გახსნან ინფორმაცია საკუთარი ინვესტიციების სოციალურ და გარემოსდაცვით ასპექტებზე. SFDR ეხება საფინანსო ბაზრის სხვადასხვა სახის მონაწილეებს, რომელთა შორისაც ასევე არიან საინვესტიციო მენეჯერები და მრჩევლები, დაზღვევისა და საპენსიო პროვაიდერები. მოთხოვნის შესაბამისად, საფინანსო ბაზრის მონაწილეებმა უნდა გაამჟღავნონ ინფორმაცია მათი ინვესტიციების გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით (ESG) ფაქტორებზე და იმაზე, თუ როგორ ახდენენ ისინი ESG რისკების ინტეგრირებას ინვესტირებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რეგულაცია არის „ევროკავშირის ტაქსონომია“, რომელიც განსაზღვრავს მდგრადი გარემოსდაცვითი ეკონომიკური საქმიანობის მინიმალურ კრიტერიუმებს. ის ძალაში შევიდა 2020 წელს და მოგვცა მდგრადი ეკონომიკური აქტივობების კლასიფიკაციის სისტემა ინვესტიციების მდგრადი ეკოლოგიური პროექტებისკენ წარმართვისთვის. ეს რეგულაცია ეხება კომპანიებს ევროკავშირში და საფინანსო ბაზრის მონაწილეებს, რომლებმაც უნდა გაამჟღავნონ, თუ მათი ინვესტირების რა წილი შეესაბამება ტაქსონომიას. ტაქსონომია მნიშვნელოვანია, ვინაიდან ის ქმნის საერთო ენასა და სისტემას მდგრადი ინვესტირებისთვის, რაც ხელს უწყობს გამჭვირვალობის გაზრდას, „გრინვოშინგის" შემცირებასა და მდგრადი ეკონომიკური განვითარების წახალისებას.

ევროკავშირის ინსტრუმენტები CSR-ის მხარდასაჭერად

ინსტრუმენტი	აღწერა
დირექტივა კორპორაციული მდგრადობის რისკების გამოვლენისა და შემცირების შესახებ (Directive on corporate sustainability due diligence)	2022 წლის 23 თებერვალს ევროკომისიამ მიიღო წინადადება „კორპორაციული მდგრადობის რისკების გამოვლენისა და შემცირების დირექტივის“ შესახებ. ამ დირექტივის მიზანია ხელი შეუწყოს მდგრად და პასუხისმგებელ კორპორაციულ ქცევას და მყარად დაამკვიდროს ადამიანის უფლებებისა და გარემოსდაცვითი საკითხები კომპანიების საქმიანობასა და კორპორაციულ მმართველობაში. ახალი წესები მოითხოვს ბიზნესკომპანიებისგან, მოახდინონ რეაგირება მათი საქმიანობით გამოწვეულ უარყოფით გავლენებზე, მათ შორის, თავიანთ ღირებულებათა ჯაჭვებში ევროპაში თუ მის მიღმა. ამ ვალდებულების საკვანძო ელემენტებია თავად კომპანიის საქმიანობაში, მათ შვილობილ კომპანიებსა და ღირებულებათა ჯაჭვებში ადამიანის უფლებებსა და გარემოზე უარყოფითი გავლენების იდენტიფიცირება, განეიტრალება, პრევენცია, შემცირება და ანგარიშგება. ამას გარდა, გარკვეულ მსხვილ კომპანიებს მოეთხოვებათ ჰქონდეთ გეგმა, რათა უზრუნველყონ თავიანთი ბიზნესსტრატეგიის თავსებადობა გლობალური დათბობის 1.5°C-მდე ლიმიტირებასთან, როგორც ეს პარიზის შეთანხმებითაა განსაზღვრული. ხდება დირექტორების წახალისება, რომ წვლილი შეიტანონ მდგრადობისა და კლიმატის ცვლილების შემცირების ამოცანებში. დადგენილება დაამტკიცა ევროპარლამენტმა და ის შეეხება ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს. დადგენილება შეეხება ევროკავშირის ყველა მსხვილ კომპანიას, ასევე ერთიან ბაზარზე მოქმედ მსხვილ კომპანიებს, რომლებიც არ არიან ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებიდან. დეტალები სრულად იხ.: https://commission.europa.eu/business-economy-euro/doing-business-eu/corporate-sustainability-due-diligence_en

კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგების დირექტივა	2023 წლის 5 იანვარს ძალაში შევიდა „კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგების დირექტივა“ - Corporate Sustainability Reporting Directive (CSRD). ამ ახალი დირექტივით მოხდა იმ წესების განახლება და გაძლიერება, რომლებიც ეხება კომპანიის მიერ სოციალური და გარემოსდაცვითი ინფორმაციის მოწოდებას. ახლა მდგრადი ანგარიშგება მოეთხოვება მსხვილი კომპანიების უფრო ფართო წრეს და ასევე საფონდო ბირჟაზე დარეგისტრირებულ მცირე და საშუალო საწარმოებს. ახალი წესები ინვესტორებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს აძლევს წვდომას ინფორმაციაზე, რაც მათ სჭირდებათ იმ საინვესტიციო რისკების შესაფასებლად, რომლებიც უკავშირდება კლიმატის ცვლილებას და მდგრადი განვითარების სხვა საკითხებს. ეს ახალი წესები დაამკვიდრებს ადამიანებსა და გარემოზე კომპანიების ზემოქმედების შესახებ გამჭვირვალობის კულტურას. კომპანიებს ახალი წესების გათვალისწინება პირველად მოუწევთ 2024 წლის ანგარიშებში, რომლებიც 2025 წელს გამოქვეყნდება. კომპანიებმა, რომლებსაც შეეხება CSRD, ანგარიში უნდა მოამზადონ „მდგრადი ანგარიშგების ევროპული სტანდარტების“ (ESRS) შესაბამისად. სტანდარტების სამუშაო ვერსია შეიმუშავა ორგანიზაციამ EFRAG, რომელიც ადრე „ევროპის ფინანსური ანგარიშგების მრჩეველი ჯგუფის“ სახელით იყო ცნობილი. ეს არის დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეს აერთიანებს. მის მიერ შემუშავებული ანგარიშგების ახალი სტანდარტი ევროკავშირის პოლიტიკის შესაბამისი იქნება და იმავდროულად გაითვალისწინებს და დაეფუძნება არსებულ საერთაშორისო სტანდარტებს ამ სფეროში. დეტალები სრულად იხ.: https://finance.ec.europa.eu/capital-markets-union-and-financial-markets/company-reporting-and-auditing/company-reporting/corporate-sustainability-reporting_en

ევროპის მწვანე შეთანხმება (European Green Deal)	„ევროპის მწვანე შეთანხმებამ“ საფუძველი დაუდო ამ ტრანსფორმაციულ ცვლილებას. ევროკავშირის 27-ვე წევრმა სახელმწიფომ აიღო 2050 წლისთვის ევროკავშირის პირველ კლიმატურად ნეიტრალურ კონტინენტად გადაქცევის ვალდებულება. ამის მისაღწევად აიღეს 2030 წლამდე სათბურის აირების გაფრქვევების მინიმუმ 55 პროცენტით შემცირების ვალდებულება. დეტალები სრულად იხ.: https://commission.europa.eu/strategy-and-policy/priorities-2019-2024/european-green-deal/delivering-european-green-deal_en
ტაქსონომიის რეგულაცია	„ტაქსონომიის რეგულაცია“ გამოქვეყნდა ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში (Official Journal of the European Union) 2020 წლის 22 ივნისს და ძალაში შევიდა 2020 წლის 12 ივლისს. რეგულაციაში დადგენილია ევროკავშირის ტაქსონომიის საფუძვლები და ჩამოყალიბებულია ოთხი ყოვლისმომცველი პირობა, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს ეკონომიკური საქმიანობა, რომ მდგრად გარემოსდაცვით საქმიანობად ჩაითვალოს. პირველი „დელეგირებული აქტის“ (Delegated Act) პუბლიკაციასთან ერთად მიიღეს ევროკომისიის დადგენილება „ევროკავშირის ტაქსონომიაზე, კორპორაციულ მდგრად ანგარიშგებაზე, მდგრადობის პრეფერენციებსა და წარმომადგენლობით ვალდებულებებზე: ფინანსების მიმართვა ევროპის მწვანე შეთანხმებისკენ“, რომლის მიზანიც არის საკვანძო გზავნილების გაჟღერება, თუ როგორ უწყობს ხელს მდგრადი ფინანსების ინსტრუმენტები ფინანსებზე წვდომას გარდამავალ პერიოდში. „დელეგირებული აქტი“, რომელიც არის „ტაქსონომიის რეგულაციების“ მე-8 მუხლის დანამატი, ოფიციალურ ჟურნალში გამოიცა 2021 წლის 10 დეკემბერს და ძალაშია 2022 წლის იანვრიდან. ამ „დელეგირებულ აქტში“ დაკონკრეტებულია იმ ინფორმაციის შინაარსი, მეთოდოლოგია და წარდგენის ფორმა, რომელიც ორგანიზაციებმა უნდა გაამჟღავნონ მათ ბიზნეს,

	საინვესტიციო ან საკრედიტო საქმიანობაში გარემოსდაცვითი თვალსაზრისით მდგრადი ეკონომიკური საქმიანობების წილის შესახებ. 2022 წლის 9 მარტს კომისიამ მიიღო კლიმატის დელეგირებული დამატებითი აქტი, რომელშიც, მკაცრი პირობებით, ევროკავშირის ტაქსონომიაში შემავალი ეკონომიკური საქმიანობების სიაში შედის ბირთვულ და გაზის ენერგიასთან დაკავშირებული კონკრეტული აქტივობები. აქტი ოფიციალურ ჟურნალში 2022 წლის 15 ივლისს გამოქვეყნდა და ძალაშია 2023 წლის იანვრიდან. გაზისა და ბირთვული კონკრეტული საქმიანობის კრიტერიუმები შეესაბამება ევროკავშირის მიზნებს კლიმატსა და გარემოზე და დაეხმარება მყარი ან თხევადი წიაღისეული საწვავიდან (ქვანახშირის ჩათვლით) კლიმატისადმი ნეიტრალური მომავლისკენ გადასვლის დაჩქარებას. დამატებითი დელეგირებული აქტი „დაშენებულია“ ზემოთ მოყვანილ კომისიის კომუნიკაციაზე (Commission Communication) და ბირთვული ენერგიის ქვემოთ ნახსენებ შეფასებაზე.

ევროკავშირის მარეგულირებელი კანონმდებლობის ცვლილებები მიუთითებს კორპორაციული მდგრადობის ხელშეწყობისა და ინვესტიციების მდგრადი ეკონომიკური აქტივობებისკენ მიმართვის გლობალურ ტენდენციებზე. კომპანიებისა და საფინანსო ბაზრების მონაწილეებისგან მათი სოციალური და გარემოსდაცვითი გავლენების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნით ეს რეგულაციები მიზნად ისახავს გამჭვირვალობის გაზრდას და „გრინვოშინგის" შემცირებას და საბოლოოდ – მდგრადი საქმიანობებისა და ინფორმირებული საინვესტიციო გადაწყვეტილებების ხელშეწყობას. „მდგრადი განვითარების ანგარიშგების ევროპული სტანდარტების“ (ESRS) და მდგრადი ეკონომიკური საქმიანობების ტაქსონომიის შექმნა უზრუნველყოფს საერთო ენასა და სისტემას მდგრადი ინვესტირებისთვის. აღნიშნული რეგულაციების სრულმასშტაბიანი ეფექტის მთლიანად დანახვას რამდენიმე წელი დასჭირდება. თუმცა, ევროკავშირში მოქმედმა ბევრმა ბიზნესკომპანიამ, რომელმაც არ იცოდა კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ, დაიწყო იმის გაგება, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ეს საკითხი.

CSR-ის პოლიტიკის საფუძვლების მოკლე ჩამონათვალი – ევროპული და გლობალური

- A renewed EU strategy 2011-14 for corporate social responsibility
- Action plan on human rights and democracy (2015-2019)
- Communication on the next steps for a sustainable European Future
- Reflection paper: towards a sustainable Europe by 2030
- Directive 2014/95/EU on non-financial reporting
- United Nations global compact
- United Nations guiding principles on business and human Rights
- UN 2030 agenda for sustainable development
- ISO 26000 guidance standard on social responsibility
- OECD guidelines for multinational enterprises
- OECD due diligence guidance for responsible business conduct
- Social policy principles for multinational enterprises by the International Labour Organisation

5. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა ეროვნულ და ორგანიზაციულ დონეებზე

მაშინ, როდესაც CSR-ის ქმედებებსა და ESG-ის ანგარიშგებაზე სულ უფრო მეტი გავლენა ექნება ძირითადად ევროპიდან მომდინარე საკანონმდებლო მოთხოვნებს, მსოფლიოს ბევრი ქვეყნის ხელისუფლებამ შეიმუშავა ამა თუ იმ ფორმის პოლიტიკა და მიზნები უფრო პასუხისმგებელი ბიზნესსაქმიანობის წასახალისებლად. ევროკავშირის ბევრმა წევრმა სახელმწიფომ შეიმუშავა CSR-ის მხარდაჭერის ეროვნული სამოქმედო გეგმა, ხოლო სხვა ქვეყნებში, როგორიცაა, მაგალითად, ინდოეთი, პოლიტიკის ინსტრუმენტად გამოყენებულია ადგილობრივი კანონმდებლობა.

ძირითადად, კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობაში ჩასართავად სხვადასხვა ქვეყანა ძირითადად უფრო წახალისების, ვიდრე სადამსჯელო მიდგომას იყენებს. მთავრობის ხელმძღვანელობით განხორციელებულ CSR მიდგომაში წამყვანი ადგილი უჭირავს საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას, CSR ქსელების შექმნის წახალისებასა და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ხელშემწყობი გარემოს შექმნას განათლებისა და ცნობიერების ამაღლების მეშვეობით. შეიქმნა დაჯილდოების პროგრამები კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სფეროში მოწინავე კომპანიებისთვის, ასევე ჩამოყალიბდა CSR-ის ნებაყოფლობითი სტანდარტები, ზოგიერთი – მთავრობის მხარდაჭერით.

მაგალითი: კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ინფრასტრუქტურის განვითარება ირლანდიაში

ირლანდიის CSR-ის ინფრასტრუქტურა შეიქმნა ევროკავშირის 2011 წლის განახლებული CSR-ის იმ სტრატეგიის საპასუხოდ, რომლის მიზანიც იყო კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ევროპული და მსოფლიო მიდგომების დაახლოება. ამ სტრატეგიამ ხაზი გაუსვა, რომ მნიშვნელოვანია გაძლიერდეს CSR-ის ხილვადობა და გავრცელდეს ინფორმაცია წარმატებულ მაგალითებზე, რაც უნდა მოხდეს CSR-ის ინტეგრირებით განათლებაში – ტრენინგებითა და კვლევებით. ამ სტრატეგიის შესაბამისად, ევროკავშირმა მოუწოდა წევრ სახელმწიფოებს, CSR-ის საერთაშორისო მასშტაბით აღიარებულ პრინციპებსა და გაიდლაინებზე დაყრდნობით, ასევე - კომპანიებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით, შეემუშავებინათ CSR-ის ხელშემწყობი საკუთარი გეგმები და დასახონ პრიორიტეტული ქმედებები.

სამუშაო ადგილების შესახებ 2013 წელს მიღებულ სამოქმედო გეგმაში (Action Plan for Jobs) ირლანდიის მთავრობამ აიღო ვალდებულება კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავებასა და გამოქვეყნებაზე. პირველი ეროვნული სამოქმედო გეგმა – „კარგია ბიზნესისთვის, კარგია საზოგადოებისათვის“ – გამოქვეყნდა 2014 წელს. მასში ფორმულირებული იყო ირლანდიაში CSR-ის ზოგადი ჩარჩო; მოცემული იყო ხედვა, თუ როგორ შეუძლია CSR-ს დადებითი წვლილი შეიტანოს კომპანიის საქმიანობაში და ჩამოყალიბებული იყო მთავარი პრინციპები და ამოცანები, რომლებიც საფუძვლად უდევს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მიმართ მთავრობის მიდგომას. აღნიშნული გეგმა წარმოადგენდა ირლანდიაში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მნიშვნელობის გაზრდის საეტაპო საფეხურს.

CSR-ის მეორე სამოქმედო გეგმა ირლანდიაში 2017 წლის ივნისში გამოქვეყნდა, სახელით „პასუხისმგებელი ბიზნესისკენ“. მასში ჩამოყალიბებული იყო 17-ზე მეტი ქმედება შემდეგი 4 მიზნისთვის: (I) ცნობიერება, (II) ხელმისაწვდომობა, (III) მხარდაჭერა და (IV) პოლიტიკის შეთანხმება. ეს გეგმა დაფუძნებული იყო ირლანდიის ამბიციაზე, რომ ქვეყანა აღიარებული იყოს, როგორც „პასუხისმგებელი და მდგრადი ბიზნესსაქმიანობის წარმატებით განხორციელების ცენტრი კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის საუკეთესო მაგალითების დანერგვის გზით“. გეგმა და მასში მოცემული მიზნები შეიქმნა ბიზნესის საკვანძო დაინტერესებულ მხარეებთან, ბიზნესის წარმომადგენელ ორგანიზაციებთან და შესაბამის სამთავრობო დეპარტამენტებსა და სააგენტოებთან ინტენსიური კონსულტაციების შედეგად.

ამასთან, ირლანდიის მთავრობამ ჩამოაყალიბა „CSR-ის დაინტერესებულ მხარეთა ფორუმი“, რომელიც აქტიურად ჩაერთო როგორც 2014, ისე 2017 წლების სამოქმედო გეგმების განხორციელებაში.

„CSR-ის დაინტერესებულ მხარეთა ფორუმი“ არის მოხალისეობრივი ორგანო, რომელშიც წამყვანი როლი აქვს ბიზნესსექტორს. მასში შედიან კომპანიების, სამოქალაქო საზოგადოებისა და მთავრობის წარმომადგენლები. ფორუმის თავმჯდომარეს ნიშნავს წარმოებაზე/ბიზნესსაქმიანობაზე პასუხისმგებლობის მქონე მინისტრი. ფორუმის მთავარი ამოცანაა, ბიზნესკომპანიებთან, სამოქალაქო საზოგადოებასა და მთავრობასთან თანამშრომლობით CSR-ის შესახებ ცოდნის ამაღლება და ირლანდიის კომპანიებში CSR აქტივობების გაძლიერება, რათა მიღწეული იყოს ეროვნულ სამოქმედო გეგმაში დასახული ამოცანები.

ორი ვადის განმავლობაში ირლანდიის CSR ფორუმმა შეძლო შემდეგი შედეგების მიღება:

- csrhub.ie ვებგვერდის შექმნა, რომელიც არის CSR-ის ეროვნული რესურსი და რომელსაც CSR-ის წარმატებული მაგალითების საილუსტრაციოდ აქვს სოციალური მედიის აქტიური მხარდაჭერა.
- ბიზნესსაზოგადოებაში CSR-ის აქტიური ელჩების პანელის შექმნა.
- კერძო და საჯარო სექტორებიდან 100 საუკეთესო მაგალითის შეკრება.
- ყოველწლიური ღონისძიების დაფუძნება – „აღმასრულებელი დირექტორების/ლიდერების CSR-საუზმე“ (CEO/Leaders' Breakfast event)
- მცირე და საშუალო საწარმოებთან საინფორმაციო-საგანმანათლებლო ღონისძიებების საშუალებით ბიზნესკომპანიებში CSR-ის შესახებ ცოდნის გავრცელების ხელშეწყობა
- „საჯარო სექტორის CSR-ის ქსელის“ შექმნა.
- CSR-ის ვირტუალური ქსელის შექმნა CSR-ისა და ფორუმის საქმიანობით დაინტერესებული კომპანიებისა და ორგანიზაციებისთვის.
- საჯარო პოლიტიკის მიზნების შესაბამის საკითხებზე კერძო და საჯარო სექტორების პარტნიორობის შესაძლებლობების ხელშეწყობა

მიუხედავად იმისა, რომ ირლანდიამ დაიწყო CSR-ის 2021 წლის შემდგომ გეგმაზე მუშაობა, კონსულტაციები შეფერხდა პანდემიის გამო.

2023 წელს, კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობაზე ევროკავშირის დირექტივის ამოქმედების შემდეგ, დაიწყო ქვეყნის მასშტაბით კონსულტაციები, თუ როგორ შეიძლება ბიზნესკომპანიების მხარდაჭერა. მეტიც, საფუძველი ჩაეყარა „პასუხისმგებელი ბიზნესის“ ახალ ინიციატივას, რომელშიც შედის ქვეყნის მასშტაბით საინფორმაციო-საგანმანათლებლო და საკომუნიკაციო პროგრამა. CSR ფორუმის ახალი ზუსტი ფორმა დადგინდება მოთხოვნების შესრულების დაჩქარებასთან ერთად, ბიზნესის საჭიროებებიდან გამომდინარე.

როგორც ხშირად ხდება, ბიზნესი მთავრობის პოლიტიკაზე ადრე განვითარდა. მათ, ვისზეც CSR-ისა და ESG-ის ხელშესაწყობად ევროკავშირის მიერ მიღებული დირექტივები და ინსტრუმენტები ყველაზე დიდ გავლენას ახდენს, უკვე შემოღებული აქვთ მდგრადი აქტივობებისა და შესაბამისი ანგარიშგების მკაფიოდ ჩამოყალიბებული სისტემები. CSR-ის განვითარებისა და ანგარიშგების მოდელები განსხვავებულია, მაგრამ, საბოლოო ჯამში, წარმატებული მიდგომები დაფუძნებულია „სისტემურ მიდგომაზე", როდესაც ქმედებები ერთმანეთთან დაკავშირებულია და არცერთი ქმედება არ იწვევს მეორე ქმედების ჩავარდნას ან გაუთვალისწინებელი ეკონომიკური ან სოციალური ზიანის წარმოშობას. სისტემური მიდგომა იძლევა ერთად ფიქრის საშუალებას და მინიმუმამდე დაჰყავს კონტრპროდუქტიული ან ერთმანეთის გადამფარავი ქმედებები. სისტემური მიდგომის მისაღწევად ბიზნესმა უნდა გაითვალისწინოს მისი მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი დაინტერესებული მხარე. „ბუდის პრინციპით სისტემების იერარქია"[21] სასარგებლო ინსტრუმენტია, რომლის საშუალებითაც კომპანიას შეუძლია გამოავლინოს დაინტერესებული მხარეები, განსაზღვროს მათი ჩართულობის პრიორიტეტები და ზეგავლენა.

ქვემოთ მოცემულია იმ ფართო ჩარჩოების მოკლე მიმოხილვა, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იყოს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სისტემური მიდგომისთვის.

მდგრადი განვითარების მიზნები

2015 წლიდან, ანუ მას შემდეგ, რაც შემოიღეს, მდგრადი განვითარების მიზნები არის ერთგვარი განვითარების გზამკვლევი პლანეტისთვის 2030 წლამდე. მდგრადი განვითარების მიზნებში ბიზნესი განიხილება, როგორც სასიცოცხლოდ აუცილებელი პარტნიორი მდგრადი განვითარების მისაღწევად. ეს მიზნები ბიზნესს სთავაზობს მათი მდგრადი და პასუხისმგებელი ბიზნესსაქმიანობის დაგეგმვის, განხორციელებისა და ინფორმაციის გავრცელების სისტემას.

როგორც ამ დოკუმენტში უკვე იყო ყურადღება გამახვილებული, ბევრი ბიზნესკომპანია ფოკუსირდება კონკრეტულ ამოცანებზე, რომლებზეც მათ აქვთ ზეგავლენა ან რომლებსაც საკვანძო ადგილი უჭირავთ მათ ბიზნესმოდელში.

[21] Thatcher, A and Yeow P. Human factors for a sustainable future, 2016.

დიაგრამა 1:

„დონატის“ მოდელი

მდგრადი განვითარების ამოცანები გვაძლევს საკითხების დიდ სპექტრს, სადაც გათვალისწინებული უნდა იყოს მდგრადობა. შესაბამისად, მიკრო დონეზე „დონატის“ ეკონომიკური მოდელი[22] კომპანიებს სთავაზობს განვითარების იმგვარ მოდელს, სადაც გათვალისწინებულია გლობალური ამოცანები.[23] წრიული ეკონომიკის მოდელისგან განსხვავებით[24], „დონატის“ ეკონომიკაში მთავარი გასათვალისწინებელი არის კაცობრიობის ადგილი რამე საქმიანობისას.

---

[22] *Deal*. DEAL. (n.d.). Retrieved March 13, 2023, from https://doughnuteconomics.org/.

[23] Raworth, K., A Safe and Just Space for Humanity Oxfam Discussion Paper, February 2012

[24] Agency, E. P. (n.d.). *The circular economy*. Environmental Protection Agency. Retrieved March 13, 2023, from https://www.epa.ie/environment-and-you/circular-economy/.

დიაგრამა 2:



„დონატის“ მოდელის კონტექსტში პასუხისმგებლობიანი საქმიანობის შეფასებისას მწვანე „დონატის“ მიღმა აღმოჩენილი ქმედებები არის ის ქმედებები, რომლებსაც ესაჭიროებათ მნიშვნელოვანი გარდაქმნა, რათა არ მოხდეს სოციალურ საფუძვლებსა და ეკონომიკურ ჭერს იქით გადასვლა.

მდგრადობის ვიზუალიზაციას „დონატის“ ეკონომიკური მოდელის ჭრილში შეუძლია იმის დემონსტრირება, თუ როგორ შეიძლება გარკვეულ ქმედებებს, თუნდაც SDG-ებთან თანხვედრით, ცალკე განხილვის შემთხვევაში ჰქონდეთ უარყოფითი შედეგი მდგრადობის სხვა ასპექტზე.

წრიული ეკონომიკა

წრიული ეკონომიკა არის წარმოებისა და მოხმარების მოდელი, რომელიც მოიცავს არსებული მასალებისა და საგნების გაზიარებას, ლიზინგს, ხელახალ გამოყენებას, შეკეთებას, განახლებასა და გადამუშავებას იმდენ ხანს, რამდენიც ეს შესაძლებელია. ამ გზით ხდება პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის გახანგრძლივება. პრაქტიკაში ეს ნიშნავს ნარჩენების მინიმუმამდე შემცირებას. მოდელი განსაკუთრებით პოპულარულია კვების პროდუქტების წარმოებასა და კვების პროდუქტების საცალო ვაჭრობის სექტორებში.

დიაგრამა 3:



სამმაგი ფენის მოდელი

ეს მიდგომა ბიზნესის ტრადიციული მოდელის თავდაპირველ სპექტრს ორი ფენის დამატებით აფართოებს. ეს ფენებია: გარემოსდაცვითი ფენა, სასიცოცხლო ციკლის პერსპექტივაზე დაფუძნებული, და სოციალური ფენა, დაინტერესებული მხარეების პერსპექტივაზე დაფუძნებული. ერთად აღებული, ბიზნესის მოდელის სამი ფენა უფრო ნათელს ხდის, თუ როგორ ქმნის ბიზნესი სხვადასხვა ტიპის ღირებულებას – ეკონომიკურს, გარემოსდაცვითს და სოციალურს. ბიზნესმოდელის ვიზუალურად წარმოდგენა ამ „ინსტრუმენტის“ საშუალებით ხელს უწყობს ბიზნესმოდელის უფრო მთლიანი და ინტეგრირებული ხედვის შემუშავებასა და გავრცელებას, რაც ასევე შემოქმედებითად ეხმარება უფრო მდგრადი ბიზნესმოდელებისკენ სვლას.[25]

[25] YouTube. (2020, February 12). *5.2 dr. Steve Kennedy: Triple layered business model canvas*. YouTube. Retrieved March 14, 2023, from https://www.youtube.com/watch?v=DpnbqBD8bVA.

დიაგრამა 4:



6. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა საქართველოში

საქართველოში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა შედარებით ახალი კონცეფციაა. მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა მრავალი წლის წინ დაიწყეს მისი კვლევა და მხარს უჭერდნენ მის დანერგვას, დღეისათვის არც საზოგადოებაში და არც ბიზნესორგანიზაციებში არ არის საკმარისი ცოდნა არც საკუთრივ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობისა და არც მისი დადებითი შედეგების შესახებ.

საქართველოს შესახებ შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფო არ ატარებს ერთიან პოლიტიკას კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სტანდარტების დასანერგად, იგი არ უწევს კოორდინაციას CSR-ის განხორციელებას, თუმცა ხელისუფლების ცალკეული აქტივობები, საბოლოო ჯამში, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ამოცანებს ეხმიანება. კერძოდ, 2015 წელს საქართველოს მთავრობამ დაიწყო გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების ნაციონალიზაციის პროცესი, გაეროს განვითარების 17-ვე მიზანი და 93 ამოცანა განისაზღვრა ეროვნულ პრიორიტეტად, საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტების მხარდაჭერით შემუშავდა მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების მატრიცა, რომელშიც ასახულია ის ამოცანები, რომელთა განხორციელებაც საქართველომ უნდა შეძლოს

2030 წლამდე. ამავდროულად, მდგრადი განვითარების მიზნები წარმოადგენს გარკვეულ ჩარჩო-დოკუმენტს ბიზნესის წარმომადგენლებისათვის, თუ როგორ დაგეგმონ CSR სტრატეგია და რომელი ინდიკატორების შესრულებაზე აიღონ პასუხისმგებლობა.[26]

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 13 დეკემბრის 551-ე დადგენილებით, შექმნილია ადამიანის უფლებების უწყებათაშორისი საბჭო. ამ საბჭოს ამოცანებს შორისაა ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში საქართველოს მთავრობის ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება და ადამიანის უფლებების დაცვის სამოქმედო გეგმის შემუშავება, განხილვა და დასამტკიცებლად მთავრობისთვის წარდგენა.[27] საბჭო სტრატეგიის განსახორციელებლად ავითარებს სამოქმედო გეგმებს. სამოქმედო გეგმებში ადამიანის უფლებებისა და ბიზნესის ურთიერთქმედების საკითხებს ცალკე თავები აქვს დათმობილი. კერძოდ, 2016-2017 წლების საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის 24-ე თავი შეეხება ბიზნესსა და ადამიანის უფლებებს,[28] ხოლო 2018-2020 წლების საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობოს სამოქმედო გეგმის 25-ე თავი – ბიზნესსა და ადამიანის უფლებებს.[29]

ადამიანის უფლებების უწყებათაშორისი საბჭოს სამოქმედო გეგმებით გათვალისწინებულია ისეთი ვალდებულებები, როგორიცაა ბიზნესის მიერ ადამიანის უფლებების დაცვისა და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარების ხელშეწყობა, ინფორმირებისა და ცნობიერების ამაღლება, ბიზნესისა და ადამიანის უფლებების დაცვის შესახებ ერთიანი პოლიტიკის შემუშავება და მისი ეფექტიანი განხორციელება, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების პროცესში ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხების წამახალისებელ და სავალდებულო დონეზე გათვალისწინება.[30]

აღსანიშნავია, რომ საქართველოს პარლამენტმა 2023 წლის 23 მარტის დადგენილებით (N2663-XIმს-Xმპ) დაამტკიცა საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია (2022–2030 წლებისთვის), რომელიც სხვა საკითხებთან ერთად, ითვალისწინებს: შრომითი უფლებების ხელშემწყობი სამართლებრივი ბაზისა და ეროვნული მექანიზმების გაძლიერებას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და საწარმოების მიერ ადამიანის უფლებათა დაცვას სოციალური კეთილდღეობის გაუმჯობესების მიზნით.[31]

---

[26]დამატებითი ინფორმაციისთვის იხ.: https://csrgeorgia.com/ka/csr-in-georgia/public-policy?id=0.

[27] საქართველოს მთავრობის დადგენილება N 551, 2016 წლის 13 დეკემბერი, ადამიანის უფლებების უწყებათაშორისი საბჭოს დებულება, მუხლი 3.

[28] საქართველოს მთავრობის დადგენილება N338, 2016 წლის 21 ივლისი, ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2016-2017 წლებისათვის) დამტკიცების შესახებ.

[29] საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა 2018-2020 წლებისათვის.

[30] დამატებითი ინფორმაციისთვის იხ.: https://csrgeorgia.com/ka/csr-in-georgia/public-policy?id=1.

[31] საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია 2022-2030 წლებისთვის, გვ. 19-22.

ზემოთ აღნიშნული საკითხების გარდა, საქართველო მუშაობს მწვანე ეკონომიკის მიმართულებითაც, რაც ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. 2016 წელს საქართველო შეუერთდა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მწვანე ზრდის დეკლარაციას, რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენს ქვეყნებს შორის თანამშრომლობა მწვანე ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობისათვის.[32]

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შემადგენელი სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხი იყო გათვალისწინებული სტრატეგიულ დოკუმენტში „საქართველო 2020“.[33] კერძოდ, სტრატეგია ითვალისწინებდა შრომის ბაზრის განვითარების პროცესში დასაქმებულის უფლებების დაცვას, ევროპული გამოცდილების გათვალისწინებით დასაქმებულის უფლებების დაცვის მექანიზმების შემუშავებას, გარემოს დაცვაზე ორიენტირებული თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას და „მწვანე ეკონომიკის“ განვითარებას.

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება ითვალისწინებს პასუხისმგებლობიანი ბიზნესსაქმიანობის განხორციელების ვალდებულებას. კერძოდ, დასახელებულ საკითხს ითვალისწინებს შეთანხმების მე-13 თავის (ვაჭრობა და მდგრადი განვითარება) 231e, 239g მუხლები და მე-14 თავის (დასაქმება, სოციალური პოლიტიკა და თანაბარი შესაძლებლობები) 348, 349i, 352 მუხლები. გარდა ამისა, ასოცირების შეთანხმება ითვალისწინებს ისეთ ვალდებულებებსაც, როგორიცაა გარემოს დაცვა (მე-VI კარის მე-3 თავი), მომხმარებელთა უფლებების დაცვა (მე-13 თავი) და სხვა ვალდებულებებს, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება კორპორაციული პასუხისმგებლობის საკითხებს.[34]

მიუხედავად დასახელებული ინიციატივებისა, საქართველოში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის დანერგვასა და განხორციელებას არ აქვს კოორდინირებული ხასიათი. სახელმწიფო არ ახდენს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ერთიანი ფორმით განვითარებას, შედეგად, CSR-ის პოლიტიკის განხორციელება გადადის სამოქალაქო საზოგადოების ხელში, რომელიც ცალკეული ინიციატივების გზით ახერხებს CSR-ის პრინციპების გარშემო ბიზნესის, სამოქალაქო სექტორისა და ცალკეული სახელმწიფო ორგანიზაციების გაერთიანებას. ასეთ ორგანიზაციებს შორის გამორჩეულია „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი“ (CSRDG), რომელიც დაახლოებით 20 წელია, რაც ხელს უწყობს საქართველოში CSR-ის დანერგვას. CSRDG-ის ძირითად ინიციატივებს შორისაა 2018 წელს დაფუძნებული საქართველოს პასუხისმგებელი ბიზნესის კონკურსი Meliora; CSR მედია კონკურსი „ჟურნალისტები კორპორაციული სოციალური

---

[32] დამატებითი ინფორმაციისთვის იხ.: https://csrgeorgia.com/ka/csr-in-georgia/public-policy?id=2

[33] საქართველოს მთავრობის დადგენილება N400, 2014 წლის 17 ივნისი, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის „საქართველო 2020“ დამტკიცებისა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე.

[34] იხ.: https://csrgeorgia.com/ka/csr-in-georgia/public-policy?id=3.

პასუხისმგებლობისთვის"; საქართველოს პრო ბონო ქსელი; საინფორმაციო პორტალი CSR HUB Georgia, CSR-ზე პირველი ქართული სახელმძღვანელოს მომზადება, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სასწავლო კურსის შემუშავება უნივერსიტეტებისთვის და სხვა.

2022 წელს CSRDG-ის ინიციატივით დაფუძნდა CSR-ის დაინტერესებულ მხარეთა ფორუმი, რომელიც 40-ზე მეტ ორგანიზაციას აერთიანებს სამივე სექტორიდან და წარმოადგენს დიალოგისა და თანამშრომლობის პლატფორმას სხვადასხვა სექტორისთვის კორპორაციული პასუხისმგებლობისა და მდგრადობის საკითხებზე.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ CSR-ის სწავლება საქართველოს უნივერსიტეტებში 2011 წელს დაიწყო – კავკასიის ბიზნესსკოლა იყო პირველი ქართული უნივერსიტეტი, რომელმაც შემოიღო კურსი „კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა" (კურსი CSRDG-სთან თანამშრომლობით შემუშავდა და დაინერგა). ამ დროისთვის, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა საქართველოს მასშტაბით ისწავლება 10-ზე მეტ უნივერსიტეტში, საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურებზე. მათ შორის ისეთ უნივერსიტეტებში, როგორიცაა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველოს უნივერსიტეტი და გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი. CSR-ი ძირითადად ისწავლება ბიზნესადმინისტრირების, საზოგადოებასთან ურთიერთობის და კომუნიკაციის, ასევე ტურიზმის მიმართულებით; საგნებს ეწოდება: ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა და ეთიკა, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა და ბიზნესეთიკა და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა.[35]

CSR-ის სფეროში ინიციატივების დანერგვისა და განვითარების თვალსაზრისით სამოქალაქო საზოგადოებიდან გამორჩეულია გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელი (GCNG), რომელმაც საქმიანობა 2006 წელს დაიწყო. მისი მისიაა საქართველოში გლობალური შეთანხმების ათი პრინციპის მხარდაჭერა და გაეროს განვითარების მიზნების განხორციელებაში წვლილის შეტანა.[36]

მდგრადი ფინანსების მხარდაჭერასთან დაკავშირებით, სხვა სახელმწიფო ინიციატივებთან ერთად, საინტერესოა საქართველოს ეროვნული ბანკის ინიციატივები. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მდგრადი საფინანსო ჩარჩოს განვითარებაზე მუშაობა 2017 წლიდან დაიწყო, მას შემდეგ, რაც მდგრად საბანკო ქსელში (SBN) გაწევრიანდა. საქართველოს ეროვნული ბანკი მხარს უჭერს ქვეყნის მდგრად განვითარებაში ფინანსური სექტორის როლის გაძლიერებას და ხელს უწყობს მწვანე, სოციალური და მდგრადი დაფინანსების ჩარჩოს

---

[35] დამატებითი ინფორმაციისთვის იხ.: https://csrgeorgia.com/ka/csr-in-georgia/csr-education-in-georgia.

[36] დამატებითი ინფორმაციისათვის იხ.:https://unglobalcompact.ge/msoflios-umskhvilesi-qseli-pasukhismgebliani-da-mdgradi-biznesistvis/.

განვითარებას. ეს ფინანსური ჩარჩო გულისხმობს ფინანსური სექტორის და კაპიტალის ბაზრის მონაწილეების მიერ სოციალური და გარემოსდაცვითი საკითხების და მათთან დაკავშირებული რისკების გათვალისწინებას და მართვას. „მდგრადი დაფინანსება“, ევროკავშირის კომისიის მიხედვით, ორ მნიშვნელოვან ნაწილს აერთიანებს: (1) ფინანსების ისეთი პროექტებისკენ წარმართვას, რომლებიც ხელს შეუწყობს მდგრად და ინკლუზიურ ზრდას და (2) ფინანსური სტაბილურობის გაუმჯობესებას საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღების პროცესში გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) ფაქტორების გათვალისწინებით.[37]

სიახლეებია ასევე შესყიდვების კანონმდებლობაშიც, კერძოდ, 2023 წელს მიიღეს „საჯარო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს ახალი კანონი,[38] რომელიც მიზნად ისახავს ჩაატაროს შესყიდვების კანონმდებლობის ფუნდამენტური რეფორმა მისი ევროპულ კანონმდებლობასთან დაახლოების მიზნით. ეს რეფორმა ქართულ კომპანიებს შესაძლებლობას მისცემს სრულად ისარგებლონ შესყიდვების ევროპული ბაზრით. ახალი კანონის სხვადასხვა ნაწილი ეტაპობრივად ამოქმედდება 2025 წლიდან 2029 წლამდე შუალედში. ევროკავშირისა და საქართველოს ასოცირების საბჭოს 2022 წლის 22 ივლისის გადაწყვეტილების საფუძველზე, ევროკავშირის შესყიდვების ბაზარი ისეთ კონტრაქტებთან დაკავშირებით, რომელთა ღირებულებაც აღემატება 144000 ევროს, ღიაა ქართული კომპანიებისთვისაც. ეს დამატებით მოტივაციას შესძენს ქართულ კომპანიებს, რომ საკუთარ საქმიანობაში დანერგონ მწვანე და მდგრადი ბიზნესპრაქტიკა.[39]

ზოგადი თვალსაზრისით უნდა ითქვას, რომ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის დანერგვა მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო საწარმოების დონეზეც. ეს ხელს შეუწყობს მათი აქტივობების მდგრადობას და ეფექტიანობის დაცვას. ამავდროულად, მცირე და საშუალო ზომის საწარმოებში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის დანერგვამ შესაძლოა გაამლიეროს ასეთი საწარმოების კონკურენტუნარიანობა და ხელი შეუწყოს ახალი შესაძლებლობების განვითარებას. კვლევები ადასტურებს, რომ მცირე და საშუალო ზომის კომპანიებში CSR-ის დანერგვა უფრო ნაკლებად ხარჯიანი პროცესია, ვიდრე დიდი ზომის კომპანიებში. კერძოდ, მცირე და საშუალო ზომის კომპანიებს ჰყავთ ნაკლები თანამშრომელი და მათთვის უფრო მარტივია კორპორაციული კულტურის განვითარება; მცირე და საშუალო ზომის ბიზნესი შემოქმედებითი და ინოვაციურია, აქვს ნაკლებად

---

[37] დამატებითი ინფორმაციისთვის იხ.: https://shorturl.at/fpwT5

[38] საქართველოს კანონი „საჯარო შესყიდვების შესახებ“, გამოქვეყნების თარიღი: 27.02.2023, საქართველოს პარლამენტი.

[39] დამატებითი ინფორმაციისთვის იხ.: https://www.eeas.europa.eu/delegations/georgia/new-business-opportunities-georgian-companies-access-eu%E2%80%99s-public-procurement_en

ფორმალური და ბიუროკრატიული ორგანიზაციული სტრუქტურა, რის გამოც უფრო მარტივად და სწრაფად შეუძლიათ შეცვლილ გარემოებებთან ადაპტირება.[40]

საქართველოში განხორციელებულ ინიციატივებს შორის მნიშვნელოვანია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მმართველობის ანგარიშგების წარდგენა. მმართველობის ანგარიშგება მოიცავს არაფინანსური ანგარიშგების ნაწილისაც. დასახელებული კანონის მე-7 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, არაფინანსური ანგარიშგება მოიცავს, სულ მცირე, გარემოს დაცვის, სოციალური, დასაქმების, ადამიანის უფლებების დაცვისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე სუბიექტის საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის ზეგავლენის დასადგენად აუცილებელ ინფორმაციას.[41] ამასთან, ანგარიშგებების წარდგენის პრაქტიკა მხოლოდ რამდენიმე წელს ითვლის და ამდენად, ანგარიშგებების ფორმისა და ერთგვაროვანი პრაქტიკის დახვეწასთან ერთად გაჩნდება ხარისხობრივი სტატისტიკისა და უკეთესი ანალიზის შესაძლებლობაც.

დასასრულს უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსი ითვალისწინებს საქველმოქმედო საქმიანობის საკითხსაც, რაც დამატებითი სტიმული უნდა იყოს ორგანიზაციებისთვის, რომ მონაწილეობა მიიღონ ქველმოქმედებაში. კერძოდ, საგადასახადო კოდექსის მე-9 მუხლის თანახმად, საქველმოქმედო საქმიანობა არ მიეკუთვნება ეკონომიკური საქმიანობის რიცხვს. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 97-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „ორგანიზაციის, რომელიც ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას, მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია: გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან ან/და არ გამომდინარეობს ამ ორგანიზაციის საქმიანობის მიზნიდან (მათ შორის, არ არის დაკავშირებული საქველმოქმედო საქმიანობასთან ან არ გამომდინარეობს გრანტის ხელშეკრულების მიზნიდან)“.[42] საგადასახადო კოდექსის 98-ე (მესამე პრიმა) მუხლის მესამე პუნქტის თანახმად, მოგების გადასახადით არ იბეგრება უსასყიდლოდ საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის ან/და ფულადი სახსრების გადაცემის ისეთი შემთხვევა, როგორიცაა კალენდარული წლის განმავლობაში საქველმოქმედო ორგანიზაციისთვის გაცემული შემოწირულება, რომელიც მის მიერ წინა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული წმინდა მოგების 10 პროცენტს არ აღემატება. შესაბამისად, კანონით განსაზღვრულ ფარგლებში, საქველმოქმედო საქმიანობა გათავისუფლებულია გადასახადებისაგან. თუმცა ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ გადასახადებისგან თავისუფალი საქველმოქმედო საქმიანობის განხორციელებისათვის

---

[40] ლელა ხოფერია, ელენე ჩხეიძე, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სახელმძღვანელო მცირე და საშუალო კომპანიებისთვის, 2018, CSRDG, გვ. 15.

[41] საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“, მუხლი 7, გამოქვეყნების თარიღი 24/06/2016, საქართველოს პარლამენტი.

[42] საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 97.2, გამოქვეყნების თარიღი 12/10/2010, საქართველოს პარლამენტი.

საჭიროა ფინანსური რესურსების მიწოდება საქველმოქმედო ორგანიზაციისათვის, რომელსაც საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად მინიჭებული აქვს საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსი.

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ქართული კონტექსტის განხილვა მნიშვნელოვანია საერთაშორისო კონტექსტთან მიმართებით. წინამდებარე დოკუმენტში გამოყენებული კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ევროპული მაგალითების შედარება შესაძლებლობას გვაძლევს ჩამოვაყალიბოთ რეკომენდაციები, რომლებიც დაეხმარება სახელმწიფო, კერძო და სამოქალაქო ორგანიზაციებს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის დანერგვის მხარდაჭერაში.

III. საქართველოში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მხარდაჭერის სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები

წინამდებარე ნაწილში წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომლებიც ხელს შეუწყობს საქართველოს ხელისუფლებას შექმნას კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ინსტიტუციური გარემო; მიმოხილულია ევროკავშირის ქვეყანათა შესაბამისი ინიციატივები, CSR-ის ხელშემწყობი ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების მაგალითები, რასაც დიდწილად ეფუძნება შემუშავებული რეკომენდაციები.

მასალა დაჯგუფებულია სამი ძირითადი მიზნის გარშემო, რომელთა განხორციელებასაც ხელი უნდა შეუწყოს წარმოდგენილმა რეკომენდაციებმა. პირველი მიზანი უკავშირდება CSR-ის განვითარების კოორდინაციის საკითხს სახელმწიფო ინსტიტუტებსა და დაინტერესებულ მხარეებს შორის. ამ მიზანთან დაკავშირებულ თავებში განხილულია ისეთი საკითხები, როგორიცაა: კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის დანერგვაზე პასუხისმგებელი ინსტიტუციური სახელმწიფო უწყების შექმნა; მხარეთა დიალოგის წარმართვის ეფექტური ინსტრუმენტის არსებობა; კორპორაციული პასუხისმგებლობის განვითარების მონიტორინგი და შედეგების შეფასების მექანიზმები.

მეორე მიზანი უკავშირდება კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მხარდაჭერის ღონისძიებების განხორციელებას. ამ მიზნის კონტექსტიდან გამომდინარე, შესაბამის ქვეთავებში განხილულია კორპორაციული პასუხისმგებლობის წახალისების ფისკალური ინსტრუმენტები, CSR-ის მხარდაჭერა მცირე და საშუალო საწარმოებში, ასევე CSR-ის დანერგვის ხელშეწყობა სახელმწიფო საწარმოებში; მდგრადობის და კორპორაციული პასუხისმგებლობის კრიტერიუმების შეტანა საჯარო შესყიდვების პროცესში და გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის წახალისება.

მესამე მიზანი უკავშირდება შესაძლებლობების განვითარებას და საუკეთესო გამოცდილების გაზიარებას CSR-ის დანერგვის თვალსაზრისით. ამ მიზნის განსახორციელებლად გამოყოფილია ისეთი საკითხები, როგორიცაა: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პროგრამებში CSR-ის სწავლების ინტეგრირება; ცნობიერების ამაღლება და ინფორმაციის მიწოდება კომპანიებისა და საზოგადოებისათვის; კარგი პრაქტიკის გაზიარება და კომპანიების მოტივაციის ხელშეწყობა CSR-ის დასანერგად; სოციალურ და გარემოსდაცვით საკითხებზე გამჭვირვალობის უზრუნველყოფა და მდგრადი განვითარების

ანგარიშგების პრაქტიკის დანერგვა; კარგი კორპორაციული მართვის სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობა; პასუხისმგებელი ბიზნესსაქმიანობის ძირითადი საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობა, როგორიცაა ISO26000, OECD-ის სახელმძღვანელო მითითებები მრავალეროვანი საწარმოებისთვის, გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები ბიზნესისა და ადამიანის უფლებების შესახებ, GRI ანგარიშგების სტანდარტები და მოპოვებითი მრეწველობის გამჭვირვალობის ინიციატივის სტანდარტები.

მიზანი 1. CSR-ის განვითარებისკენ მიმართულ ქმედებათა კოორდინირება სახელმწიფო უწყებებსა და დაინტერესებულ მხარეებს შორის

1.1 კორპორაციული პასუხისმგებლობის დანერგვაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყების შექმნა და საჯარო მოხელეთა ცოდნისა და უნარების განვითარება CSR-ის საკითხებზე

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპების დანერგვისთვის მნიშვნელოვანია სხვადასხვა სახელმწიფოს გამოცდილების გათვალისწინება. როგორც წესი, ევროპული ქვეყნები კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განხორციელების პროცესში თანამშრომლობის მიზნებისთვის ქმნიან, ერთი მხრივ, საბჭოებს, სადაც თანაბრად არიან წარმოდგენილი სახელმწიფო, სამოქალაქო, ბიზნეს და საგანმანათლებლო ორგანიზაციები, ხოლო მეორე მხრივ, კონკრეტულ სახელმწიფო უწყებებს, რომლებიც ახორციელებენ ღონისძიებებს CSR-ის დასანერგად.

სახელმწიფო უწყებებისთვის, რომლებიც პასუხისმგებელი იქნებიან CSR-ის დანერგვაზე, მნიშვნელოვანი ფაქტორია CSR სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების, შესაბამისი უწყებების კოორდინირებისა და ჩართულობის, ასევე, რესურსების იდენტიფიცირებისა და პასუხისმგებლობების გადანაწილების მიმართულებები. ხშირად სწორედ ეს უწყება წარმოადგენს მხარეთა დიალოგის პლატფორმის სამდივნოს და ამ პლატფორმის შესაბამისი ორგანიზაციებით დაკომპლექტების სახელმწიფო ორგანოს. თუმცა, მიუხედავად იმისა, იქმნება თუ არა ასეთი უწყებები კონკრეტული სამინისტროს ბაზაზე, აუცილებელია მათი საქმიანობის პროცესში სხვა სახელმწიფო უწყებების ჩართულობაც. CSR-ის ხელშემწყობი ღონისძიებების სამოქმედო გეგმის განხორციელება ვერ იქნება ერთი რომელიმე უწყების პრეროგატივა – მის განხორციელებაში ჩართული უნდა იყოს ყველა სახელმწიფო ორგანო.

ჩეხეთის რესპუბლიკის ეროვნული სამოქმედო გეგმა (2016-2018) კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ ითვალისწინებს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის კოორდინატორის (წარმოდგენილი ჩეხეთის მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს სახით) არსებობას, რომელიც ფასილიტაციას უწევს თანამშრომლობის პროცესს,

სადაც ჩართულები არიან სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციები.[43] ჩეხეთის მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრო მართავს ჩეხეთის ხარისხის საბჭოს (Quality Council). ამ სამინისტროს წარმომადგენელი ინიშნება ხარისხის საბჭოს თავმჯდომარედ. სამოქმედო გეგმის შედგენის დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ბიზნესის მწარმოებელთა მოსაზრებებს, სხვა სამინისტროების ჩართულობას და თანამშრომლობას აკადემიურ სფეროსთან.[44] ამავდროულად, ჩეხეთის სამოქმედო გეგმაში მითითებულია, რომ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების შემსრულებელი არის არა მარტო ჩეხეთის მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრო, არამედ, ასევე, შრომისა და სოციალურ საკითხთა სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, რეგიონული განვითარების სამინისტრო, გარემოს დაცვის სამინისტრო, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, არასამთავრობო ორგანიზაციები, ასოციაციები და სამოქალაქო პლატფორმები. მაგალითად, სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ კარგი პრაქტიკის შესახებ ინფორმაციის გაცვლა. ამ ვალდებულების შესრულებაში თანაბრად არიან ჩართული როგორც სამინისტროები, ასევე ხარისხის საბჭო და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები.[45]

ირლანდიის მეწარმეობისა და ინოვაციის დეპარტამენტი (Department of Enterprise and Innovation (DEI)), რომელიც მეწარმეობის, ვაჭრობისა და დასაქმების სამინისტროში შემავალი დეპარტამენტია, სახელმწიფო პასუხისმგებელი უწყებაა ირლანდიაში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის დანერგვა-განვითარებაზე. მაგალითისთვის, DEI-მ ახალი სამოქმედო გეგმის შემუშავების წინ დაუკვეთა შეფასებითი კვლევა კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის აქტივობების შესახებ ირლანდიაში, რომლის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა 1400 ბიზნესორგანიზაცია. კვლევამ აჩვენა CSR-ის შესახებ ცნობიერების ზრდა ორგანიზაციებში.[46] აღსანიშნავია, რომ სამოქმედო გეგმის თითქმის ყველა ვალდებულების შესრულებაში მეწარმეობისა და ინოვაციის დეპარტამენტთან ერთად მითითებულია CSR ფორუმიც.

გერმანიის შემთხვევაში, შრომისა და სოციალურ საკითხთა სამინისტრო წარმოადგენს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განხორციელებაზე პასუხისმგებელ უწყებას. ეს უწყება კოორდინაციას უწევს CSR სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებას. ამას იგი აკეთებს სხვა სახელმწიფო უწყებებთან, კერძო და სამოქალაქო სექტორთან თანამშრომლობით.[47]

---

[43] National Action Plan for Corporate Social Responsibility in the Czech Republic 2016-2018, გვ. 17.
[44] იქვე, გვ. 7.
[45] იქვე, გვ. 16.
[46] Ireland's National Action Plan on Corporate Social Responsibility 2017-2020, გვ. 10.
[47] National Strategy for Corporate Social Responsibility – Action Plan for CSR – of the German Federal Government, 2010, გვ. 4.

უკრაინის სამოქმედო გეგმა კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მიმართულებით გამოყოფს ეკონომიკური განვითარებისა და ვაჭრობის სამინისტროს როლს, თუმცა ხაზს უსვამს სხვა სახელმწიფო უწყებების, ასევე, სამოქალაქო აქტორების ჩართულობის მნიშვნელობას სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში. მაგალითისთვის შეიძლება აღინიშნოს, რომ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ეროვნული და რეგიონული სამოქმედო გეგმების განვითარება და დანერგვა, მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების მხარდაჭერის მიზნით, ხორციელდება ისეთი უწყებების და დაინტერესებული მხარეების თანამშრომლობითა და ჩართულობით, როგორიც არიან: რეგიონული განვითარების სამინისტრო, ფინანსთა სამინისტრო, ქალაქ კიევის თვითმმართველობის ორგანოები, ასევე, ბიზნესასოციაციები, გაეროს ორგანიზაციები უკრაინაში და ბიზნესსაწარმოები.[48]

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის დანერგვა და განხორციელება ევროპის სახელმწიფოებში, როგორც წესი, მიმდინარეობს სახელმწიფო ხელისუფლების კოორდინაციით. მართალია, სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივებს ენიჭება დიდი მნიშვნელობა, მაგრამ იქამდე, სანამ სამთავრობო სტრუქტურების ფარგლებში არ შეიქმნება CSR-ის მაკოორდინირებელი უწყება კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სტანდარტების დანერგვის კოორდინირებისთვის, სახელმწიფო უწყებების, სამოქალაქო და ბიზნესორგანიზაციების ჩართულობა ამ პროცესში ვერ იქნება მდგრადი ხასიათის.

რეკომენდაციები

- უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის დანერგვის თვალსაზრისით განხილული სახელმწიფოები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ კონკრეტული სახელმწიფო უწყების არსებობას. შესაბამისად, საქართველოს შემთხვევაშიც მნიშვნელოვანი იქნება CSR-ის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ერთი უწყების შექმნა ან ამ როლის რომელიმე უწყებისათვის მიკუთვნება.
- საქართველოს პერსპექტივიდან გამომდინარე, შესაძლებელია CSR-ის განმახორციელებელი უწყების შექმნა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ფარგლებში, თუმცა აუცილებელია სხვა სამინისტროებთან მჭიდრო კოორდინაცია, განსაკუთრებით, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ასევე გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროს და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროებთან. მეორე მხრივ, შესაძლებელია ისეთი უწყების შექმნა, რომელიც

[48] უკრაინის 2020 წლის სამოქმედო გეგმა, გვ. 3.

ერთდროულად დაექვემდებარება როგორც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, ასევე ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კოორდინაციას.

- CSR-ის დანერგვაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყების შექმნა ასევე იწვევს ასეთი უწყების თანამშრომელთათვის ტრენინგების და შესაბამისი გადამზადების ჩატარების აუცილებლობას. აუცილებელია არა მხოლოდ უწყების შექმნა, არამედ ასეთი უწყების კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტება.
- ბოლოს, მნიშვნელოვანია არა უბრალოდ კონკრეტული პასუხისმგებელი უწყების შექმნა, არამედ სხვა სახელმწიფო უწყებების, სამოქალაქო და კერძო სექტორის წარმომადგენლების აქტიური თანამშრომლობა ამ უწყებასთან სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში.

1.2 კორპორაციული პასუხისმგებლობისა და მდგრადობის საკითხებზე დაინტერესებულ მხარეთა დიალოგისა და სექტორთაშორისი თანამშრომლობის ხელშეწყობა

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის დანერგვა შეუძლებელია დაინტერესებულ მხარეთა კოორდინაციისა და თანამშრომლობის გარეშე. მაგალითად, CSR-ის დასანერგად მნიშვნელოვანია თანამშრომლობა ბიზნესსა და სახელმწიფოს შორის, სამოქალაქო სექტორს, კვლევით ორგანიზაციებსა და უნივერსიტეტებს შორის. ამის შესაძლებლობა იქმნება, ერთი მხრივ, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლების გამოკვლევითა და მისი დადებითი ზეგავლენის მხარეების შესწავლით, ხოლო მეორე მხრივ, მისი განხორციელების ინტერინსტიტუციური გზების შემუშავებით.

დაინტერესებულ მხარეთა დიალოგის ფორმალიზების შემთხვევაში, სახელმწიფო ქმნის ინტერინსტიტუციურ საბჭოს, რომლის შემადგენლობაშიც შედიან აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების, ბიზნესორგანიზაციების, სამოქალაქო სექტორისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები. ასეთი ინტერინსტიტუციური საბჭო ქმნის სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმას და განსაზღვრავს რამდენიმე წელს ასეთი სამოქმედო გეგმის განსახორციელებლად. თუმცა სხვადასხვა სახელმწიფოს და იქ არსებული კომერციული და არაკომერციული ორგანიზაციებს განსხვავებული მიდგომა აქვს მხარეთა დიალოგის ფორმატთან დაკავშირებით.

მსგავსად ინტერინსტიტუციური საბჭოებისა, საქართველოში სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით სამუშაო პროცესის ორგანიზებისა და წარმართვის მიზნით გავრცელებული პრაქტიკაა უწყებათაშორისი საბჭოების შექმნა. მაგალითად, სისხლის სამართლის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო, კერძო სამართლის რეფორმის განმახორციელებელი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის

უწყებათაშორისი კომისია და ა.შ.[49] ასეთი საბჭოები შეიმუშავებენ სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმას და საბჭოში შემავალი დაინტერესებული პირები ჩართულები არიან სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საკითხების განხორციელებაში.

საქართველოში ამ დროისთვის არსებობს ევროკავშირის მხარდაჭერით შექმნილი „CSR-ის დაინტერესებულ მხარეთა ფორუმი", რომელიც მოიცავს ბიზნესორგანიზაციებს, ასოციაციებს, სახელმწიფო დაწესებულებებს, უნივერსიტეტებსა და სამოქალაქო სექტორს. ასეთი თანამშრომლობის მიზანია როგორც სახელმწიფოს, ისე დაინტერესებული სუბიექტების ჩართულობით კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის დანერგვის ხელშეწყობა.

იმისათვის, რომ ხელი შეეწყო მდგრადი განვითარების მიზნების შესრულებაში ბიზნესის აქტიური მონაწილეობისთვის, ევროკომისიამ წამოაყენა წინადადება შექმნილიყო ევროკავშირის CSR-ის მრავალმხრივი ფორუმი (EU Multistakeholder Forum on CSR). ამ ფორუმის მიზანია ხელი შეუწყოს გამჭვირვალობას და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პრაქტიკისა და განხორციელების შესაძლებლობების დანერგვას. ფორუმის შექმნა იმ დროისთვის (2002 წელი) წარმოადგენდა ინოვაციას, რადგან თავს უყრიდა დამსაქმებლებს, პროფესიულ კავშირებს, სამოქალაქო საზოგადოებასა და ბიზნესორგანიზაციებს. კომისია მიიჩნევს, რომ ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობაა მნიშვნელოვანი კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მიმღებლობისა და სანდოობისთვის. ევროკავშირის წარმატება CSR-ის დანერგვის მიმართულებით განპირობებულია სწორედ იმით, რომ ბიზნესი და სამოქალაქო საზოგადოება კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპებს საკუთარი საქმიანობის ნაწილად აღიქვამენ.[50]

2020 წლის უკრაინის სამოქმედო გეგმა პასუხისმგებელი ბიზნესსაქმიანობის ხელშემწყობი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების შესახებ ითვალისწინებს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მრავალეროვანი საწარმოებისათვის სახელმძღვანელო მითითებების მხარდაჭერას, მოპოვებითი მრეწველობის სექტორში დაინტერესებულ მხარეთა კონსტრუქციულ ჩართულობას და პასუხისმგებლობის მქონე სასოფლო-სამეურნეო მიწოდების ქსელების განვითარებას.

უკრაინის 2020 წლის სამოქმედო გეგმა მხარეთა დიალოგის ხელშეწყობისთვის ითვალისწინებს სახელმწიფო ორგანოებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებისათვის სოციალურად პასუხისმგებელი ბიზნესპოლიტიკის შესახებ სემინარებისა და ტრენინგების გამართვას.[51] ეს სამოქმედო გეგმა ასევე ითვალისწინებს საინფორმაციო და საგანმანათლებლო კამპანიებში ბიზნესორგანიზაციებისა და სახელმწიფო

---

[49] დამატებითი ინფორმაციისთვის იხ.: https://justice.gov.ge/?m=articles&lang=1&id=zlsL3zZDi0.

[50] European Commission, Directorate-General for Employment, Social Affairs and Inclusion, *EU Multi-Stakeholder Forum on Corporate Social Responsibility : CSR EMS Forum*, Publications Office, 2004.

[51] უკრაინის 2020 წლის სამოქმედო გეგმა, გვ. 5.

სექტორის წარმომადგენლების ჩართვას იმისათვის, რომ ხელი შეეწყოს კორუფციული პრაქტიკის საპირისპიროდ გაცნობიერებულად კარგი გადაწყვეტილებების მიღებას.[52]

გერმანიის ეროვნული CSR ფორუმი (National CSR Forum Germany) მიჩნეულია CSR-ის კოორდინირების ძალიან წარმატებულ უწყებად. ფორუმის წარმატების განმსაზღვრელ ერთ-ერთ ძირითად ფაქტორად ითვლება მისი დაკომპლექტება სხვადასხვა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებისგან. დაინტერესებულ მხარეთა სხვადასხვა ჯგუფის ჩართულობა ქმნის განგრძობადი დიალოგის შესაძლებლობას, რაც აუცილებელია CSR-ის დანერგვისთვის. ფორუმის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა გერმანიის მთავრობის მხარდაჭერა CSR-ის სამოქმედო გეგმის განხორციელების მიმართულებით.[53]

საერთაშორისო მასშტაბით ბიზნესში წარმატების მისაღწევად და გერმანული ხარისხის წარმოსაჩენად გერმანიის მთავრობა, დაინტერესებულ ჯგუფებს შორის თანამშრომლობის გაძლიერების მიზნით, აქტიურად იყენებს საგანმანათლებლო აქტივობებს და მოუწოდებს დაინტერესებულ მხარეებს (ბიზნესორგანიზაციებს, არაკომერციულ იურიდიულ პირებს და პროფესიულ ასოციაციებს) ჩაერთონ ამ პროცესში. ასეთი ტიპის აქტივობები გამოყენებულია პოლიტიკის დიალოგის წარმართვისთვის.[54] გერმანიის მთავრობის სამოქმედო გეგმაში გამოყოფილია დაინტერესებულ მხარეთა შორის დიალოგისა და მხარეთა ჩართულობის ხელშეწყობის სხვადასხვა მაგალითი, როგორიცაა: ქალების მხარდაჭერა სამუშაო პროცესში და გენდერული თანასწორობის მიღწევა, მულტინაციონალურ კორპორაციებში კულტურული დიალოგის წარმართვა დასაქმებულ პირებს შორის, ბიზნესორგანიზაციების სოციალური დივერსიფიკაცია და ისეთი ჯგუფების ხელშეწყობა, რომლებიც მანამდე ნაკლებად იყვნენ წარმოდგენილი და დაცული კორპორაციებში.[55]

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ ირლანდიის 2017-2020 წლების ეროვნულ სამოქმედო გეგმაში მითითებულია, რომ 2014 წელს ირლანდიის დაინტერესებულ მხარეთა CSR ფორუმის (Ireland CSR Stakeholder Forum) შექმნა იყო ყველაზე მნიშვნელოვანი მიღწევა CSR-ის დანერგვის ხელშეწყობის თვალსაზრისით. ფორუმი წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად საშუალებას CSR ინიციატივების განხორციელების თვალსაზრისით. იმისათვის, რომ მოხდეს კონკრეტულ საკითხებზე ფოკუსირება, ფორუმი შედგება სხვადასხვა ქვეჯგუფებისგან, რომლებიც რეგულარულად ხვდებიან ერთმანეთს.[56] დასახელებულ სამოქმედო გეგმაში ფორუმის მიერ განსახორციელებელ ერთ-ერთ აქტივობად მითითებულია CSR ელჩების პანელის შექმნა, სადაც უნდა ილაპარაკონ ირლანდიაში დაგეგმილ

---

[52] უკრაინის 2020 წლის სამოქმედო გეგმა, გვ. 6.
[53] National Strategy for Corporate Social Responsibility – Action Plan for CSR – of the German Federal Government, 2010, გვ. 22-23.
[54] იქვე, გვ. 11-12.
[55] იქვე, გვ. 18-20.
[56] Ireland's National Action Plan on Corporate Social Responsibility 2017-2020, გვ. 9.

ბიზნესღონისძიებებზე.[57] CSR ფორუმი მხარს უჭერს ირლანდიაში მომუშავე ბიზნესორგანიზაციებს ხელი შეუწყონ CSR აქტივობების განხორციელებას. ამავდროულად, ფორუმი მოუწოდებს ასეთ ორგანიზაციებს წარადგინონ საკუთარი აქტივობები ყოველწლიურ CSR ჯილდოზე (Chambers Ireland annual CSR Awards).[58]

ჩეხეთის CSR დაინტერესებულ მხარეთა პლატფორმა (Platform of CSR Stakeholders Chezch Republic) არის იურიდიული პირების ნებაყოფლობითი გაერთიანება, რომლებიც აქტიურად არიან ჩართული სოციალური პასუხისმგებლობის განხორციელებაში. პლატფორმა წარმოადგენს სპეციალური ინტერესების მქონე ორგანიზაციების ფორუმს, რომელიც მხარს უჭერს CSR კონცეფციის პოპულარიზაციას. ფორუმის წევრები მონაწილეობენ პლატფორმის მიზნებისა და პრიორიტეტების განსაზღვრაში. ფორუმი იძლევა გამოცდილების გაცვლის შესაძლებლობას, აგროვებს ინფორმაციას CSR მექანიზმებისა და ინიციატივების შესახებ და განაზოგადებს კარგ პრაქტიკას. ფორუმი მონაწილეობს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში. ფორუმში ჩართვა შეუძლია ყველა დაინტერესებულ ბიზნესორგანიზაციას. პლატფორმის ორგანიზაციულ მხარეზე, აქტივობებსა და შედეგებზე პასუხისმგებელია ჩეხეთის ხარისხის საბჭო (Quality Council), რომელიც სპეციალიზებულია კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობასა და მდგრად განვითარებაში. ხარისხის საბჭოს კოორდინირებას ახდენს მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრო.[59]

უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში სხვადასხვა სახის ინიციატივები განხორციელდა ესპანეთში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის წახალისების მიზნით, როგორც სახელმწიფო ადმინისტრაციის, ისე ავტონომიური რეგიონების დონეზე. პირველი ინიციატივა იყო 2002 წლის დეკემბერში პარლამენტში შექმნილი ექსპერტების ტექნიკური კომიტეტი შრომისა და სოციალური საკითხების სამინისტროს შემადგენლობაში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ანგარიშის მოსამზადებლად. ამას მოჰყვა 2005 წელს ესპანეთში პარლამენტის ქვეკომიტეტის მიერ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესწავლა იმისათვის, რომ განესაზღვრათ საწარმოების მიერ სოციალური პასუხისმგებლობის მიმღებლობის საკითხი. 2005 წელს შეიქმნა ექსპერტების ფორუმი კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის საკითხებზე (Forum of Experts on CSR) იმისათვის, რომ სფეროში არსებულ პოლიტიკაზე ემუშავა. ორი წლის შემდეგ ჩატარდა სოციალური დიალოგის პანელის პირველი შეხვედრა, რომელიც მიზნად ისახავდა CSR პრაქტიკის პოპულარიზაციის მიზნით წინადადებების შეგროვებას და პროცესში სავაჭრო ასოციაციებისა და ბიზნესორგანიზაციების როლის განსაზღვრას. 2008 წელს პარლამენტისა და ექსპერტების ფორუმის და სოციალური დიალოგის პანელის რეკომენდაციების საფუძველზე

---

[57] Ireland's National Action Plan on Corporate Social Responsibility 2017-2020, გვ. 12.
[58] იქვე, გვ. 14.
[59] National Action Plan for Corporate Social Responsibility in the Czech Republic 2016-2018, გვ. 18.

შეიქმნა ესპანეთის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის საბჭო (Spain State Council for Corporate Social Responsibility (CERSE)). საბჭო უნდა ყოფილიყო დასაქმებისა და სოციალური უსაფრთხოების სამინისტროს საკონსულტაციო ორგანო. სხვა საკითხებთან ერთად, ეს საბჭო აკეთებს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარების ანალიზს ესპანეთსა და ევროკავშირის ქვეყნებში.[60]

CERSE არის ინტერინსტიტუციური საბჭო, რომელიც შედგება ოთხი ჯგუფისგან: 14 წევრი წარმოადგენს დამსაქმებელთა ორგანიზაციებს, 14 წევრი – სავაჭრო ასოციაციებს, 14 წევრი – კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სფეროში ცნობად ორგანიზაციებს, 14 წევრი – სხვადასხვა საჯარო ადმინისტრაციას. CSR სახელმწიფო საბჭო შეიქმნა კომპანიებს შორის სოციალური პასუხისმგებლობის პოპულარიზაციის და მცირე და საშუალო საწარმოების სპეციალური მხარდაჭერის მიზნით. საბჭოს წევრთა რაოდენობა იცვლება ყოველი ოთხი წლის განმავლობაში.[61]

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ ნორდიკული ქვეყნების სტრატეგია (2012) მხარს უჭერს მდგრადობის საკითხებთან დაკავშირებით კომუნიკაციას დიალოგისა და თანამშრომლობის ფორმატში. ნორდიკული ქვეყნების მინისტრთა საბჭო აღიარებს სხვადასხვა მიზნებიდან გამომდინარე დაინტერესებულ მხარეთა უფლებას, მოითხოვოს განსხვავებული სახის ინფორმაცია. ნორდიკული ქვეყნები ასევე ცნობილი არიან ნდობისა და დაინტერესებულ მხარეთა დიალოგის მხარდაჭერის მაღალი ხარისხით, მათი შესაძლებლობით, შეუთავსონ ეკონომიკური კონკურენცია სოციალურ კეთილდღეობასა და გარემოს დაცვას. CSR-ი დღემდე ხელს უწყობს პასუხისმგებელი ბიზნესქმედების წახალისებასა და სტიმულირებას.[62]

რეკომენდაციები

- შეიქმნას ისეთი საბჭო, სადაც დაინტერესებულ მხარეთა ფართო წრე იქნება წარმოდგენილი. საბჭოს წევრი დაინტერესებული ჯგუფები უნდა იყვნენ სახელმწიფოს, ბიზნესისა და საზოგადოების სხვადასხვა სფეროდან. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ სამოქმედო გეგმაში აისახოს სხვადასხვა ჯგუფის ინტერესები და დაინტერესებული მხარეები ჩართული იყვნენ სამოქმედო გეგმის განხორციელებაში. მნიშვნელოვანია, საქართველოში არსებული პრაქტიკის მიხედვით შეიქმნას უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო, რომლის სამდივნო იქნება CSR-ის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყება. საბჭომ სამოქმედო გეგმით

[60] Spanish Strategy for Corporate Social Responsibility, 2014-2020, გვ. 13-14.
[61] იქვე, გვ. 22-23
[62] Nordic Strategy for Corporate Social Responsibility, 2012, გვ. 14.

გათვალისწინებული განსხვავებული ამოცანების გადაწყვეტისათვის აუცილებელია შექმნას სამუშაო ქვეჯგუფები.

- დაინტერესებულ მხარეთა თანამშრომლობის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი იქნება ისეთი სამოქმედო გეგმის შემუშავება, რომელიც საერთაშორისო მნიშვნელობის სტანდარტების, რეკომენდაციების ან სტრატეგიის განხორციელების ნაწილი იქნება. მაგალითად, შეიძლება შემუშავდეს ისეთი სამოქმედო გეგმა, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად გაითვალისწინებს ევროკომისიის რომელიმე რეკომენდაციის შესრულების ხელშეწყობას, მაგალითად, გენდერული თანასწორობის გაძლიერებას და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში.
- მნიშვნელოვანია დაინტერესებულ მხარეთა დიალოგის უკვე არსებული და წარმატებული პლატფორმის, კერძოდ, „საქართველოს CSR-ის დაინტერესებულ მხარეთა ფორუმის“ აქტიური მხარდაჭერა მთავრობის მხრიდან და მისი გამოყენება მხარეთა თანამონაწილეობის უზრუნველსაყოფად.

1.3 კორპორაციული პასუხისმგებლობის განვითარების მონიტორინგი და შედეგების შეფასება ქვეყნის მასშტაბით

კერძო სექტორში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის დანერგვის პროგრესის შეფასებისათვის მნიშვნელოვან კომპონენტს სახელმწიფოს მხრიდან ამ პროცესის მონიტორინგის განხორციელება წარმოადგენს, რაც CSR პოლიტიკის ეფექტიანი კოორდინაციის ნაწილია. ერთი მხრივ, მთავრობის მიერ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის დანერგვის ხელშეწყობა და მეორე მხრივ, ამ მიმართულებით კერძო სექტორის საქმიანობის ზედამხედველობა ხელს შეუწყობს სტანდარტების გაზრდას და წაახალისებს კომპანიების CSR აქტივობებს. დამატებით, ქვეყნის დონეზე CSR-ის მიმართულებით არსებული პროგრესის შეფასება, ხელს უწყობს არსებული ტენდენციებისა და გამოწვევების იდენტიფიცირებას, რაც კერძო სექტორში არსებული საჭიროებების შესაბამისი პოლიტიკის შემუშავების საფუძველია.

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარების მიმართულებით არ არსებობს ერთიანი პოლიტიკის დოკუმენტი, შესაბამისად, სახელმწიფო დონეზე არც ამ პროცესის მონიტორინგის ერთიანი ხედვაა ჩამოყალიბებული. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის დანერგვის პროცესის მონიტორინგის მიმართულება მხოლოდ ცალკეული სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების ზედამხედველობის პროცესში არის გათვალისწინებული. მაგალითისთვის, CSR-ის დანერგვის ხელშეწყობის აქტივობები 2022-2030 წლებისთვის საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულ სტრატეგიაში არის გათვალისწინებული, შესაბამისად, დოკუმენტში განსაზღვრული ზედამხედველობის მექანიზმი ამ სფეროზეც ვრცელდება.

სტრატეგიის მიზნებითა და ამოცანებით გათვალისწინებული ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოს პარლამენტი. თემატური კომიტეტების მეშვეობით პარლამენტი ზედამხედველობას უწევს განხორციელებულ აქტივობებსა და ამ პროცესში გაჩენილ გამოწვევებს. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მიმართულების მონიტორინგი ასევე შედის საქართველოს ეროვნული ბანკის საქმიანობაში. აღსანიშნავია, რომ საქართველოში შედარებით განვითარებული მდგრადი ანგარიშგების სისტემა საფინანსო სექტორშია, რის საფუძველზეც ეროვნული ბანკი მდგრადი დაფინანსების ანგარიშს აქვეყნებს. ეს ანგარიში მოიცავს საფინანსო კომპანიების მიერ განხორციელებული ღონისძიებების მონიტორინგსა და სამომავლო გეგმების შეფასებას.

კომპანიების მიერ CSR-ის პრაქტიკის დანერგვის პროცესის ზედამხედველობის მნიშვნელობა კარგად ჩანს ასევე ევროკავშირის ქვეყნების გამოცდილების მიმოხილვის საფუძველზეც. გერმანიის შემთხვევაში, CSR-ის მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტი არის ბიზნესისა და ადამიანის უფლებების ეროვნული სამოქმედო გეგმა. ამ დოკუმენტში გათვალისწინებულია სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების განხორციელების მონიტორინგი ყველა ჩართული უწყებისა და ორგანიზაციის მიერ. CSR-ის მიმართულებით მიღწეული პროგრესის დასადგენად გეგმით გათვალისწინებულია მთავრობის მიერ მუდმივი უწყებათაშორისი კომიტეტის შექმნა. ეს კომიტეტი პასუხისმგებელია მიღებული ზომების შესაბამისობის შეფასებასა და ამ პროცესის ხელშეწყობისათვის რეკომენდაციების შემუშავებაზე. დამატებით, კომპანიებში ადამიანის უფლებებისა და რისკების შეფასების სტანდარტების დანერგვის პროგრესი კერძო სექტორის ყოველწლიური გამოკითხვის საფუძველზე ფასდება. გამოკითხვა მიმართულია კომპანიების მიერ აღნიშნული სტანდარტების დანერგვის რაოდენობრივ შეფასებასა და თვისებრივ ანალიზზე. თვისებრივი შესწავლა მოიცავს დანერგილი ზომების ეფექტიანობისა და ამ პროცესში არსებული გამოწვევების შეფასებას. ამასთან, სამოქმედო გეგმით განსაზღვრული სტანდარტების არშესრულების შემთხვევაში, კერძო სექტორს ახსნა-განმარტების წარმოდგენის შესაძლებლობა აქვს.[63]

სახელმწიფო დონეზე კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის დანერგვის მიმართულებით პროგრესის შეფასების პოლიტიკის განხილვისას ასევე საინტერესოა ირლანდიის გამოცდილების შესწავლა. ირლანდიის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის წახალისების 2017-2020 წლების სამოქმედო გეგმაში ხაზგასმულია ამ მიმართულებით მიღწეული პროგრესის მონიტორინგის საჭიროება. პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ CSR-ის დაინტერესებული მხარეების ფორუმი თავის საქმიანობაში მოიცავს გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების მონიტორინგს და თანამედროვე გამოწვევებთან მისი შესაბამისობის უზრუნველყოფას. ამასთან, ხაზგასასმელია, რომ ფორუმი

[63] The Federal Government of Germany (2017) National Action Plan Implementation of the UN Guiding Principles on Business and Human Rights 2016–2020

CSR-ის მხრივ ირლანდიის ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელების პროგრესს ყოველწლიურად აფასებს. პროგრესის ეს შეფასება, მიღწეულ პროგრესთან და მთავრობის პოლიტიკის ხელშემწყობ როლთან დაკავშირებით, ბიზნესის გამოკითხვას მოიცავს. დამატებით, სამოქმედო გეგმის ერთ-ერთ აქტივობას საუკეთესო პრაქტიკის მონიტორინგისა და CSR-ის მიმართულებით განვითარებული ტენდენციების ანალიზი წარმოადგენს. ამ მხრივ, პასუხისმგებელი უწყების საქმიანობა CSR-ის აქტივობების მასშტაბის რაოდენობრივ შეფასებასა და ირლანდიაში კერძო სექტორში საუკეთესო პრაქტიკის შესწავლის განხორციელებას მოიცავს. დამატებით, ზედამხედველობის პროცესის ნაწილია ასევე მცირე და საშუალო საწარმოებში CSR-ის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, განხორციელებული აქტივობებისა და ამ მიმართულების მართვის სისტემების მონიტორინგი, რისთვისაც სამოქმედო გეგმა CSR-ის ონლაინპლატფორმის გამოყენებას მოიცავს.[64]

რეკომენდაციები

- საქართველოში CSR პოლიტიკის განვითარების დონისა და საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინების საფუძველზე მიზანშეწონილია CSR პოლიტიკის სამოქმედო გეგმის ფარგლებში განსაზღვრული აქტივობების ყოველწლიური მონიტორინგის ვალდებულების გათვალისწინება, რომლის ფარგლებშიც CSR პოლიტიკის განხორციელებაზე პასუხისმგებელი უწყება შეაფასებს ყველა ჩართული მხარის მიერ ამ მიმართულებით გაწეული საქმიანობის ეფექტიანობასა და დაგეგმილ აქტივობებთან შესაბამისობას. ამ პროცესის ფარგლებში მნიშვნელოვანია, რომ CSR-ის მაკოორდინირებელმა უწყებამ სამოქმედო გეგმის შესრულების ყოველწლიური ანგარიში გამოაქვეყნოს.
- მნიშვნელოვანია, აღნიშნული შეფასების საფუძველზე, პასუხისმგებელი ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის პროცესში არსებული დაბრკოლებების იდენტიფიცირება და მათი დაძლევის მიმართულებით რეკომენდაციების შემუშავება.
- ამასთან, საქართველოს პარლამენტის საზედამხედველო ფუნქციის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, რომ CSR პოლიტიკის აღსრულების ზედამხედველობის პროცესში ჩართული იყოს პარლამენტი და მონიტორინგისა და ყოველწლიური ანგარიშების შედეგების წარდგენაც ხდებოდეს საქართველოს პარლამენტში.
- საერთაშორისო გამოცდილების შეფასების საფუძველზე ასევე გამოიკვეთა, რომ CSR პოლიტიკის განხორციელების მონიტორინგის კიდევ ერთ ინსტრუმენტს კომპანიებში ამ მიმართულების დანერგვის პროგრესის შესახებ ყოველწლიური გამოკითხვა წარმოადგენს. გამოკითხვა უნდა მოიცავდეს, როგორც რაოდენობრივი მაჩვენებლების, ის ეფექტიანობისა და ამ მიმართულებით არსებული გამოწვევების შეფასების კომპონენტებს.

---

[64] Ireland's National Action Plan on Corporate Social Responsibility 2017-2020.

მიზანი 2. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობისა და მდგრადობის მხარდაჭერის ღონისძიებათა გატარება

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის დანერგვის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია CSR-ის შესახებ აქტიური საინფორმაციო კამპანიის ჩატარება. CSR აქტივობების რეკლამირება ხელს შეუწყობს როგორც საზოგადოებაში, ისე ბიზნესორგანიზაციებში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ ცოდნის ამაღლებას. მაგალითისთვის, შეიძლება ითქვას, რომ CSRDG-იმ 2018 წელს დააფუძნა საქართველოს პასუხისმგებელი ბიზნესის კონკურსი Meliora, რომელიც საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური ყოველწლიური ღონისძიებაა პასუხისმგებელი ბიზნესის სფეროში. ასევე CSRDG-მ 2018 წელს დააფუძნა CSR მედიაკონკურსი „ჟურნალისტები კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობისთვის“. ორივე კონკურსი მნიშვნელოვან როლს ასრულებს პასუხისმგებლობიანი ბიზნესინიციატივების პოპულარიზებაში და CSR-ის შესახებ ინფორმაციის გავრცელებაში.

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის დანერგვა მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო საწარმოების დონეზეც. ეს ხელს შეუწყობს მათი აქტივობების მდგრადობას და ეფექტიანობის დაცვას. ამავდროულად, აღნიშნული შეამცირებს მცირე და საშუალო ზომის კომპანიების აქტივობების განხორციელებისთვის ბუნებრივი რესურსების გამოყენების ხარჯებსაც. მცირე და საშუალო საწარმოებში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის დანერგვამ შესაძლოა გააძლიეროს ასეთი საწარმოების კონკურენტუნარიანობა და ხელი შეუწყოს ახალი შესაძლებლობების განვითარებას. სხვა სფეროებთან ერთად კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა შეიძლება მოიცავდეს თანამშრომელთა სამუშაო პირობებს, ადგილობრივ თემთან ურთიერთობას, გარემოს დაცვას და მომხმარებლებთან ურთიერთობას. მიუხედავად იმისა, რომ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის დანერგვა არის ხარჯიანი პროცესი, კვლევები ადასტურებს, რომ მცირე და საშუალო ზომის კომპანიებში CSR-ის დანერგვა უფრო ნაკლებად ხარჯიანია, ვიდრე დიდი ზომის კომპანიებში. კერძოდ, მცირე და საშუალო კომპანიებს ჰყავთ ნაკლები თანამშრომელი და მათთვის უფრო მარტივია კორპორაციული კულტურის განვითარება; მცირე და საშუალო ბიზნესი შემოქმედებითი და ინოვაციურია, აქვს ნაკლებად ფორმალური და ბიუროკრატიული ორგანიზაციული სტრუქტურა, რის შედეგადაც უფრო მარტივად და სწრაფად შეუძლია შეცვლილ გარემოებებთან ადაპტირება[65].

---

[65] ლელა ხოფერია, ელენე ჩხაიძე, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სახელმძღვანელო მცირე და საშუალო კომპანიებისთვის, 2018, CSRDG, გვ. 15.

2.1 ფისკალური ინსტრუმენტების გამოყენება კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის წახალისებისთვის

კომპანიებში CSR აქტივობების მხარდაჭერის მიმართულებით მნიშვნელოვანია სახელმწიფომ შეიმუშაოს წახალისების შესაბამისი ინსტრუმენტები. საწარმოთა სოციალური პასუხისმგებლობის ეკონომიკური სტიმულირებისათვის გამოიყენება საგადასახადო შეღავათების, სუბსიდიებისა და საგრანტო სქემების ინსტრუმენტები. საგადასახადო პოლიტიკის შემუშავების პროცესში სოციალური პასუხისმგებლობის განვითარებასთან დაკავშირებული მხარდაჭერის მექანიზმების რამდენიმე მიმართულებით იდენტიფიცირებაა შესაძლებელი.

პირველი მიმართულებაა გარემოსდაცვითი ღონისძიებებისა და ეკოლოგიურად მდგრადი პრაქტიკის მხარდაჭერისთვის საგადასახადო შეღავათების დაწესება. მაგალითისათვის, ეს მექანიზმი შეიძლება მოიცავდეს განახლებად ენერგიაში ინვესტიციების ან სათბური აირების გაფრქვევების შემცირების წამახალისებელ ღონისძიებებს.

სოციალური პასუხისმგებლობის წახალისების კიდევ ერთ მიმართულებას საქველმოქმედო საქმიანობის მხარდაჭერა წარმოადგენს. ამ მიმართულებით დაწესებული საგადასახადო შეღავათები კომპანიების მიერ საქველმოქმედო აქტივობებში ჩართვის და, შესაბამისად, სოციალური კეთილდღეობისა და საზოგადოების განვითარების ხელშეწყობის ინსტრუმენტია.

ამასთანავე, მთავრობის მხრიდან კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სტიმულირება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო საწარმოებისათვის, რომლებსაც დიდ კომპანიებთან შედარებით, ნაკლები რესურსი აქვთ და შესაბამისად, მეტ მხარდაჭერას საჭიროებენ ამ მიმართულებით.

საქართველოში გარემოსდაცვითი ღონისძიებების წახალისების მექანიზმები ნაკლებად არის განვითარებული. საქართველოს ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმა მოიცავს სათბურის აირების გაფრქვევის შემცირების, განახლებადი წყაროებიდან ენერგიის გენერაციის ზრდის, ენერგოეფექტურობის წახალისებისა და ენერგეტიკული სისტემების ურთიერთდაკავშირების გაძლიერების პოლიტიკას. დოკუმენტის მიხედვით, ფინანსური სტიმულირების მიმართულებით სამომავლოდ იგეგმება სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერის სისტემების შემუშავება მრეწველობაში ენერგოეფექტურობის განვითარებისათვის, რაც მოიცავს ფინანსური და საგადასახადო შეღავათების შემოღებას[66].

---

[66] საქართველოს ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმა (2022), საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

დამატებით აღსანიშნავია მთავრობის მიერ საქველმოქმედო საქმიანობის ფისკალური მხარდაჭერისათვის საქართველოს საგადასახადო კოდექსში არსებული შეღავათების სისტემა. კოდექსში გათვალისწინებულია კომპანიების საქველმოქმედო საქმიანობაზე საგადასახადო შეღავათების დაწესება, რაც მოიცავს ფულად შემოწირულობებს, საქონლის ან მომსახურების უსასყიდლოდ გადაცემას საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსის მქონე სუბიექტისათვის.

დამატებით ხაზგასასმელია, რომ კერძო სექტორში CSR-ის ღონისძიებების განხორციელების მიმართულებით ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას აღნიშნული აქტივობების მცირე და საშუალო საწარმოებზე გავრცელება წარმოადგენს. გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის მიერ მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის მიმართულებით კერძო სექტორის ჩართულობაზე განხორციელებული კვლევის მიხედვით გამოიკვეთა, რომ მსხვილი კომპანიების 60%-ზე მეტი ჩართულია სოციალური პასუხისმგებლობის პროექტების განხორციელებაში, ხოლო მცირე საწარმოების 85%-მა განაცხადა, რომ არ ჰქონიათ მსგავსი აქტივობები[67]. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ფისკალური ინსტრუმენტების შემუშავების პროცესში მცირე და საშუალო საწარმოების ჩართულობის გათვალისწინება.

კერძო სექტორისათვის გარემოსდაცვითი შეღავათების დაწესების მიმართულებით კარგად განვითარებული სისტემა აქვს გაერთიანებულ სამეფოს. ქვეყანაში შემუშავებულია მრავალფეროვანი გარემოსდაცვითი გადასახადების სქემები, სხვადასხვა ტიპისა და ზომის საწარმოებისათვის. ეს ზომები მიმართულია, როგორც დიდი საწარმოების მიერ გარემოსდაცვითი სქემების გამოყენებაზე, ისე მცირე კომპანიებზე, რომლებიც ნაკლებ ენერგიას მოიხმარენ.

ენერგიის მოხმარებისა და გაფრქვევების შემცირების წახალისებისათვის გაერთიანებულ სამეფოში შემუშავებულია კლიმატის ცვლილების გადასახადის ტარიფის შემცირების შესაძლებლობები. კლიმატის ცვლილების გადასახადი (Climate Change Levy) კომპანიის მიერ მოხმარებული ენერგიის გადასახადია, რომელიც ინდუსტრიულ, კომერციულ, სასოფლო-სამეურნეო და საჯარო სექტორში მაღალი მოხმარების მქონე საწარმოებს ეკისრებათ. ამ გადასახადით დადგენილი ტარიფი მოქნილია და შესაბამისი პირობების დაკმაყოფილებისას ითვალისწინებს კერძო სექტორისათვის საშეღავათო განაკვეთის დაწესების შესაძლებლობას (შეღავათიანი ტარიფით სარგებლობისათვის ფორმდება კლიმატის ცვლილების შეთანხმება გარემოს დაცვის სააგენტოსთან). ენერგორესურსების ინტენსიური მოხმარების მქონე კომპანიას სატარიფო შეღავათების მიღება გარემოს დაცვის სააგენტოსთან კლიმატის ცვლილების შესახებ ხელშეკრულების გაფორმების საფუძველზე შეუძლია. აღნიშნული შეთანხმება ნებაყოფლობითია და მიმართულია ენერგორესურსების გამოყენებისა და სათბურის აირების გაფრქვევების შემცირებისაკენ. შეთანხმება მოიცავს

[67] Global Compact Network Georgia (2020) Private Sector Contribution to Georgia's 2020 Voluntary National Review on Sustainable Development Goals

ენერგოეფექტურობისა და გაფრქვევების სამიზნე მაჩვენებელს, რომლის დაკმაყოფილების შემთხვევაშიც, კომპანია იღებს შეღავათს კლიმატის ცვლილების გადასახადზე.

კომპანიების გარემოსდაცვითი აქტივობების წახალისების მიმართულებით კიდევ ერთ ინსტრუმენტს სათბურის აირების გაფრქვევებით ვაჭრობის სქემა წარმოადგენს. გაერთიანებული სამეფოს მთავრობის მიერ შემუშავებულ სისტემაში განსაზღვრულია ჯამური გაფრქვევების მაქსიმალური მაჩვენებელი, კომპანიებს კი სათბურის აირების გაფრქვევის შემცირების შედეგად შეუძლიათ დარჩენილი ლიმიტებით ვაჭრობა. დამატებით, გარემოსდაცვითი პოლიტიკის წახალისების კიდევ ერთი მექანიზმი ენერგოეფექტური ტექნოლოგიის შეძენისას საგადასახადო შეღავათების მიღების შესაძლებლობაა.

ნარჩენების მართვის მიმართულებით ქვეყანაში დაწესებულ გადასახადთან ერთად კომპანია დამატებით გადასახადს ნაგავსაყრელის ტერიტორიის გამოყენების შემთხვევაში იხდის. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია, რომ გადასახადის მაჩვენებელი საკმაოდ განსხვავდება ნარჩენების კატეგორიების მიხედვით. ნარჩენების გადამუშავების, დაწვის ან ხელახლა გამოყენების ხელშეწყობის შემთხვევაში, სისტემა საგადასახადო შეღავათების მიღების შესაძლებლობას ითვალისწინებს.

დამატებით, გაერთიანებულ სამეფოში დაწესებულია გადასახადი პლასტმასის შეფუთვის გამოყენებაზე, რომელიც მხოლოდ 30%-ზე ნაკლები გადამუშავებული პლასტმასის შემცველი შეფუთვის შემთხვევაში მოქმედებს. შესაბამისად, გარემოსდაცვითი პრინციპების გათვალისწინებით შეფუთვის გამოყენების შემთხვევაში, კომპანიები თავისუფლდებიან აღნიშნული გადასახადისგან[68].

მდგრადი საქმიანობის წამახალისებელი ფისკალური სქემების იდენტიფიცირებისთვის ასევე საინტერესოა ირლანდიაში არსებული ინსტრუმენტების განხილვა. მაგალითისათვის, Accelerated Capital Allowance (ACA)-ის საგადასახადო სქემის ფარგლებში ინდივიდუალურ მოვაჭრეებს, ფერმერებს ან კომპანიებს, ენერგოეფექტური აღჭურვილობის შეძენის შემთხვევაში, მისი სრული ღირებულება ექვითებათ მოგებიდან, რის საფუძველზეც მეწარმეს დასაბეგრი შემოსავლის ოდენობა უმცირდება. აღნიშნული ინსტრუმენტი ენერგოეფექტურ ტექნოლოგიებში ინვესტირების ხელშემწყობია. [69]

ამასთან, ქვეყანაში განვითარებულია ფისკალური მხარდაჭერის არაერთი მექანიზმი. მაგალითისთვის, „აწარმოე ირლანდიის“ სააგენტოს მწვანე ტრანსფორმაციის ფონდის საქმიანობა, რომელიც მოიცავს კლიმატის დაგეგმვის ფონდს ბიზნესისთვის და საწარმოთა ემისიების შემცირების საინვესტიციო ფონდს. კლიმატის დაგეგმვის ფონდის საქმიანობა რამდენიმე მნიშვნელოვან ინსტრუმენტზეა მიმართული, მათ შორისაა გრანტები მდგრადი

---

[68] Environmental taxes, reliefs and schemes for businesses, GOV.UK, Accessed 08.04.2023 https://www.gov.uk/green-taxes-and-reliefs/print

[69] Sustainable Energy Authority of Ireland (2023), Accelerated Capital Allowance

სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავებაზე, მწვანე სერვისის მიმწოდებელი კომპანიების მომსახურებისა და გარემოსდაცვითი ექსპერტების დაქირავებაზე, ასევე ამ მიმართულებით სტრატეგიული ინიციატივების წახალისებაზე. ემისიების შემცირების საინვესტიციო ფონდი მოიცავს ინვესტიციების განხორციელების შესაძლებლობებს ენერგიისა და გარემოზე ზეგავლენის მონიტორინგის სისტემის განვითარებაში, დეკარბონიზაციის პროცესსა და ნახშირბადის შემცირების ტექნოლოგიებში, მდგრადობისა და დეკარბონიზაციის სფეროში ინოვაციებისა და კვლევების წახალისებაში.

ირლანდიის მდგრადი ენერგეტიკის სააგენტოს საქმიანობაში ასევე გათვალისწინებულია ენერგოეფექტური სისტემის განვითარებაში ინვესტიციების განხორციელების მხარდაჭერა. სქემის ფარგლებში მეწარმეს შეუძლია მიიღოს სამ მილიონ ევრომდე გრანტი. სააგენტოს განახლებადი გათბობის მხარდაჭერის პროექტი მიმართულია კომერციულ, სამრეწველო, სოფლის მეურნეობის, საჯარო და სითბოს სხვა არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლებზე.[70]

კომპანიებში CSR საქმიანობის წახალისების კიდევ ერთი მიმართულების – საქველმოქმედო საქმიანობის წახალისების მექანიზმების საერთაშორისო გამოცდილების განხილვისას გასათვალისწინებელია, რომ ქვეყნების უმეტესობაში საქველმოქმედო საქმიანობის საგადასახადო შეღავათების სისტემები მოქმედებს. ეს მოიცავს როგორც საქველმოქმედო ორგანიზაციების უშუალო საქმიანობაზე საგადასახადო შეღავათების დაწესებას, ისე ამ ორგანიზაციების შემომწირველთათვის წამახალისებელი ინსტრუმენტების შემუშავებას. OECD-ის ქვეყნების უმეტესობაში საქველმოქმედო მიზნით განხორციელებული შემოწირულობები იქვითება დასაბეგრი შემოსავლიდან[71].

კომპანიებში სოციალური პასუხისმგებლობის განვითარებისათვის საქართველოში პირველ რიგში მნიშვნელოვანია გარემოსდაცვითი პრინციპების წახალისება და შესაბამისი ფისკალური თუ საგადასახადო სქემების შემუშავება, რომლებიც ხელს შეუწყობს ქვეყანაში საწარმოებმა დაიცვან გარემოსდაცვითი სტანდარტები.

რეკომენდაციები

- იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში მდგრადი ენერგომოხმარება განვითარების საწყის ეტაპზეა, რომ ასოცირების შეთანხმებისა და ევროპის ენერგეტიკულ გაერთიანების ფარგლებში ქვეყანას აღებული აქვს ვალდებულება ენერგომოხმარებაში განახლებადი ენერგიის წილის ზრდასა და ქვეყანაში ენერგოეფექტურობის განვითარებასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია კერძო სექტორისათვის შესაბამისი მხარდაჭერის მექანიზმების შემუშავება. საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ერთ-ერთ ეფექტიან ინსტრუმენტს საგადასახადო სტიმულირება

[70] Citizens Information (2023), Supports for businesses going green
[71] OECD (2020), Taxation and Philanthropy, OECD Tax Policy Studies, No. 27, OECD Publishing, Paris.

წარმოადგენს. შესაბამისად, საქართველოში განახლებადი ენერგიის წილის ზრდისათვის მნიშვნელოვანია საწარმოებისათვის შეღავათიანი ტარიფების დაწესება, რაც ასევე მოიცავს ქარისა და მზის ენერგიის გამოყენების წახალისებას.

- დამატებით გასათვალისწინებელია, რომ ენერგოეფექტურობის სამოქმედო გეგმით უნდა მოხდეს კერძო სექტორის სტიმულირება, მათ შორის, ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებით. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია მრეწველობაში ენერგოეფექტურობის წახალისების კონკრეტული ინსტრუმენტების გაწერა და საგადასახადო შეღავათების სისტემის შემუშავება.
- გარემოსდაცვითი საქმიანობის მიმართულებით კიდევ ერთ კომპონენტს, საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეოთხე ეროვნული პროგრამით, სამრეწველო სექტორიდან გაფრქვევების რეგულირების ეფექტური მექანიზმის დანერგვა წარმოადგენს. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია საწარმოებიდან გაფრქვევების შემცირების წახალისება, სამიზნე მაჩვენებლების განსაზღვრისა და ამის მიხედვით განსხვავებული ტარიფების დაწესების გზით.
- იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა ძირითადად მსხვილი საწარმოების საქმიანობაში იკვეთება და ამასთანავე, 2021 წელს, მცირე და საშუალო საწარმოების წილი მთლიან დამატებულ ღირებულებაში 53%-ს შეადგენს[72], მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევისა და კერძო სექტორში სოციალური პასუხისმგებლობის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერა მათ საქმიანობაში CSR-ის ინტეგრირების მიმართულებით.

2.2 კორპორაციული პასუხისმგებლობის მხარდაჭერა მცირე და საშუალო საწარმოებში

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მნიშვნელობა დიდია მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის. მოპოვებასა და წარმოებაში ჩართული მცირე და საშუალო ზომის საწარმოები მოიხმარენ დიდი ოდენობით ენერგიასა და წიაღისეულს, გამოყოფენ სათბურის აირებს, წარმოქმნიან დიდი ოდენობით ნარჩენებს და დიდად არიან დამოკიდებული ბუნებრივ რესურსზე, რაც, საბოლოო ჯამში, უარყოფით გავლენას ახდენს საზოგადოებასა და

[72] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (2022) ბიზნესის სექტორი საქართველოში, სტატისტიკური პუბლიკაცია https://www.geostat.ge/media/49758/Business-sector-in-Georgia-2022.pdf

გარემოზე. შესაბამისად, მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო ზომის საწარმოების საქმიანობაში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სტანდარტების დანერგვა.[73]

ბოლო წლებში სულ უფრო მეტი ყურადღება ექცევა მსოფლიოში მცირე და საშუალო საწარმოებში CSR-ის დანერგვას. ევროკავშირი აქტიურად უწყობს ხელს SME-ებში პასუხისმგებლობით სავსე, მდგრადი მიდგომების დანერგვას. მცირე და საშუალო ზომის საწარმოები გამოირჩევიან სპეციფიკური მახასიათებლებით, რომლებიც მოითხოვს შესაბამის ყურადღებას. ამასთან, კონკრეტული კავშირის მოძებნა კომპანიის ფინანსურ და სოციალურ მაჩვენებლებს შორის ნაკლებად არის მოსალოდნელი.[74]

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ინტეგრაცია ტურიზმის სექტორში[75]. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ საქართველოში არსებული ტურიზმის სექტორში მრავლადაა მცირე და საშუალო ზომის კომპანიები, მნიშვნელოვანია, რომ ტურიზმის ინდუსტრიაში შენარჩუნდეს კვალიფიციური მუშახელი. ამავდროულად, დასაქმებულმა პირებმა საკუთარ ორგანიზაციას რეკომენდაცია უნდა გაუწიონ სხვა პოტენციურ თანამშრომლებთან, რომ ღირს მათ დამსაქმებელთან მუშაობა. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის დანერგვამ შეიძლება გადამწყვეტი როლი შეასრულოს დასაქმების ადგილზე უსიამოვნო სამუშაო გარემოს აღმოფხვრაში. ტურიზმის სფეროს მაგალითი საქართველოს შემთხვევაში შესაძლებელია გავავრცელოთ მცირე და საშუალო ზომის სურსათისა და საყოფაცხოვრებო საქონლის მაღაზიების ქსელებზე, სადაც ხშირად ახალგაზრდები, სტუდენტები არიან დასაქმებული. ასეთი მაღაზიების შესახებ ხშირად ვრცელდება სოციალურ ქსელებში ინფორმაცია, რომ იქ თანამშრომლების შრომითი უფლებები ილახება, ასევე ჩანს მომხმარებლების უკმაყოფილებაც. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სტანდარტის დანერგვა შეიძლება იქცეს ასეთი გამოწვევების აღმოფხვრისა თუ შემცირების მექანიზმად.

კომპანიის მიერ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის დანერგვა ფაქტობრივად ნიშნავს სოციალური კონტრაქტების კომბინაციას კომპანიასა და გარემომცველ სამყაროს შორის, რაც გარკვეულწილად ხელს უწყობს კომპანიის საქმიანობის ლეგიტიმაციის ზრდას[76].

---

[73] Charles Baah, Yaw Agyabeng-Mensah, Ebenezer Afum, Caleb Amankwaa Kumi, Do circular economy practices accelerate CSR participation of SMEs in a stakeholder-pressured era? A network theory perspective, Journal of Cleaner Production, Volume 394, 2023, 136348, ISSN 0959-6526.

[74] Solon Magrizos, Eleni Apospori, Marylyn Carrigan, Rosalind Jones, Is CSR the panacea for SMEs? A study of socially responsible SMEs during economic crisis, European Management Journal, Volume 39, Issue 2, 2021, Pages 291-303, ISSN 0263-2373.

[75] Erhan Boğan, Bekir Bora Dedeoğlu, The influence of corporate social responsibility in hospitality establishments on students' level of commitment and intention to recommend, Journal of Hospitality, Leisure, Sport & Tourism Education, Volume 25,2019, 100205, ISSN 1473-8376

[76] Nor Hadi, Udin Udin, Testing the Effectiveness of CSR Dimensions for Small Business Entrepreneurs, Journal of Open Innovation: Technology, Market, and Complexity, Volume 7, Issue 1, 2021, 6, ISSN 2199-8531.

კვლევებით დასტურდება, რომ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის დანერგვითა და მასთან დაკავშირებული ძირითადი დაინტერესებული მხარეების ინტერესების დაკმაყოფილებით მცირე და საშუალო ზომის კომპანიები ახერხებენ განავითარონ ორგანიზაციული კულტურა, შეინარჩუნონ საუკეთესო თანამშრომლები, გაიუმჯობესონ რეპუტაცია, გააძლიერონ მომხმარებლების ერთგულება[77].

ამავდროულად, მკვლევრების აზრით, კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობას ბიზნესსარგებელი მხოლოდ კონკრეტული პირობების დაცვის შემთხვევაში აქვს, კერძოდ, როდესაც:

- CSR ინტეგრირებულია კომპანიის მიზანში;
- CSR ინტეგრირებულია კომპანიის სტრატეგიაში;
- CSR კონცენტრირებულია კომპანიის ძირითად დაინტერესებულ მხარეებზე;
- CSR-ის შესახებ ინფორმაცია არის კარგად გავრცელებული;
- CSR კონცენტრირებულია აქციონერის მოგებაზე ან როდესაც CSR-ის განხორციელება ხდება პროაქტიულად[78].

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ ესპანეთის 2014-2020 წლების სტრატეგია ხაზს უსვამს მცირე და საშუალო ზომის საწარმოებში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის დანერგვის მნიშვნელობას. ამავდროულად, ეს სტრატეგია კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის კონტექსტში გამოყოფს თვითდასაქმებული პირების მიერ CSR-ის სტანდარტების გაზიარების მნიშვნელობას. სტრატეგია ითვალისწინებს, რომ დასაქმებისა და სოციალური უსაფრთხოების სამინისტრომ (Ministry of Employment and Social Security) მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისათვის შექმნას საორიენტაციო პროგრამები (guidance programmes), სადაც მონაწილეებს ექნებათ შესაძლებლობა, მიიღონ მეტი ინფორმაცია კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ[79]. დასახელებული სტრატეგია მოუწოდებს საჯარო უწყებებს გაამარტივონ საჯარო შესყიდვების პროცედურები ისე, რომ მცირე და საშუალო ზომის საწარმოებსაც ჰქონდეთ შესაძლებლობა, რომ მონაწილეობა მიიღონ ტენდერებში. ეს გააძლიერებს მცირე და საშუალო ზომის საწარმოების ფინანსურ მდგრადობას. ამავდროულად, მნიშვნელოვანია საჯარო შესყიდვების მონაწილეებს გაზიარებული ჰქონდეთ სოციალური, გარემოსდაცვითი, ადამიანის უფლებებისა და ეთიკური სტანდარტები, თუმცა ამ სტანდარტების დანერგვის მასშტაბმა დიდ

---

[77] Nathaly Aya Pastrana, Krishnamurthy Sriramesh, Corporate Social Responsibility: Perceptions and practices among SMEs in Colombia, Public Relations Review, Volume 40, Issue 1, 2014, Pages 14-24, ISSN 0363-8111.

[78] Solon Magrizos, Eleni Apospori, Marylyn Carrigan, Rosalind Jones, Is CSR the panacea for SMEs? A study of socially responsible SMEs during economic crisis, European Management Journal, Volume 39, Issue 2, 2021, Pages 291-303, ISSN 0263-2373.

[79] Spanish Strategy for Corporate Social Responsibility, 2014-2020, გვ. 33

კორპორაციებთან მიმართებით არ უნდა დააზარალოს მცირე და საშუალოს ზომის საწარმოები[80].

ირლანდიის 2017-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ ითვალისწინებს მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისათვის ონლაინინფორმაციის (http://csrtool.csrhub.ie/) მიწოდების საშუალებას. იმ მცირე და საშუალო ზომის საწარმოების 60%-მა, რომლებმაც ისარგებლეს ამ ონლაინსაშუალებით საქონლისა და მომსახურების შესყიდვისას, გამოიყენეს ისეთი რესურსები, რომლებიც ნაკლებ ზიანს აყენებს გარემოს[81]. იმავე ონლაინსაშუალებით მოსარგებლე მცირე და საშუალო ზომის საწარმოების 46%-მა განაცხადა, რომ ისინი აქტიურად უჭერენ მხარს თანამშრომლების პირადი ცხოვრებისა და სამუშაო გარემოს ბალანსს. აღნიშნული ონლაინსაშუალება წარმოადგენს CSR ფორუმის ინიციატივას მეწარმეობისა და ინოვაციის დეპარტამენტთან (Department of Enterprise and Innovation) ერთად, რომლის მიზანია მხარი დაუჭირონ იმ მცირე და საშუალო ზომის საწარმოებსა და მიკროსაწარმოებს, რომელთაც უნდათ მეტი ინფორმაცია მიიღონ CSR-ის შესახებ.[82]

ჩეხეთის რესპუბლიკის ეროვნული სამოქმედო გეგმით (2016-2018), მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისათვის ერთ-ერთი ძირითადი გამოწვევაა კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის საქველმოქმედო საქმიანობად მიჩნევა. შესაბამისად, ნაკლებად ინფორმირებული საწარმოები კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობას არ ნერგავენ ძირითად ბიზნესსაქმიანობაში. ჩეხეთის სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს სპეციალური გზამკვლევების შექმნას მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისათვის კონკრეტული კარგი პრაქტიკის მაგალითების მითითებით, ასევე, სამოქმედო გეგმაში ხაზგასმულია სოციალური პასუხისმგებლობის ჯილდოს (Doing Business Responsibly) მნიშვნელობაც იმ კომპანიებისთვის, რომლებიც იცავენ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სტანდარტებს[83]. ამავდროულად, ჩეხეთის სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს ე.წ. გუბერნატორის (სამხარეო რწმუნებულის) კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ჯილდოსაც (Governor's Corporate Social Responsibility Award), რომელიც განკუთვნილია მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისათვის. ასეთი ჯილდოები დადებით გავლენას ახდენს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ ცოდნის გაზრდაზე მცირე და საშუალოს საწარმოებში[84].

ჩეხეთის სამოქმედო გეგმაში ხაზგასმულია მცირე და საშუალო საწარმოების ეკონომიკური სარგებელი. ასეთი კომპანიები ავსებენ ჩეხეთის მშპ-ის 38%-ს და ასაქმებენ მუშახელის 61%-ს.

---

[80] Spanish Strategy for Corporate Social Responsibility, 2014-2020, გვ. 44
[81] Ireland's National Action Plan on Corporate Social Responsibility 2017-2020, გვ. 22.
[82] იქვე, გვ. 19.
[83] National Action Plan for Corporate Social Responsibility in the Czech Republic 2016-2018, გვ. 14.
[84] იქვე, გვ. 60-61

აქედან გამომდინარე, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა არ არის მხოლოდ დიდი საწარმოებისათვის გათვალისწინებული კონცეფცია და ასევე არის მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისა და ადგილობრივი თემისთვის მნიშვნელოვანი საკითხი, რადგან მცირე და საშუალო ზომის საწარმოებს თავიანთი ეკონომიკური მნიშვნელობა აქვთ ქვეყნისთვის[85].

ჩეხეთის სამოქმედო გეგმა ასევე ითვალისწინებს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპების გათვალისწინებას შესყიდვების პროცესის დროს, კერძოდ, აქტიურ თანამშრომლობას საჯარო ადმინისტრაციასა და დაინტერესებულ მხარეებს შორის, რამაც ხელი უნდა შეუწყოს საჯარო შესყიდვების პროცესში მცირე და საშუალო ზომის საწარმოების ჩართულობას[86].

იტალიის სამოქმედო გეგმა მიუთითებს მცირე და საშუალო ზომის საწარმოების საქმიანობაში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სტანდარტის დანერგვისთვის სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან ჩარევის აუცილებლობაზე. ჩარევა შეიძლება გამოიხატოს სხვადასხვა ფორმით, მათ შორის, წახალისებით, ჯილდოების მიცემით, სხვადასხვა პროცედურის გამარტივებით, ფინანსური ბონუსების მიცემით, რაც საბოლოოდ მიზნად ისახავს, რომ ხელი შეუწყოს დამატებითი სოციალური და ეკონომიკური ღირებულების შექმნას[87].

რეკომენდაციები

- მნიშვნელოვანია საქართველოში CSR კონკურსების არსებობა და პოპულარიზაცია. ამ დროისთვის საქართველოში არსებობს ორი CSR კონკურსი, რომელიც გახსნილი და ხელმისაწვდომია მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (საქართველოს პასუხისმგებელი ბიზნესის კონკურსი Meliora (ორგანიზატორია საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი) და კორპორაციული პასუხისმგებლობის ჯილდო (ორგანიზატორია გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელი). ასევე არის თიბისის ბიზნესდაჯილდოება, სადაც გამოყოფილია CSR კატეგორია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის. სამწუხაროდ, ეს არ არის საკმარისი მცირე და საშუალო ზომის საწარმოებში CSR-ის ცნობადობის გაზრდისა და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სტანდარტების პრაქტიკაში დასანერგად. ამიტომ მნიშვნელოვანია მსგავსი ტიპის კონკურსების რეგიონულ დონეზე ორგანიზება, მუნიციპალიტეტებში არსებული მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის. ეს მოგვცემს როგორც სამოქმედო

[85] National Action Plan for Corporate Social Responsibility in the Czech Republic 2016-2018, გვ. 12
[86] იქვე, გვ. 25.
[87] Italy National Action Plan on CSR 2012-2014, Dr. ssa Maria Benedetta Francesconi, Ministry of Economic Development, General Directorate for Industrial Policy and Competetivness, გვ. 4.

არეალის გაზრდის, ისე უფრო მეტი კომპანიის CSR აქტივობებში ჩართვის შესაძლებლობას.

- მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისათვის საორიენტაციო პროგრამების შექმნა, სადაც გათვალისწინებული იქნება მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისათვის CSR-ის დანერგვის გზა, ფორმები და მეთოდები, კერძოდ, მითითებული იქნება პირველადი ნაბიჯები და შემდგომი ქმედებები იმისათვის, რომ კომპანიებმა შეძლონ CSR-ის სრულად განხორციელება და იმავდროულად, არ გაეზარდოთ დანახარჯები.
- საორიენტაციო პროგრამების შექმნასთან ერთად მნიშვნელოვანი იქნება პროფესიული გადამზადების პროგრამების შექმნა სპეციფიკურად მცირე და საშუალო ზომის საწარმოების წარმომადგენლებისათვის. მცირე და საშუალო ზომის საწარმოების ფინანსური მაჩვენებლების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია ასეთი პროგრამების მათთვის იყოს უსასყიდლო (მთავრობის მხრიდან სუბსიდირებული). ეს დამატებითი ხელშემწყობი ფაქტორი იქნება საქართველოში მცირე და საშუალო ზომის საწარმოებში CSR-ის დანერგვისათვის.
- მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხრიდან მცირე და საშუალო ზომის კომპანიების დახმარება საერთაშორისო სერტიფიკატების (მაგალითად, ISO 14000; ISO 45001; B corps certificate და სხვა) მოსაპოვებლად სხვადასხვა გრანტის, საკონსულტაციო სერვისის დაფინანსების გზით (ეს შეუწყობს ხელს ასეთი კომპანიების პროდუქციის ექსპორტს და მათ ჩართვას გლობალური მიწოდების ქსელებში).
- აუცილებელია ცნობიერების ასამაღლებელი აქტიური კამპანიის წარმართვა, რომლის მიზანი იქნება დაანახოს მცირე და საშუალო ზომის კომპანიებს CSR-ის დანერგვის ეკონომიკური სარგებელი.
- აუცილებელია, რომ სახელმწიფო უწყებების მხრიდან ფინანსური დახმარებებისა და გრანტების გაცემის დროს უპირატესობა მიენიჭოს იმ მცირე და საშუალო ზომის საწარმოებს, რომელთაც დანერგილი აქვთ საქმიანობაში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სტანდარტები.

2.3 კორპორაციული პასუხისმგებლობის დანერგვა სახელმწიფო საწარმოებში

საქართველოს მაგალითზე უნდა ითქვას, რომ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის დანერგვის თვალსაზრისით ერთ-ერთ ყველაზე უფრო მოწყვლად მიმართულებას სახელმწიფო საწარმოები წარმოადგენს. სხვადასხვა კვლევით დასტურდება სახელმწიფო საწარმოებში არსებული ბევრი გამოწვევა, მათ შორის, კორუფციისა და ნეპოტიზმის ნიშნები, შრომის უფლებების დარღვევა, არასამართლიანი ანაზღაურება, ეფექტიანობის ნაკლებობა და ა.შ. ამ მხრივ, დაგროვილი პრობლემების გადაჭრის ერთ-ერთ

გზად შეიძლება მოგვევლინოს სახელმწიფო საწარმოებში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის დანერგვა. ცალკეულ სახელმწიფო საწარმოებს აქვთ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპების დანერგვის მიმართულებით გარკვეული ინიციატივები, მაგალითად, სს „საქართველოს რკინიგზას“, სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას“ და შპს „საქართველოს მელიორაციას“ შემუშავებული აქვთ ეთიკის კოდექსი; სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ“ 2021 წელს შექმნა და დამოუკიდებელი წევრებით დააკომპლექტა სამეთვალყურეო საბჭო[88]. სამწუხაროდ, ეს ცალკეული ინიციატივები ვერ ცვლის სფეროში არსებულ ზოგად პრობლემურ სურათს. სახელმწიფო საწარმოების სფეროში არსებულ გამოწვევებს სჭირდება კომპლექსური მიდგომა, რისი შეთავაზებაც შეუძლია კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობას.

საქართველომ ისევე, როგორც აღმოსავლეთ ევროპის ყოფილმა სოციალისტურმა რესპუბლიკებმა, მემკვიდრეობით მიიღო მძიმე მდგომარეობაში მყოფი ყოფილი საბჭოთა საწარმოები, სადაც გამეფებული იყო კორუფცია და მოუქნელი ბიუროკრატია.

სახელმწიფო საწარმოების უმრავლესობაში არ არის კარგად განვითარებული ანგარიშვალდებულების მექანიზმი, არ არსებობს ერთიანი საკოორდინაციო მექანიზმი, არ არის განვითარებული კორპორაციული მართვის სახელმძღვანელო სტანდარტები და არიან სახელმწიფო ბიუჯეტის სუბსიდირებაზე[89].

სახელმწიფო საწარმოების წინაშე არის ძალიან ბევრი გამოწვევა. მაგალითად, პოლიტიკური ზეგავლენა სახელმწიფო საწარმოებზე, საწარმოების არაეფექტური მართვა, საწარმოების წამგებიანობა, ნაკლები ცნობადობა საზოგადოებაში, თანამშრომლების აყვანა არაობიექტური კონკურსების საფუძველზე, გარემოს დაცვითი სტანდარტების დარღვევა და სხვა საკითხები[90], რომელთა გადაწყვეტის საშუალებად შესაძლებელია მოგვევლინოს CSR-ი. ასევე, პრობლემები არის სახელმწიფოს მხრიდან სახელმწიფო საწარმოების მართვასთან დაკავშირებით,

---

[88] საქართველოში სახელმწიფო საწარმოთა კორპორაციული მართვის პრაქტიკის შესახებ ანგარიში, გვ. 24-40, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, 2021.

[89] მაისურაძე და სხვები, სახელმწიფო საწარმოები საქართველოში (არსებული სამართლებრივი რეგულირება, გამოწვევები და რეკომენდაციები), გვ. 14-18, 2018, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

[90] დამატებითი ინფორმაციისათვის იხ.: IDFI, სახელმწიფო საწარმოები საქართველოში და მათი ეფექტიანობა; საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (2015) სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული საწარმოების გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება; საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო (2016), საქართველოს სახელმწიფო საწარმოები: გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება და კორუფციის პრევენცია; საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია) და ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) 2016 სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოების მართვა, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება საქართველოში ; სახელმწიფო აუდიტის სამსახური (2015) სახელმწიფო საწარმოების მართვის და განკარგვის ეფექტიანობის აუდიტი.

რომელიც ატარებს დეცენტრალიზებულ ხასიათს და გამოირჩევა გაუმჭვირვალე პოლიტიკით. პრობლემებია ასევე საკუთრივ საწარმოების მართვაში.

სახელმწიფო საწარმოების შემთხვევაში, ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ ასეთი საწარმოები განკარგავენ სახელმწიფოს ქონებას, ანუ საერთო საზოგადოებრივ საკუთრებას. შესაბამისად, მათი დაინტერესებული მხარეების წრე კიდევ უფრო ვრცელია. ასევე, სახელმწიფო საწარმოები ჩვეულებრივ ემსახურება სხვადასხვა მიზანს, რომელიც შეიძლება არ უკავშირდებოდეს მოგების მიღებას. განსხვავებით კომერციული იურიდიული პირებისგან, რომელთა ძირითადი მიზანი არის მოგების მიღება, სახელმწიფო საწარმოები შეიძლება შეიქმნან სხვადასხვა მიზნებიდან გამომდინარე. მაგალითად, სახელმწიფო სერვისის მიწოდებისთვის, ბაზარზე ფასების რეგულირებისთვის, უმუშევრობის აღმოფხვრისთვის, სტრატეგიული ობიექტების განსაკარგავად და სხვა ამოცანების გადასაწყვეტად.

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა შესაძლებელია მოგვევლინოს, როგორც საკუთრივ საწარმოებს შიგნით არსებული, მმართველობასთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტის მექანიზმი, ასევე, სახელმწიფოს მიერ საწარმოების ეფექტური მართვის გზა.

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა სახელმწიფო საწარმოებში ხელს უწყობს გამჭვირვალობის დანერგვას, ანგარიშვალდებულების ზრდას, თანამშრომლების ობიექტური პრინციპების დაცვით შერჩევას, თანამშრომლების ინტერესების გათვალისწინებას გადაწყვეტილების მიღების დროს, გარემოსდაცვითი სტანდარტების დაცვას და სხვა საკვანძო საკითხების გათვალისწინებას.

სახელმწიფო საწარმოებთან მიმართებით კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა:

- ხელს უწყობს ბიზნესსაქმიანობის ღიაობისა და გამჭვირვალობის დანერგვას;
- ზრდის ფინანსური ანგარიშგებების წარდგენის შესაძლებლობას სახელმწიფო საწარმოებში, რის შედეგადაც ინერგება ანგარიშვალდებულების უკეთესი სტანდარტები;
- მოიცავს საკუთარ განმარტებაში „ადამიანების“ კატეგორიასაც, რაც ასევე გულისხმობს თანამშრომლებისთვის სამუშაო პირობების გაუმჯობესებას;
- საკუთარ თავში მოიცავს გარემოს დაცვითი სტანდარტების გაუმჯობესებას, რადგან გარემოს დაცვა კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა;
- აძლიერებს კორპორაციული მართვის მექანიზმებს, მათ შორის, იცავს უმცირესობაში მყოფი აქციონერების, დაინტერესებული მხარეების უფლებებს და აძლიერებს მართვის ორგანოების დივერსიფიცირებას;
- აძლიერებს სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებლობას და ხელს უწყობს დაინტერესებულ მხარეთა სხვადასხვა ჯგუფიდან დამოუკიდებელი წევრების ნომინაციას საბჭოში;

- ხელს უწყობს კომპანიისა და მისი ბიზნესსაქმიანობის შესახებ ინფორმაციის ღიაობას, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს საკუთრებისა და მენეჯმენტის გაყოფას ერთმანეთისგან;
- დადებითად არის დაკავშირებული ფინანსური რისკების შემცირებასა და გაუმჯობესებულ ფინანსურ მაჩვენებლებთან;
- ზრდის ნდობას, ამცირებს ინფორმაციის ასიმეტრიულობას, ხელს უწყობს კომპანიის დადებითი იმიჯის შექმნას;
- ხელს უწყობს მენეჯერის დისკრეციას, რაც ზრდის პოლიტიკური დამოუკიდებლობის მაჩვენებელს[91].

„საქართველოში სახელმწიფო საწარმოთა კორპორაციული მართვის პრაქტიკების შესახებ ანგარიშში“ მითითებულ სახელმწიფო საწარმოთა კორპორაციული მართვის კოდექსის დანართი დოკუმენტის მესამე მუხლის მე-7 პუნქტში, როგორც კორპორაციული მართვის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი, მითითებულია, რომ „საწარმოს გრძელვადიან სტრატეგიული განვითარების გეგმაში უნდა იქნეს გათვალისწინებული მდგრადი განვითარების საკითხები, როგორებიცაა: გარემოს დაცვა, სოციალური პასუხისმგებლობა და მმართველობა (გსმ) სტანდარტები“.[92] იმავე დოკუმენტის მე-19 მუხლში მითითებულია, რომ „საწარმომ უნდა უზრუნველყოს დაინტერესებული მხარეებისთვის ინფორმაციის გასაჯაროება განხორციელებული ქმედებებისა და კორპორაციული მართვის საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის, წლიურ ანგარიშში ასახოს და თავის ვებგვერდზე გამოაქვეყნოს შესაბამისი ინფორმაცია გარემოს დაცვის, სოციალური პასუხისმგებლობის და მმართველობის სტანდარტებთან (ESG) შესაბამისობის შესახებ“.[93] დასახელებულ მუხლში მითითებულია, რომ გარემოს დაცვის, სოციალური პასუხისმგებლობის და მმართველობის სტანდარტებთან შესაბამისობა, სულ მცირე, უნდა მოიცავდეს ინფორმაციას ადამიანური რესურსების პოლიტიკის შემუშავებისა და თანამშრომლებისთვის უსაფრთხო და ჯანსაღი პოლიტიკის შემუშავების შესახებ და გარემოს დაცვითი სტანდარტების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად დანერგვის თაობაზე.

აღსანიშნავია, რომ ზემოთ დასახელებულ ანგარიშში განხილულია რამდენიმე მნიშვნელოვანი სახელმწიფო საწარმოს მმართველობითი სისტემები და საქმიანობა, სადაც, სხვა ხარვეზებთან ერთად, გამოვლენილია გენდერული დისბალანსის შემთხვევებიც, კერძოდ: სს „საქართველოს რკინიგზას“, სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას“, შპს „ენგურჰესს“, შპს

---

[91] Maisuradze, Davit, Narmania, Giorgi, Lazishvili, Magda, Tkeshelashvili, Mariam and Shakiashvili, Irakli. "Is Corporate Social Responsibility (CSR) a New Alternative to Governance Challenges of State-Owned Enterprises (SOEs)?" Central European Journal of Public Policy, vol.14, no.2, 3920, გვ. 40-42.

[92] საქართველოში სახელმწიფო საწარმოთა კორპორაციული მართვის პრაქტიკების შესახებ ანგარიში, გვ. 43, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, 2021.

[93] იქვე, გვ. 58.

„საქართველოს მელიორაციას“ სამეთვალყურეო საბჭოებში არ ჰყავთ ქალი წევრები; შედარებისთვის, დირექტორთა საბჭოებში სს „საპარტნიორო ფონდს“ რვაკაციანი შემადგენლობიდან ჰყავს ერთი ქალი, ხოლო სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას“ ხუთკაციანი დირექტორთა საბჭოში ჰყავს ერთი ქალი დირექტორი.

რეკომენდაციები

- მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო საწარმოებისათვის პრაქტიკაში ამოქმედდეს კორპორაციული მართვის კოდექსი. კორპორაციული მართვის კოდექსი უნდა შემუშავდეს მთავრობის ან რომელიმე სამინისტროს, მაგალითად, ფინანსთა სამინისტროს მიერ, როგორც ეს არის ნახსენები ზემოთ განხილულ მაგალითში, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია მისი პრაქტიკაში ამოქმედების საკითხი. კორპორაციული მართვის კოდექსი უნდა დაინერგოს „შეასრულე ან ახსენის“ პრინციპით („comply or explain”). ეს ხელს შეუწყობს კორპორაციული მართვის სტანდარტების და, შესაბამისად, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის დანერგვას სახელმწიფო საწარმოებში.
- კორპორაციული მართვის კოდექსის შემუშავებასთან ერთად აუცილებელია ეთიკის კოდექსის შექმნა. ეთიკის კოდექსის ცალკე არსებობა მნიშვნელოვანი იქნებოდა ნეპოტიზმის ნიშნებისა და კორუფციის აღმოფხვრისათვის. კორპორაციული მართვის კოდექსის მსგავსად შესაძლებელია, რომ ეთიკის კოდექსიც საქართველოს მთავრობამ შექმნას.
- აუცილებელია მკაცრად გაიწეროს გარემოსდაცვითი სტანდარტები სახელმწიფო საწარმოებისათვის. შესაძლებელია ასეთი სტანდარტები ჩამოყალიბდეს კორპორაციული მართვის კოდექსში ან შეიქმნას ცალკე დოკუმენტის სახით. ყველა შემთხვევაში, სახელმწიფო საწარმოები უნდა იყოს მისაბაძი მაგალითი კომერციული საწარმოებისათვის გარემოსდაცვითი სტანდარტების გათვალისწინების თვალსაზრისით.
- სახელმწიფო საწარმოებისთვის კორპორაციული მართვის კოდექსის შემუშავების საკითხი აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს საბჭოს მიერ სამოქმედო გეგმაში. შესაბამისად, აღნიშნული კოდექსის შემუშავებისათვის შესაძლებელია შეიქმნას ინტერდისციპლინარული ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტებული იქნება სხვადასხვა სფეროს პროფესიონალებისაგან (საბჭოს ქვეჯგუფის წარმომადგენლებისაგან).
- მნიშვნელოვანი იქნება სახელმწიფო საწარმოებისათვის არა მხოლოდ კომპლექსური, არამედ სპეციფიკური აქტივობების გაწერა და განხორციელება. მაგალითად, შესაძლებელია, რომ პირველი აქტივობის სახით გათვალისწინებულ იქნეს გენდერული თანასწორობის გაძლიერების ხელშეწყობა მმართველობის ორგანოებში ან შრომითი უფლებების დაცვის გაძლიერება.
- რადგან სახელმწიფო საწარმოების მნიშვნელოვანი ნაწილის სუბსიდირება ხდება ბიუჯეტიდან, ანუ ფაქტობრივად ისინი განკარგავენ მათთვის გამოყოფილ საბიუჯეტო

თანხებს, ამიტომ მნიშვნელოვანია საბიუჯეტო თანხების განკარგვის თვალსაზრისით დანერგილი იყოს გამჭვირვალობისა და ანგარიშგების სტანდარტები. გამჭვირვალობის ნაწილმა უნდა მოიცვას ასევე ფინანსური და საქმიანობის შედეგების ღიაობა, საწარმოს მიზნები და მათი განხორციელების მოცულობა, სამეთვალყურეო საბჭოსა და აღმასრულებელი მენეჯმენტის ანაზღაურება, სამეთვალყურეო საბჭოს წევრების შერჩევის პოლიტიკა და მასთან დაკავშირებული საკითხები.[94]

2.4 მწვანე ეკონომიკა და ბიზნესის წახალისება გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის მიმართულებით

მწვანე ეკონომიკა მდგრადი განვითარების მნიშვნელოვანი კომპონენტია და ხელს უწყობს ბუნებრივი რესურსების გონივრულ გამოყენებას, გარემოზე ზიანის შემცირებას, მდგრადი მოხმარებისა და წარმოების პრაქტიკის ხელშეწყობას, ასევე მწვანე ინვესტიციების მოზიდვას. მწვანე ეკონომიკის განვითარების პროცესში მნიშვნელოვანია როგორც სახელმწიფოს და კერძო სექტორის, ასევე საზოგადოების ჩართულობა.

საქართველოში მწვანე ეკონომიკის ძირითად მიმართულებებს მრეწველობა, ტურიზმი, ტრანსპორტი, მშენებლობა, ენერგეტიკა, სოფლის მეურნეობა, მყარი ნარჩენების მართვა, ტყე და ბიომრავალფეროვნება წარმოადგენს.[95]

მწვანე ეკონომიკის განვითარებისათვის აუცილებელია კერძო სექტორის ჩართულობის უზრუნველყოფა. საწარმოების საქმიანობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს გარემოზე, ბუნებრივი რესურსების, გარემოს დაბინძურების, სათბურის აირების გაფრქვევების, ნარჩენებისა და სხვა მიმართულებებით. ამასთანავე, ინვესტორები და საფინანსო ორგანიზაციები მდგრადი ბიზნესის დაფინანსების, ხოლო მწარმოებლები ინოვაციური მდგრადი ტექნოლოგიების განვითარების წყაროა.

საქართველოში მწვანე ეკონომიკის განვითარების მიმართულება არაერთ სახელმწიფო სტრატეგიულ დოკუმენტშია გათვალისწინებული. მათ შორის აღსანიშნავია მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული დოკუმენტი, ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების შეთანხმება, 2022-2026 წლებისთვის საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეოთხე ეროვნული პროგრამა, საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია, ასევე ნარჩენების მართვის 2016 - 2030 წლების ეროვნული სტრატეგია.

---

[94] OECD-ის სახელმწიფო საწარმოების კორპორაციული მართვის გზამკვლევი, გვ. 24, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD), 2015.

[95] საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (2020), საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია – 2021-2025 წლებისთვის

ხაზგასასმელია, რომ 2016 წელს საქართველო OECD-ის მწვანე ზრდის დეკლარაციას (Declaration on Green Growth) შეუერთდა, რის საფუძველზეც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო მწვანე ეკონომიკის პოლიტიკის დოკუმენტისა და მწვანე ზრდის სტრატეგიის შემუშავებაზე მუშაობს. აღნიშნული დოკუმენტების მიზანი მდგრადი და მწვანე განვითარების საფუძველზე საქართველოს ეკონომიკის მოდერნიზაციაა.

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმება ითვალისწინებს მხარეების ვალდებულებას, მდგრადი განვითარებისა და მწვანე ეკონომიკის ამოცანების შესრულებისათვის გარემოსდაცვით საკითხებზე გააძლიერონ თანამშრომლობა.

მწვანე ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობისა და ამ პროცესში კერძო სექტორის მიერ შესაბამისი პასუხისმგებლობების აღების წახალისების მიმართულებით მნიშვნელოვანი პოლიტიკის დოკუმენტია 2021-2025 წლების საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია. სტრატეგიაში მწვანე ეკონომიკის განვითარება ცალკე პრიორიტეტულ მიმართულებად არის გამოყოფილი და სამეწარმეო საქმიანობაში გარემოსდაცვითი ქმედებების დანერგვის ხელშეწყობას მოიცავს.

სტრატეგიის მიხედვით, მეწარმეობაში მწვანე ეკონომიკის შესაბამისი პასუხისმგებლობების დანერგვის ხელშემშლელ ფაქტორს ფინანსური რესურსების ნაკლებობა წარმოადგენს. ქვეყანაში შეზღუდულია მწვანე ფინანსებზე ხელმისაწვდომობა, რაც აფერხებს გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების განვითარებაში მეწარმეების ინვესტიციების განხორციელებას. ასევე დაბალია მცირე და საშუალო საწარმოების ცნობიერება მწვანე ეკონომიკის სარგებელთან და არსებულ თუ მოსალოდნელ რეგულაციებთან დაკავშირებით.

მწვანე ეკონომიკის განვითარების მიმართულებით მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია ასევე მოიცავს ეკოინოვაციის მიდგომების დანერგვის ხელშეწყობას, მწვანე დაფინანსების ხელმისაწვდომობის გაზრდას, შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩოს განვითარებას, ეკოტურიზმის მხარდაჭერას და გარემოსდაცვით საკითხებზე მცირე და საშუალო მეწარმეების ცნობიერების ამაღლებას.

ხაზგასასმელია, რომ 2021 წელს მწვანე სესხების მოცულობა, წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით, 48%-ით გაიზარდა და მთლიანი საკრედიტო პორტფელის 3.2% შეადგინა[96].

დამატებით, საქართველოში მწვანე ეკონომიკის განვითარების პროგრესის შეფასების ერთ-ერთი საშუალებაა OECD-ის მცირე და საშუალო ბიზნესის პოლიტიკის ინდექსი. 2020 წლის ანგარიშის მიხედვით, მწვანე ეკონომიკაში მცირე და საშუალო მწარმოებლების ჩართულობის უზრუნველსაყოფად განხორციელებული აქტივობების მიუხედავად, მეტი პროგრესის მიღწევისათვის აუცილებელია მათი მხარდაჭერის ინსტრუმენტების გაფართოება. ამ

[96] საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (2023), [საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის 2021-2025 წლების სტრატეგია, 2022 წლის სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიში].

მიმართულებით ხაზგასმულია „აწარმოე საქართველოს“ საქმიანობაში მწვანე მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების კომპონენტის გათვალისწინება და დაფინანსების არსებულ ინსტრუმენტებში მწვანე კრიტერიუმების ინტეგრირების შესაძლებლობები[97].

იქიდან გამომდინარე, რომ მწვანე ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას ნარჩენების მართვა წარმოადგენს, მნიშვნელოვანია ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგიით განსაზღვრული აქტივობების განხილვა. ხაზგასასმელია ნარჩენების მართვის კოდექსით განსაზღვრული მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (მგვ) მექანიზმის განვითარება, რომელიც არეგულირებს მწარმოებლის პასუხისმგებლობას საკუთარ პროდუქტზე მისი მოხმარების შემდგომ ეტაპზეც. ამ მიმართულებით საქართველოში მიღებულია 4 ტექნიკური რეგლამენტი, ზეთების, საბურავების, ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობებისა და ბატარეებისა და აკუმულატორების ნარჩენების მართვაზე.

მწვანე ეკონომიკის განვითარებისათვის კერძო სექტორის პასუხისმგებლობების განსაზღვრის პროცესში მნიშვნელოვანი მექანიზმია გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ვალდებულება. გზშ-ის მიზანია, დაგეგმილი საქმიანობის შეფასება გარემოზე ზემოქმედების გათვალისწინებით. გზშ-ს დაქვემდებარებული სექტორები კი გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით არის განსაზღვრული და ძირითადად მიმართულია ინფრასტრუქტურული პროექტების, წიაღისეულის მოპოვების, ელექტროენერგიის წარმოების და სხვა სექტორებზე.

დამატებით, მწვანე ეკონომიკის განვითარებისა და ამ პროცესში კერძო სექტორის ჩართულობის ზრდისათვის ეროვნულმა ბანკმა შეიმუშავა მდგრადი დაფინანსების ტაქსონომია, რომელიც მოიცავს მწვანე, სოციალური და მდგრადი განვითარების მიმართულებებს და მიზნად ისახავს მდგრადი დაფინანსების ბაზრის განვითარების ხელშეწყობას[98].

იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოში მწვანე ეკონომიკის მიმართულებით განვითარება საერთაშორისო რეკომენდაციებისა და ევროკავშირის პრინციპების შესაბამისად მიმდინარეობს, მნიშვნელოვანია მწვანე ეკონომიკის მიმართულებით კერძო სექტორის პასუხისმგებლობის წახალისებაზე ევროპის კავშირის ქვეყნებში არსებული პოლიტიკისა და პრიორიტეტული მიმართულებების განხილვა.

ევროპულ კავშირში მწვანე ეკონომიკის განვითარება ეფუძნება ევროპის მწვანე შეთანხმებაში გათვალისწინებულ პოლიტიკის ინიციატივებს. დოკუმენტი მიმართულია ეკონომიკის განვითარების პროცესში ყოვლისმომცველი მიდგომის გამოყენებასა და კლიმატთან დაკავშირებული მიზნების შესაბამისი პოლიტიკის შემუშავებაზე. ამ კუთხით არსებული

---

[97]OECD (2020), SME Policy Index: Eastern Partner Countries 2020

[98] საქართველოს ეროვნული ბანკი (2022), მდგრადი დაფინანსების ტაქსონომია

ინიციატივები კლიმატის, გარემოს, ენერგეტიკის, ტრანსპორტის, ინდუსტრიის, სოფლის მეურნეობის და მდგრადი დაფინანსების მიმართულებებს მოიცავს[99].

გერმანიაში მდგრადი ეკონომიკური განვითარებისა და კომპანიების მდგრადობის ხელშეწყობის სისტემის განხილვისას მნიშვნელოვანია რამდენიმე ძირითად მიმართულებაზე ყურადღების გამახვილება. პირველი ინიციატივა მდგრადი ეკონომიკური საქმიანობის წახალისებისთვის ინდივიდუალური სექტორების დაფინანსებას მოიცავს. ამ პოლიტიკის კარგ მაგალითს ფოლადის წარმოების კონცეფცია წარმოადგენს, რომლის ფარგლებშიც მთავრობა მხარს უჭერს დაბალი ნახშირბადის, ნახშირბადნეიტრალურ და ნულოვანი ნახშირბადის ფოლადის წარმოებას. მეორე ინიციატივა რესურსების მდგრად გამოყენებასა და ცირკულარული ეკონომიკის განვითარებაზეა მიმართული. ამ კონტექსტში ერთ-ერთი მაგალითი, „Lightweighting“ ტექნოლოგიების (პროდუქტის წონის შემსუბუქება) გამოყენებისთვის, ეკონომიკის სამინისტროს მიერ კერძო კომპანიების მხარდაჭერის მექანიზმებია. ეს ინიციატივა მოიცავს ინდუსტრიებს შორის ცოდნის გაზიარების პლატფორმების განვითარებას და მიზნობრივი დაფინანსების გაცემას. კიდევ ერთ ინიციატივას მდგრადი განვითარებისათვის ინოვაციებისა და დიგიტალიზაციის მხარდაჭერა წარმოადგენს, რაც, თავის მხრივ, ინოვაციური ტექნოლოგიების განვითარებისა და სტარტაპების დაფინანსებას მოიცავს.

კლიმატის ცვლილებისა და სუფთა ენერგიის გამოყენების წახალისების მიმართულება ეკონომიკურ ზრდაში ენერგომოხმარებისა და ენერგოეფექტურობის ფაქტორების გათვალისწინების ხელშეწყობას მოიცავს. მაგალითად, გერმანიის ეკონომიკის სამინისტრო უზრუნველყოფს საკონსულტაციო და დაფინანსების პროგრამებს კომპანიების ენერგოეფექტურობის განვითარებისთვის. კიდევ ერთ მიმართულება ენერგოეტიკეტირების განვითარებაა, რაც ენერგომოხმარების ფაქტორის გათვალისწინებას, ინოვაციების წახალისებასა და ენერგოეფექტურ პროდუქტზე მოთხოვნის ზრდას უწყობს ხელს. დამატებით, ამ მიმართულებით ასევე მნიშვნელოვანია ეკოდიზაინის რეგულაციების გათვალისწინება, რომელსაც დადებითი გავლენა აქვს როგორც მომხმარებლების კეთილდღეობაზე, ისე ენერგიისა და რესურსების ეფექტიან გამოყენებაზე[100].

რეკომენდაციები

- საქართველოში მწვანე ეკონომიკის განვითარების მიმართულებით რეკომენდაციების შემუშავებისთვის, პირველ რიგში გასათვალისწინებელია, რომ მიუხედავად არსებული ინიციატივებისა, ქვეყანაში არ არსებობს მწვანე ეკონომიკაზე გადასვლის ერთიანი

[99] European Council (2019), European Green Deal

[100] Federal Ministry for Economic Affairs and Energy (2021), Towards a sustainable economy, Second report on sustainability

სტრატეგიული ხედვა. შესაბამისად, პირველ რიგში მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით განსახორციელებელი პოლიტიკის სტრატეგიული ხედვის შემუშავება, რისთვისაც აუცილებელია მწვანე ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებული გამოწვევებისა და საჭიროებების და შესაბამისი ზომების იდენტიფიცირება, კერძო სექტორის ჩართულობისა და მთავრობის მხარდაჭერის მექანიზმების უზრუნველყოფა.

- დამატებით, OECD-ის მცირე და საშუალო ბიზნესის პოლიტიკის ინდექსის რეკომენდაციის გათვალისწინებით, სასურველია, აწარმოე საქართველოს საქმიანობასა და დაფინანსების მექანიზმებში მწვანე მეწარმეობის კრიტერიუმების ინტეგრირება. მხარდაჭერის მექანიზმების განვითარების კუთხით საერთაშორისო პრაქტიკა როგორც საკონსულტაციო, ასევე ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმების საჭიროებაზე მიუთითებს.
- მწვანე ეკონომიკის განვითარებაში კერძო სექტორის როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მწვანე ეკონომიკაზე გადასვლის დაფინანსების მიმართულებით. ამრიგად, მთავრობამ უნდა შეიმუშაოს მწვანე დაფინანსების და ინვესტიციების მოზიდვის შესაბამისი სტრატეგიები და მარეგულირებელი მექანიზმები. ამასთანავე, კერძო სექტორის წახალისებისათვის ასევე მნიშვნელოვანია მწვანე საჯარო ინვესტიციების მიმართულების განვითარება.

2.5 საჯარო შესყიდვების პროცესში მდგრადობის კრიტერიუმის ინტეგრირება

მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევისა და კორპორაციული მდგრადობის ხელშეწყობის ერთ-ერთი ინსტრუმენტია საჯარო შესყიდვებში მდგრადობის კომპონენტების გათვალისწინება. ეკონომიკის მნიშვნელოვანი წილი აქვს სახელმწიფო შესყიდვებს. შესაბამისად, მდგრადი საჯარო შესყიდვების ინსტრუმენტების გამოყენება ხელს უწყობს ეკოლოგიური და სოციალური გარემოს გაუმჯობესებასა და კერძო სექტორის მიერ უფრო მდგრადი პროდუქციისა და სერვისების განვითარებას.

მდგრადი საჯარო შესყიდვა საქონლის, მომსახურების, სამუშაოს და კომუნალური მომსახურების მოთხოვნის დაკმაყოფილების პროცესში საზოგადოებისა და ეკონომიკისთვის სარგებლის გათვალისწინებას მოიცავს. მდგრადი შესყიდვები მიმართულია ეკონომიკურ, სოციალურ და გარემოსდაცვით ასპექტებზე. ეკონომიკური ფაქტორი მთლიანი სასიცოცხლო ციკლის დანახარჯების გათვალისწინებასთან არის დაკავშირებული, რაც ყველაზე მომგებიანი წინადადების მიღებას გულისხმობს; სოციალური ფაქტორი ადამიანის უფლებებისა და შრომის სამართლის პრინციპების დაცვის საკითხების ინტეგრირებას მოიცავს; გარემოსდაცვითი ფაქტორი კი, გაფრქვევების, კლიმატის ცვლილების, ბუნებრივი

რესურსების სწორი გამოყენების ხელშეწყობისკენ არის მიმართული.[101] სახელმწიფო შესყიდვების პროცესში გარემოზე მცირე ზემოქმედების საქონლის, სერვისისა და სამუშაოს შერჩევის საფუძველზე, მთავრობებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში.

ზოგადად, მდგრადი საჯარო შესყიდვების მიმართულებით ძირითადი გამოწვევები დაკავშირებულია:

- საზოგადოების აღქმასთან, რომ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტსა და სერვისებს უფრო მაღალი ღირებულება აქვთ;
- შესყიდვების პროცესში გარემოსდაცვითი სტანდარტების ინტეგრირებაზე საჯარო მოხელეების ტექნიკური ცოდნის ნაკლებობასთან;
- მდგრადი შესყიდვების შედეგების შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმების არარსებობასთან.[102]

საქართველოში საჯარო შესყიდვებში მდგრადობის ასპექტის ინტეგრირება ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების შეთანხმებით აღებული ვალდებულებებიდან გამომდინარეობს და ამისათვის საქართველომ უნდა შეიმუშაოს შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩო და აღსრულების მექანიზმები.

ქვეყანაში მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად საჯარო შესყიდვებში მდგრადობის კომპონენტის ინტეგრირების საჭიროება სექტორის მნიშვნელობიდანაც გამომდინარეობს. 2022 წლის განმავლობაში სახელმწიფო უწყებების მიერ განხორციელებული შესყიდვების ჯამურმა ღირებულებამ ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 10.3% შეადგინა.[103]

საქართველოში საჯარო შესყიდვებში მდგრადი პროდუქტისა და მომსახურების მიმართულების დანერგვა 2019 წლიდან დაიწყო, რის შედეგადაც, საჯარო შესყიდვების შესახებ შემუშავებულ ახალ კანონში გათვალისწინებულ იქნა მდგრადი საჯარო შესყიდვების სამართლებრივი რეგულირების მექანიზმები.

ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რომ 2022 წელს მთავრობამ დადგენილებით დაამტკიცა ენერგოეფექტური სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების პრინციპები და ეროვნული მონეტარული ზღვრები. საჯარო შესყიდვებში ენერგოეფექტურობის კომპონენტის ინტეგრირების მიზანია მაღალი ენერგოეფექტურობის მქონე ობიექტის შესყიდვა და ენერგიის მოხმარების შემცირების წახალისება.

მდგრადი საჯარო შესყიდვების განვითარების მიმართულებით მნიშვნელოვანი ცვლილება იყო 2023 წლის ივნისში საჯარო შესყიდვების შესახებ ახალი კანონის მიღება. ამ კანონის

---

[101] სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, 2023. 2022 წლის საქმიანობის ანგარიში
[102] OECD, 2015, Going Green: Best Practices for Sustainable Procurement
[103] სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ანგარიში, 2023

მიზანია, საჯარო შესყიდვების განხორციელებისას გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური ასპექტების გათვალისწინებით, მდგრადი განვითარების ხელშეწყობა. კანონის მიხედვით, შემსყიდველ ორგანოს, ენიჭება უფლებამოსილება ეკონომიკურ ოპერატორს მოსთხოვოს მდგრადი განვითარების მიზნის მისაღწევად სოციალური, გარემოსდაცვითი და შრომითი სამართლებრივი ნორმების დაცვა, ასევე შესყიდვის პირობების დადგენისას გაითვალისწინოს მდგრადობის კრიტერიუმები.

საჯარო შესყიდვებში მდგრადობის კრიტერიუმების აღსრულებისათვის 2025 წლის 1 იანვრამდე საქართველოს მთავრობას დაევალა შესყიდვის პირობებში მდგრადი განვითარების სავალდებულოდ გათვალისწინების შემთხვევების, შესყიდვის ობიექტის (საქონლის, მომსახურების, სამუშაოს) შესაბამისი CPV კოდების, ასევე პროცედურული მახასიათებლების მითითების წესისა და მეთოდოლოგიის შესახებ დადგენილების მიღება. საჯარო შესყიდვის განხორციელებისას მდგრადი განვითარების მიზნის მისაღწევად გასატარებელი აუცილებელი ღონისძიებების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტში განსაზღვრულია 4 პრიორიტეტული სფერო, რომელში შესყიდვისას სავალდებულო იქნება მდგრადი განვითარების მახასიათებლების გათვალისწინება. ასეთი შესყიდვის ობიექტებია ტონერიანი კარტრიჯები, მელნის/საღებავის კარტრიჯები, პრინტერები და პლოტერები და საწმენდი და საპრიალებელი პროდუქცია.

ამასთან, ახალი კანონისა და შესაბამისი დადგენილების ნორმების იმპლემენტაციისა და აღსრულების მიმართულებით, EU4Environment-ის პროექტის მხარდაჭერით შემუშავდა საქართველოს მდგრადი საჯარო შესყიდვების სახელმძღვანელო, რომლის მიზანია შემსყიდველი ორგანიზაციებისა და ეკონომიკური ოპერატორების მომზადება[104].

რამდენადაც საქართველოში მდგრადი სახელმწიფო შესყიდვების სისტემის შემოღება ევროკავშირის სამართალთან და ნორმებთან დაახლოებას უკავშირდება, მნიშვნელოვანია კავშირის ქვეყნებში არსებული სქემებისა და მდგრადი საჯარო შესყიდვების განვითარების მხარდაჭერის მექანიზმების განხილვა. ევროპულ კავშირში საჯარო შესყიდვებში მდგრადი განვითარების მიზნების ინტეგრირების მიმართულებით მნიშვნელოვანი განვითარება იყო 2014 წელს ევროკავშირის საჯარო შესყიდვების დირექტივაში (2014/24/EU) მდგრადი შესყიდვების პრინციპების ინტეგრირება, რის საფუძველზეც ქვეყნებმა უფრო აქტიურად დაიწყეს საჯარო შესყიდვებში აღნიშნული ინსტრუმენტების გამოყენება.

გერმანიაში, საჯარო შესყიდვების სისტემაში, სოციალური და ეკოლოგიური მოთხოვნების განვითარებისთვის შექმნილია მდგრადი შესყიდვების სამუშაო ჯგუფი. დამატებით, ქვეყანაში გამოყენებულია ისეთი ინიციატივები, როგორიც არის მდგრადი განვითარების პრაქტიკის ალიანსის შექმნა და ფედერალური ადმინისტრაციების მდგრადობის გაზომვის პროგრამის

[104] EU4Environment, 2023, მდგრადი საჯარო შესყიდვების კუთხით განხორციელებული რეფორმები და პრაქტიკა საქართველოში

შემუშავება. მდგრადი განვითარების პრაქტიკის ალიანსი საჯარო შესყიდვების უწყებების წარმომადგენლებისაგან შედგება და მიზნად ისახავს გამოცდილებისა და კარგი პრაქტიკის გაზიარებას. ამასთანავე, მთავრობის აქტივობები მიმართულია საჯარო უწყებებში მდგრადი შესყიდვების პრაქტიკაზე ცოდნისა და ექსპერტიზის ზრდაზე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გერმანიაში საჯარო შესყიდვების სისტემა, გარემოსდაცვით ასპექტებთან ერთად, სოციალური ასპექტების ინტეგრირებას მოიცავს. მაგალითისათვის, გერმანიის მთავრობა საჯარო შესყიდვების კანონში დამატებით საკანონმდებლო მოთხოვნებს ითვალისწინებს:

- მაღალი ენერგომოხმარების სექტორებში, ტექნიკურ სპეციფიკაციებში მაღალი ენერგოეფექტურობის მოთხოვნების ინტეგრირება;
- საჯარო შესყიდვებში მცირე და საშუალო მეწარმეობის მონაწილეობის ხელშეწყობისათვის სავალდებულოა ტენდერების შესაბამის ლოტებად დაყოფა;
- საჯარო ხელშეკრულების მიღებისათვის, კომპანიების მიერ მინიმალური ხელფასის შესახებ კანონის მოთხოვნების დაკმაყოფილება.[105]

ირლანდიის შემთხვევაში, მდგრადი საჯარო შესყიდვების განვითარების მხრივ გათვალისწინებულია როგორც მწვანე შესყიდვების, ისე სოციალური პასუხისმგებლობის მიმართულებები. ქვეყანაში შექმნილია სტრატეგიული შესყიდვების სამუშაო ჯგუფი, რომელიც ითავსებს საჯარო შესყიდვებში მდგრადობის გათვალისწინებისათვის საუკეთესო პრაქტიკისა და ინფორმაციის გაზიარების მიმართულებას. დამატებით შექმნილია მაღალი დონის სამუშაო ჯგუფი, საჯარო შესყიდვებში მცირე და საშუალო მეწარმეობის მონაწილეობის წახალისებისათვის.[106]

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ მდგრადი საჯარო შესყიდვების სისტემის განვითარებისთვის საქართველოში შემუშავებულია საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ბაზა, რომლის საფუძველზეც ნაწილობრივ დაწყებულია საჯარო შესყიდვების სისტემის აღსრულება და დაგეგმილია ეტაპობრივად მისი გაფართოება. ამ მხრივ მნიშვნელოვანი ეტაპია ახალი კანონის მიღება და, შესაბამისად, 2025 წლიდან – 4 პრიორიტეტულ სფეროში მდგრადი საჯარო შესყიდვების კრიტერიუმების ინტეგრირება. ყველაფრის გათვალისწინებით, საქართველოში მდგრადი საჯარო შესყიდვების სისტემის ეფექტიანად დასანერგად მნიშვნელოვანია ქვემოთ განხილული ფაქტორების გათვალისწინება.

---

[105] OECD, 2019, Public Procurement in Germany, OECD Public Governance Reviews
[106] Government of Ireland, 2017

რეკომენდაციები

- საერთაშორისო პრაქტიკის მიმოხილვის საფუძველზე მდგრადი საჯარო შესყიდვების ინსტრუმენტის ეფექტიანი გამოყენებისათვის გამოიკვეთა უწყებათაშორისი კოორდინაციის საჭიროება. საქართველოსთვის აღნიშნული საკითხის მნიშვნელობა ქვეყანაში საჯარო შესყიდვების დეცენტრალიზებული სისტემიდან გამომდინარეობს, რომელშიც მრავალი შემსყიდველი ორგანიზაცია მონაწილეობს. შესაბამისად, აღნიშნული ორგანოების კომპეტენციების გაძლიერების, გამოცდილების გაზიარების, მათი უნარების განვითარებისა და ზოგადად მდგრადი შესყიდვების სისტემის ეფექტიანი აღსრულებისთვის მნიშვნელოვანია შემსყიდველი ორგანოების კოორდინაციისთვის მსგავსი პლატფორმის უზრუნველყოფა.
- საჯარო შესყიდვებში მდგრადობის კომპონენტის ეფექტიანად ინტეგრირება კვალიფიციური კადრების ცოდნისა და უნარების განვითარებას უკავშირდება. საკითხის მნიშვნელობა ასევე გამომდინარეობს დიდი რაოდენობით მცირე ზომის შემსყიდველი ორგანიზაციების საქმიანობიდან, რაც, თავის მხრივ, შესყიდვების სფეროში კვალიფიციური კადრებისა და უნარების ნაკლებობასთან არის დაკავშირებული[107]. საქართველოში მდგრად საჯარო შესყიდვებზე სპეციალიზებული ცოდნისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის აუცილებელია ამ მიმართულებით არსებული ინსტრუმენტების მაქსიმალურად ეფექტიანი გამოყენება, ასევე, შესაბამისი სახელმძღვანელოების, ტრენინგების, სტრატეგიების და ა.შ. შემუშავება.
- ამასთან, მნიშვნელოვანი მიმართულებაა საჯარო შესყიდვებში მდგრადობის პოლიტიკის ინტეგრირების შედეგების გაზომვა. აღსანიშნავია, რომ OECD-ის ქვეყნების 69% განხორციელებული შესყიდვების შედეგებს მდგრადობის კრიტერიუმებით აფასებს[108]. მნიშვნელოვანია, რომ საქართველომაც, ახალი რეგულაციების ამოქმედების შემდეგ, შეაფასოს მდგრადი საჯარო შესყიდვების გავლენა მდგრადი განვითარების მიზნების ხელშეწყობისა და ეკოლოგიური, სოციალური თუ ეკონომიკური ასპექტების მიმართულებით მიღწეული პროგრესის თვალსაზრისით.
- იმის გათვალისწინებით, რომ მდგრადი საჯარო შესყიდვების სისტემის ეფექტიანობისთვის ერთ-ერთი გამოწვევაა ეკოლოგიურ პროდუქტებსა და მომსახურებსთან დაკავშირებული მაღალი დანახარჯები, მნიშვნელოვანია დაინტერესებული მხარეების ცნობიერების ამ მიმართულებით ამაღლება. აღსანიშნავია, რომ მდგრადი საჯარო შესყიდვები, მთლიანი სასიცოცხლო ციკლის დანახარჯების გათვალისწინების და ხარისხიანი საქონლის შეძენის წახალისების საფუძველზე, ხელს

---

[107] EU4Environment, 2023, მდგრადი საჯარო შესყიდვების კუთხით განხორციელებული რეფორმები და პრაქტიკა საქართველოში
[108] OECD, 2023, Green Public Procurement

უწყობს ხარჯების შემცირებასა და ამავდროულად, ტექნოლოგიების გაუმჯობესებას. შესაბამისად, აუცილებელია საზოგადოების ინფორმირება მდგრადი საჯარო შესყიდვების დადებით შედეგებზე.

- მდგრადი საჯარო შესყიდვების აღსრულების პროცესში ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორია ეკომარკირების სისტემა. მარკირება ამარტივებს პროდუქტისა და მომსახურების ტექნიკური სპეციფიკაციების განსაზღვრისა და შესაბამისობის დადგენის პროცედურებს. ამ მიმართულებით საქართველოს სისტემა ნაკლებად არის განვითარებული, რადგანაც არ არსებობს ეროვნული ეკომარკირება[109]. შესაბამისად, მდგრადი საჯარო შესყიდვების ინსტრუმენტების ეფექტიანი განვითარებისათვის ასევე მნიშვნელოვანია ეფექტიანი ეკომარკირების სისტემის დანერგვა.
- მდგრადი საჯარო შესყიდვების სისტემის განვითარებისათვის აუცილებელია მაღალი ზეგავლენის მქონე დამატებითი სექტორების იდენტიფიცირება და 4 პროდუქტის (ტონერიანი კარტრიჯები, მელნის/საღებავის კარტრიჯები, პრინტერები და პლოტერები და საწმენდი და საპრიალებელი პროდუქცია) საჯარო შესყიდვებზე დაგეგმილი რეგულაციების ეტაპობრივი გავრცელება სხვა სექტორებზე. ამ პროცესის თანმიმდევრული და ეფექტიანი მიმდინარეობისთვის მიზანშეწონილია მდგრადი საჯარო შესყიდვების განვითარების სამოქმედო გეგმის/სტრატეგიის შემუშავება, რომელშიც წინასწარ იქნება წარმოდგენილი მდგრადი საჯარო შესყიდვების რეგულაციის გავრცელების პროდუქტების ჩამონათვალი და შესაბამისი ვადები.
- მნიშვნელოვანია მდგრადი საჯარო შესყიდვების მიმართულებით იდენტიფიცირებულ სექტორებში სისტემის ეფექტიანი აღსრულება. მდგრადი საჯარო შესყიდვების წარმოების პროცესში ერთ-ერთი გამოწვევაა კომპანიების მდგრადი საქმიანობის სიღრმისეული შეფასების და ე.წ. გრინვოშინგის (greenwashing) გამოვლენის მექანიზმის შემუშავება. შესაბამისად, მთავრობის მიერ შემუშავებულ სისტემაში აუცილებელია საჯარო შესყიდვებში გამჭვირვალობის, მონაცემთა სანდოობის შემოწმებისა და მონიტორინგის მიმართულებების გათვალისწინება.

[109] EU4Environment, 2021, არსებული ეკო-მარკირების სისტემების შეფასება საქართველოში.

მიზანი 3. კორპორაციული პასუხისმგებლობის შესახებ ცოდნის შექმნა, შესაძლებლობათა გაძლიერება და გამოცდილების გაზიარება

CSR-ის დანერგვის მდგრადობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია შესაბამისი საგანმანათლებლო და კვლევითი ბაზის არსებობა. ეს საგანმანათლებლო და კვლევითი აქტივობები დაკავშირებული უნდა იყოს ბიზნესორგანიზაციებთან და პასუხობდეს ბიზნესორგანიზაციების პრაქტიკულ საჭიროებებს. ამავდროულად, უნდა ეხმარებოდეს ასეთ ორგანიზაციებს მომავალი საქმიანობის დაგეგმვასა და ხარჯების შემცირებაში ორგანიზაციების საქმიანობის ეფექტიანობის ზრდის მეშვეობით.

როგორც წინა თავებში, ამ შემთხვევაშიც მოყვანილია ევროპის ქვეყნების გამოცდილება ქართულ გამოცდილებასთან შედარებისთვის და მისი მნიშვნელობის უკეთ წარმოსაჩენად. საუკეთესო პრაქტიკის ანალიზი კარგი საშუალებაა როგორც CSR-ის სტანდარტების მხარდაჭერისთვის, ისე ქართული კომპანიებისთვის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპების საქმიანობაში დასანერგად. CSR-ის დანერგვის მიზნებიდან გამომდინარე, კრიტიკულად მნიშვნელოვანია სახელმწიფოებსა და კომპანიებს შორის გამოცდილების გაზიარება.

3.1 კორპორაციული პასუხისმგებლობის სწავლების დანერგვა საუნივერსიტეტო სისტემაში

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პოპულარიზაციისა და სრულყოფილად შესწავლა-კვლევისთვის მნიშვნელოვანია იგი შედიოდეს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სასწავლო პროგრამებში და ისწავლებოდეს უნივერსიტეტებში.

საუნივერსიტეტო დონეზე კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა შესაძლებელია სხვადასხვა ფორმით დაინერგოს. კერძოდ, როგორც წესი, უნივერსიტეტების სტრატეგია მიზნად ისახავს სტუდენტებისთვის განათლების მიცემას და მათ მომზადებას ცხოვრებისთვის, რომ შეძლონ იყვნენ საუკეთესოები და მიაღწიონ დასახულ მიზნებს. მნიშვნელოვანია, სტუდენტებს ჰქონდეთ სამუშაო ეთიკა, ლოგიკურად მოაზროვნე პიროვნების თვისებები და იყვნენ პატიოსანი საკუთარ საქმეში. უნივერსიტეტები მხარს უჭერენ სტუდენტებს, რომ მათ მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანონ საზოგადოებაში. უნივერსიტეტები ხელს უწყობენ კვლევის განვითარებას, რაც ქმნის და ეხმარება ახალი ცოდნის შექმნას, მათ შორის ინოვაციებისა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვას.

უნივერსიტეტები, როგორც წესი, ხელს უწყობენ განხორციელებული კვლევებისა და შექმნილი პროდუქტების გამოყენებას საზოგადოების მიზნებისათვის[110].

ქართულ უნივერსიტეტებში კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობას ასწავლიან როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო საფეხურებზე. როგორც წესი, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა ისწავლება ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამებზე, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციების, ასევე ტურიზმის პროგრამაზე. ამ დროისთვის, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა საქართველოს მასშტაბით ისწავლება დაახლოებით 10 უნივერსიტეტში, როგორც კერძო, ისე სახელმწიფო უნივერსიტეტებში.

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სასწავლო კურსებს შესაძლებელია სხვადასხვა სახელი ჰქონდეთ. მაგალითად, „ბიზნესის პასუხისმგებლობა და ეთიკა“, „ბიზნესის ეთიკა“, „ბიზნესის ეთიკა და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა“. ამ მხრივ, ქართული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სასწავლო პროგრამები ზოგადად შეესაბამება წინამდებარე დოკუმენტში განხილულ ძირითად საკითხებს, რომელთა თანახმადაც, მნიშვნელოვანია კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სტანდარტების დაცვა ბიზნესში.

სხვადასხვა კვლევით დასტურდება, რომ სტუდენტები იზიარებენ ბიზნესსა და ბიზნესის განათლების სფეროში ეთიკური სტანდარტების მნიშვნელობას. ამავდროულად, უნდა აღინიშნოს, რომ CSR-ის სწავლების ძირითადი მიზანი არის არა სტუდენტების ეთიკური ცნობიერების ჩამოყალიბება, არამედ მათი, როგორც მომავალი პროფესიონალების, კომპანიათა მენეჯერებისა თუ თანამშრომლების ჩამოყალიბება, რომელთაც გაცნობიერებული აქვთ, როგორც პასუხისმგებელი ბიზნესსაქმიანობის მნიშვნელობა და დადებითი შედეგები კომპანიებისათვის, ისე კონკრეტული გზები, როგორც შეიძლება მოხდეს CSR პრინციპების დანერგვა და განხორციელება კომპანიათა საქმიანობაში. ეს კი ხელს უწყობს კომპანიათა საქმიანობის დადებით ტრანსფორმაციას. სასწავლო კურსის დასახვეწად შესაძლებელია გამოყენებული იყოს სხვადასხვა მეთოდი. მაგალითად, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სწავლებისას უფრო მეტად აქტივობების განხორციელებაზე ორიენტირებული მეთოდოლოგიის გამოყენება, რაც შესაძლებლობას იძლევა არ დავეყრდნოთ მხოლოდ თეორიულ კონცეფციას; ლექტორებისთვის უფრო მეტი თავისუფლების მიცემა სწავლების პროცესში; ლექტორების ტრენინგი და მათი უწყვეტი განათლების მხარდაჭერა; დაგროვილი ცოდნის გადაცემა სტუდენტებისთვის; სტუდენტების აღჭურვა სპეციალური კომპეტენციებით და სხვა[111].

---

[110] Robert L. Heath, Damion Waymer, University Engagement for Enlightening CSR: Serving Hegemony or Seeking Constructive Change, Public Relations Review, Volume 47, Issue 1, 2021, 101958, ISSN 0363-8111.

[111] K. Ceulemans, M. De Prins, Teacher's manual and method for SD integration in curricula, Journal of Cleaner Production, Volume 18, Issue 7, 2010, Pages 645-651, ISSN 0959-6526.

ამავდროულად, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესწავლით შეძენილ კომპეტენციაზე ძალიან მაღალი მოთხოვნა აქვთ ბიზნესორგანიზაციებს, რომლებიც აპირებენ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის დანერგვას თავიანთ საქმიანობაში. შესაბამისად, CSR-ის სწავლება ხელს შეუწყობს საკუთრივ სტუდენტების დასაქმებასაც და შემდგომ ისინი კორპორაციებში უკეთეს პრაქტიკას დანერგავენ[112]. კომპანიები, რომელთაც ხელმძღვანელობენ ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრები, უკეთესად მუშაობენ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მიმართულებით. ისინი კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობას განიხილავენ არა ხარჯად, არამედ უფრო, როგორც შესაძლებლობას, რომ გააუმჯობესონ კომპანიის იმიჯი და რეპუტაცია[113]. ამავდროულად, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სწავლება ამაღლებს საკუთრივ სტუდენტების მორალურ და ეთიკურ ღირებულებებს[114].

გერმანიის სამოქმედო გეგმაში მითითებულია, რომ ზოგად ღირებულებებზე ორიენტირებული ეკონომიკური ტრენინგი, რომელიც მოიცავს ეთიკურ და გარემოსდაცვით საკითხებს, არის ბიზნესგანსჯისა და კომპეტენციების განვითარების წინაპირობა. აქედან გამომდინარე, სწავლების ყველა საფეხურზე მნიშვნელოვანია მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შემეცნება. ამავდროულად, სამოქმედო გეგმაში აღნიშნულია, რომ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა არის ინტერდისციპლინარული მოცემულობა და უნდა იყოს მრავალი დაინტერესებული მხარის შესწავლის საგანი. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა სრულად შეძლებს საკუთარი თავის გამოვლენას, თუ სწავლება, კვლევა და პრაქტიკა იქნება ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული. დასახელებულ სამოქმედო გეგმაში გერმანიის მთავრობის ერთ-ერთი მიზანია CSR-ისა და ეკონომიკური უნარების სწავლება საშუალო სკოლებში, პროფესიული გადამზადების ცენტრებსა და უნივერსიტეტებში; გერმანულ უნივერსიტეტებში CSR-ის კვლევისა და სწავლების ხელშეწყობა ინტერდისციპლინარული ადგილობრივი და საერთაშორისო კვლევითი ქსელების მეშვეობით. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია საუკეთესო აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტებისთვის აკადემიური სტიპენდიების დანიშვნა. აკადემიური სტიპენდიებისთვის

---

[112] Francisca Castilla-Polo, Ana Licerán-Gutiérrez, M. del Consuelo Ruiz-Rodríguez, The adoption of corporate social responsibility active learning methodology with management accounting students, The International Journal of Management Education, Volume 20, Issue 1, 2022, 100613,
ISSN 1472-8117

[113] Helin Sun, Jia Zhu, Tao Wang, Yue Wang, MBA CEOs and corporate social responsibility: Empirical evidence from China, Journal of Cleaner Production, Volume 290, 2021, 125801, ISSN 0959-6526.

[114] Fabio Pizzutilo, Elisabetta Venezia, On the maturity of social responsibility and sustainability integration in higher education institutions: Descriptive criteria and conceptual framework, The International Journal of Management Education, Volume 19, Issue 3, 2021, 100515, ISSN 1472-8117.

გათვალისწინებული ფინანსური სახსრების თავმოყრა ხდება საწარმოებიდან, რაც დადებით გავლენას მოახდენს CSR-ის სწავლებასა და კვლევაზე[115].

საინტერესოა უკრაინის სამოქმედო გეგმაში მითითებული სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა, სადაც წარმოდგენილი არიან მეცნიერების ეროვნული აკადემია და იაროსლავ ბრძენის სამართლის ეროვნული უნივერსიტეტი. იმავდროულად, სამოქმედო გეგმის ერთ-ერთი პუნქტი ითვალისწინებს საუნივერსიტეტო სივრცეში პასუხისმგებელი განათლების მენეჯმენტის დანერგვას[116].

ესპანეთის სამოქმედო გეგმაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება განათლების სფეროში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის დანერგვას, კერძოდ, სოციალურად პასუხისმგებლობიანი მენეჯმენტის უნარებში სპეციალისტების გადამზადებას, რადგან ეს იქნება მომავალი თაობის აზროვნებისა და ქმედების განმსაზღვრელი. სამოქმედო გეგმის თანახმად, ასეთი განათლების მიზანია ადრეულ ასაკშივე სწავლება იმისა, თუ როგორ შეიძლება პირადი წვლილის შეტანა მომავალი თაობების კარგად ყოფნისთვის; ისეთი ქმედებების წახალისება, რომელიც მიგვიყვანს საზოგადოების უფრო მდგრად ეკონომიკურ მოდელთან. სწავლების განსხვავებულ საფეხურებზე განსხვავებული მიდგომები უნდა იყოს გამოყენებული და თითოეული საფეხურისთვის გათვალისწინებული უნდა იყოს სპეციფიკური სასწავლო მასალა. ასეთ სასწავლო მასალაში გათვალისწინებული უნდა იყოს სხვადასხვა სტეიკჰოლდერის მდგომარეობა და მიზნები. სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს ინტერდისციპლინარული კვლევითი ქსელების შექმნას, რაც ხელს შეუწყობს თეორიასა და პრაქტიკას შორის დიალოგს. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სფეროში უნდა შეიქმნას საუნივერსიტეტო დეპარტამენტები და უნდა დაინერგოს უმაღლესი საფეხურის შემდგომი სწავლება და კვლევები. სოციალური პასუხისმგებლობის სწავლებას სპეციალური ყურადღება უნდა დაეთმოს სკოლებში, უნივერსიტეტებსა და პროფესიული გადამზადების ცენტრებში[117].

ჩეხეთის სამოქმედო გეგმა ხაზს უსვამს სახელმწიფოს მასშტაბით ახალგაზრდებში ცნობიერების ამაღლებას კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით. სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს ქვეყნის მასშტაბით საუკეთესო მოსწავლეებისა და სტუდენტების გამოსავლენად კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის თემატიკის ჭრილში კვლევითი კონკურსების ჩატარებას; ასევე სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს CSR-ის სფეროში ცოდნის ზრდას და CSR-ის შეტანას დაწყებითი და საშუალო სკოლებსა და

---

[115] National Strategy for Corporate Social Responsibility – Action Plan for CSR – of the German Federal Government, 2010, გვ. 12-14.

[116] უკრაინის 2020 წლის სამოქმედო გეგმა (On approval of the action plan for the implementation of the Concept of implementation of state policy in the field of promoting the development of socially responsible business in Ukraine for the period up to 2030)

[117] Spanish Strategy for Corporate Social Responsibility, 2014-2020, გვ. 34-35.

პროფესიული გადამზადების ცენტრებში. ამავდროულად, სამოქმედო გეგმა ხაზს უსვამს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სფეროში სინერგიის მნიშვნელობას აკადემიასა და ბიზნესორგანიზაციებს შორის, სამუშაო შეხვედრების, კონფერენციებისა თუ სხვა საშუალებების გზით[118].

რეკომენდაციები

- აუცილებელია, რომ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა ისწავლებოდეს საშუალო სკოლებში, პროფესიული გადამზადების ცენტრებსა და უნივერსიტეტებში. ახალგაზრდებს შორის CSR-ის სწავლების ხელშეწყობისა და ცნობიერების ამაღლების მიზნით მნიშვნელოვანია კონკურსების ჩატარება და შეჯიბრების ორგანიზება.
- აუცილებელია განათლების სამინისტრომ შეიმუშაოს კონკრეტული სამოქმედო გეგმა საშუალო სკოლებში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის დასანერგად. აუცილებელია საშუალო სკოლებისთვის შემუშავდეს CSR-ის სახელმძღვანელო. სასურველია თავდაპირველად საცდელად დაიწყოს CSR-ის საგნის სწავლება და შემდეგ გავრცელდეს მთელი ქვეყნის მასშტაბით.
- კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სფეროში კვლევითი აქტივობები მნიშვნელოვანი იქნება როგორც სფეროს განვითარებისთვის, ისე პრაქტიკაში CSR-ის გამოყენების დასახვეწად. სწავლების, კვლევისა და პრაქტიკის ერთობლივი მოქმედება მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორი იქნება საქართველოში CSR-ის განვითარებისთვის. CSR-ის კვლევის თვალსაზრისით, კარგი იქნება სახელმწიფომ კონკრეტულად კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სფეროში საგრანტო კონკურსები გამოაცხადოს. ასევე კარგი იქნება, თუ საწარმოებიც მიიღებენ ამ პროცესში მონაწილეობას და საკუთარი თანადაფინანსებით წვლილს შეიტანენ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის საკითხების კვლევაში, რაც შორს მიმავალ პერსპექტივაში დადებით ზეგავლენას მოახდენს საწარმოების ბიზნესსაქმიანობაზე დანახარჯების შემცირებისა და კონკურენტუნარიანობის გაზრდის თვალსაზრისით.

[118] National Action Plan for Corporate Social Responsibility in the Czech Republic 2016-2018, გვ. 58.

3.2 ცნობიერების ამაღლება, ცოდნისა და ინფორმაციის მიწოდება კომპანიებისა და საზოგადოებისათვის

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება თანაბრად მნიშვნელოვანია როგორც კომპანიებისთვის, ისე საზოგადოებისთვის. კომპანიებს შეუძლიათ მიღებული ინფორმაცია გამოიყენონ და დანერგონ საკუთარ საქმიანობაში. საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ემსახურება, ერთი მხრივ, საკუთრივ საზოგადოების ინფორმირების ზრდას კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ, ხოლო, მეორე მხრივ, ბიზნესორგანიზაციების ანგარიშვალდებულების გაზრდას, რამდენადაც საზოგადოება ეცნობა მათ საქმიანობას და მათ მიმართ უჩნდება უფრო მეტის მოთხოვნის შესაძლებლობა.

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს კომპანიის ბრენდის შესახებ ინფორმაციის დამკვიდრებაში; მომხმარებლების, თანამშრომლებისა და ინვესტორებისთვის მიმზიდველობის გაზრდაში; ახალი თანამშრომლების მოზიდვასა და, ზოგადად, ბიზნესის წარმატებაში. ამ ფაქტორებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა არის როგორც საზოგადო მნიშვნელობის, ისე სპეციფიკურად ბიზნესისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე კონცეფცია[119].

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ ცნობიერების ამაღლება სხვადასხვა ფორმით შეიძლება გამოიხატოს. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ ცნობიერების ამაღლება შესაძლებელია სოციალური მედიისა და საგანმანათლებლო აქტივობების მეშვეობით, საინფორმაციო ბროშურების შექმნისა და გავრცელების გზით, ბიზნესორგანიზაციისა და მისი თანამშრომლების მიერ მიზნობრივი დღის წესრიგის შექმნისა და განხორციელების ფორმით.

ცნობიერების ამაღლების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია გააზრება, თუ რა სარგებელი მოაქვს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განხორციელებას კომპანიებისთვის. მაგალითისთვის, ითვლება, რომ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის დანერგვა დადებით ზეგავლენას ახდენს კომპანიების კონკურენტუნარიანობაზე, რეპუტაციაზე, ინოვაციურობაზე, სტეიკჰოლდერების ჩართულობაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში და სხვა ფაქტორებზე, რაც ფართოდ არის განხილული და მიღებული აკადემიურ ლიტერატურაში[120].

---

[119] CSR plays a crucial role in a company's brand perception; attractiveness to customers, employees, and investors; talent retention; and overall business success – it is more important from company than for the society

[120] დამატებითი ინფორმაციისთვის იხ.: Vishwanathan, Pushpika & Oosterhout, Hans & Heugens, Pursey & Duran, Patricio & Essen, Marc. (2019). Strategic CSR: A Concept Building Meta-Analysis. Journal of Management Studies. 10.1111/joms.12514.

სახელმწიფოები სხვადასხვა მეთოდს იყენებენ კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობის შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად.

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ ესპანეთის 2014-2020 წლების სტრატეგია ითვალისწინებს მოქალაქეებისთვის პერიოდულად კონსულტაციების ჩატარებას, რათა შეისწავლონ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის დანერგვის ხარისხი ესპანეთში. შეგროვებული მონაცემები შესაძლებელია გამოყენებული იყოს კერძო და საჯარო ორგანიზაციების ყოველწლიური სამოქმედო გეგმების შემუშავებაში[121]. CSR-ი მნიშვნელოვნად მოქმედებს, რომ კომპანია გახდეს უფრო მიმზიდველი როგორც მომხმარებლებისთვის, ისე ინვესტორებისთვის. CSR-ი ეხმარება კომპანიას არსებული თანამშრომლების შენარჩუნებასა და ახალი თანამშრომლების მოძიებაში. დასახელებულ სამოქმედო გეგმაში მითითებულია, რომ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ ცნობიერების ამაღლება შესაძლებელია სოციალური მედიის მეშვეობით, საგანმანათლებლო აქტივობების ორგანიზებით, საინფორმაციო ბროშურების შექმნისა და გავრცელების გზით, ასევე, სხვა ღონისძიებებისა და აქტივობების დაგეგმვითა და განხორციელებით.

2020 წელს არის დამტკიცებული უკრაინის სამოქმედო გეგმა სახელმწიფო პოლიტიკის დანერგვაზე პასუხისმგებლობიანი ბიზნესსაქმიანობის განხორციელების კონტექსტში. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია ცნობიერების ამაღლება გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენებისა და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების შესახებ, აღებული საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად. ეს სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს სემინარებისა და ტრენინგების გამართვას საჯარო და ადგილობრივი უწყებებისთვის სოციალურად პასუხისმგებელი ბიზნესპოლიტიკის შესახებ. სამოქმედო გეგმა ასევე ითვალისწინებს საინფორმაციო და საგანმანათლებლო აქტივობებს, შეხვედრებს, მოწოდებას კეთილსინდისიერი ქმედებისკენ, კორუფციული მიდგომების საპირისპიროდ[122].

ირლანდიის 2017-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ (Ireland's National Action Plan on Corporate Social Responsibility 2017-2020) ითვალისწინებს ორგანიზაციებისა და თანამშრომლების მხარდაჭერას, უკეთ გაიგონ პასუხისმგებელი ბიზნესსაქმიანობის შესახებ ირლანდიაში. სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ელჩების პანელის შექმნას, რომლებმაც სახელმწიფოს ფარგლებში უნდა ისაუბრონ ბიზნესღონისძიებებზე. სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს CSR-ის ჯილდოს დაწესებას – ბრინჯაოს, ვერცხლის, ოქროს და პლატინის

---

[121] Spanish Strategy for Corporate Social Responsibility, 2014-2020, გვ. 33

[122] უკრაინის 2020 წლის სამოქმედო გეგმა (On approval of the action plan for the implementation of the Concept of implementation of state policy in the field of promoting the development of socially responsible business in Ukraine for the period up to 2030), გვ. 2-6.

ჯილდოების სახით და CSR-ის ვებგვერდის (https://www.csrhub.com/) მხარდაჭერას ინფორმაციის განახლებისა და დაჯგუფების გზით[123].

ჩეხეთის მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ CSR-ის ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიის ფარგლებში ხდება სამიზნე ჯგუფების გამოკითხვა ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ადამიანის უფლებები, პირადი და ოჯახური ცხოვრება, ბალანსის დაცვა სამუშაოსა და პირად ცხოვრებას შორის. ამავდროულად, სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია ახალგაზრდებში CSR-ის წახალისება. კერძოდ, იმართება შეჯიბრები საუკეთესო მოსწავლისა და სტუდენტის გამოსავლენად კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სფეროში მოკლე მოთხრობების, ესეების, თეზისების, სადისერტაციო ნაშრომების მიმართულებით[124]. CSR-ი შესაძლებლობას იძლევა, რომ ამაღლდეს ბიზნესისა და მენეჯმენტის გარემო – განხორციელდეს აკადემიისა და ბიზნესპრაქტიკის სინერგია კონფერენციებისა და სამუშაო შეხვედრების მეშვეობით. ცნობიერების ამაღლების თვალსაზრისით იყენებენ ისეთ აქტივობებს, როგორიცაა გარემოს დაცვითი კამპანია და ინფორმაციის გამჭვირვალობა მომხმარებლებისათვის[125].

ჩეხეთის რესპუბლიკაში ორგანიზაციები, რომლებიც აქტიურად იყენებენ კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობას, ამისათვის ჯილდოებსაც იღებენ. 2009 წლიდან მოყოლებული, ყოველ წელს, ჩეხეთი აჯილდოებს ეროვნული CSR ჯილდოთი (National CSR Award) ბიზნესისა და საჯარო სექტორის წარმომადგენლებს. მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრის მხარდაჭერით იმართება ჩეხეთის ეროვნული ხარისხის ჯილდოს (Czech National Quality Award) და ეროვნული კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ჯილდოს (National Corporate Social Responsibility Award) გადაცემა[126].

გერმანიის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სტრატეგია ასევე ითვალისწინებს ცნობიერების ასამაღლებელ საქმიანობას. კერძოდ, სტრატეგიით გათვალისწინებულია, რომ გერმანიის მთავრობას ექნება კავშირი ფართო საზოგადოებასთან, განსაკუთრებით, მომხმარებლებსა და ინვესტორებთან, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად[127].

2012-2014 წლებზე გათვლილი იტალიის ეროვნული სამოქმედო გეგმის ერთ-ერთი მიზანია კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ ცოდნისა და ცნობიერების ამაღლება, რისთვისაც საჭიროა, რომ: გავრცელდეს საწარმოებსა და ახალგაზრდებს შორის კომპანიის მართვაში CSR-ის დანერგვისა და სტრატეგიული მნიშვნელობის შესახებ

---

[123] Ireland's National Action Plan on Corporate Social Responsibility 2017-2020, გვ. 12
[124] National Action Plan for Corporate Social Responsibility in the Czech Republic 2016-2018, გვ. 59.
[125] იქვე, გვ. 71.
[126] იქვე, გვ. 60
[127] National Strategy for Corporate Social Responsibility – Action Plan for CSR – of the German Federal Government, 2010, გვ. 11

ინფორმაცია; მოქალაქეებსა და მომხმარებლებს მიაწოდონ ინფორმაცია კომპანიების პასუხისმგებლობიანი ბიზნესსაქმიანობის შესახებ იმისათვის, რომ მომხმარებლებმა თავი აარიდონ უსამართლო ბიზნესპრაქტიკას; ჩატარდეს საინფორმაციო და ტრენინგაქტივობები ბიზნესორგანიზაციებისთვის[128].

რეკომენდაციები

- ცნობიერების ამაღლების მიზნით მნიშვნელოვანია საკომუნიკაციო კამპანიების, სემინარების, კონფერენციებისა და მრგვალი მაგიდების მოწყობა უნივერსიტეტებთან და საექსპერტო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით.
- მოქალაქეების გამოკითხვა, მათგან უკუკავშირის მიღება მნიშვნელოვანია კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განხორციელებისათვის და CSR-ის აქტივობების შესრულების მონიტორინგისთვის. ასეთი გამოკითხვა მნიშვნელოვანია მოქალაქეებში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ ცოდნის შესაფასებლად. გამოკითხვა შეიძლება ჩაატარონ კვლევითმა კომპანიებმა კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყების ან დაინტერესებულ მხარეთა საბჭოს კოორდინაციის მეშვეობით.
- განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საჯარო უწყებებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის თანამშრომლებისათვის ტრენინგებისა და შეხვედრების ორგანიზება კორპორაციული პასუხისმგებლობის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით.
- მნიშვნელოვანია როგორც სახელმწიფო უწყებებისთვის, ისე მოქალაქეებისთვის გარემოს დაცვის მნიშვნელობის შესახებ საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება. ეს პროცესი მნიშვნელოვანი იქნება გარემოს დაცვითი საკითხების პოპულარიზებისათვის, მათ შორის ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების, ნარჩენების მართვის, სათბურის აირების გაფრქვევის შემცირებისა და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისთვის.
- საინტერესო იქნება CSR ელჩების პანელის შექმნა, სადაც შესაძლებელია გაერთიანდნენ საზოგადოებისათვის ცნობადი სახეები, რომლებიც დედაქალაქსა თუ რეგიონებში შეხვდებიან სტუდენტებს, კომპანიების წარმომადგენლებს, ადგილობრივ მოსახლეობას და წარუდგენენ ინფორმაციას CSR-ის მნიშვნელობის შესახებ.
- მნიშვნელოვანია საინფორმაციო მასალების, სახელმძღვანელოების შექმნა, აგრეთვე ტრენინგებისა და სემინარების ჩატარება კომპანიებისათვის კორპორაციული პასუხისმგებლობის საკითხებზე. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია შესაბამისი

[128] Italy National Aciton Plan on CSR 2012-2014, Dr. ssa Maria Benedetta Francesconi, Ministry of Economic Development, General Directorate for Industrial Policy and Competetivness, გვ. 2-3

სახელმწიფო უწყებების თანამშრომლობა საგანმანათლებლო ინსტიტუტებთან და საექსპერტო ორგანიზაციებთან.

- მნიშვნელოვანია ასევე ვებგვერდის https://csrgeorgia.com ფუნქციონირების მხარდაჭერა და პოპულარიზაცია. მოქალაქეები და კომპანიები უნდა ფლობდნენ ინფორმაციას ასეთი გვერდის არსებობის შესახებ, რაც დამატებითი ხელშემწყობი ფაქტორი იქნება მათთვის, რომ გაიგონ მეტი კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ.

3.3 კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის საუკეთესო მაგალითების გაზიარება და კომპანიათა მოტივირება

კორპორაციული სოციალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია საუკეთესო პრაქტიკის განზოგადება და ამის შესახებ ინფორმაციის გავრცელება. საუკეთესო პრაქტიკის განზოგადება კარგი შესაძლებლობაა, მათ შორის, კომპანიების მოტივაციისთვის, რომ გაიზიარონ სხვა ბიზნესორგანიზაციების გამოცდილება და შეეცადონ დანერგონ მათი აქტივობები საკუთარ პრაქტიკაში.

დოკუმენტის მიზნებიდან გამომდინარე, გამოვყავით კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ძირითადი დადებითი შედეგები კომპანიებისათვის, რომელთა ჩვენებაც ყველაზე ეფექტური საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მეშვეობით იქნება:

- კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს თანამშრომლების შენარჩუნებასა და მათი უფლებების დაცვაში, რაც კომპანიის ხანგრძლივმოქმედ სტრატეგიაზე ახდენს დადებით გავლენას.
- კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა აუმჯობესებს ფულის გენერირებას, რადგან მომხმარებლები უფრო მეტს იხდიან სოციალურად პასუხისმგებელი ბრენდების პროდუქციის შესაძენად.
- კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა დადებით გავლენას ახდენს გარემოს დაცვის სტანდარტებზე, რადგან კომპანიები ცდილობენ უფრო ნაკლები ენერგია გამოიყენონ უფრო მეტი შედეგის მისაღწევად.
- კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა ეხმარება კომპანიებს კონკურენტუნარიანობის გაზრდაში. კვლევებით დასტურდება, რომ კომპანიები, რომლებიც სოციალურ პასუხისმგებლობას სერიოზულად ეკიდებიან, იუმჯობესებენ

არა მხოლოდ საზოგადო სახეს, არამედ ქმნიან ახალ შესაძლებლობებს ბაზარზე უფრო მეტი კლიენტის მოსაზიდად[129].

- დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა ზრდის ანგარიშვალდებულებასა და გამჭვირვალობას ინვესტორების მიმართ.

CSR-ის დასანერგად კომპანიების მოტივაციისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებისთვის სხვადასხვა სახელმწიფო სხვადასხვა მეთოდს მიმართავს. მაგალითად, გერმანიის მთავრობა ორგანიზებას უკეთებს საინფორმაციო აქტივობებს იმისათვის, რომ დაარწმუნოს ბიზნესი შეუერთდნენ პასუხისმგებელი ინვესტირების გაეროს პრინციპებს (United Nations' Principles for Responsible Investment). ამავდროულად, გერმანიის მთავრობა ცდილობს შესაძლებლობის ფარგლებში ხელი შეუწყოს საჯარო უწყებებსა და საწარმოებს მხარი დაუჭირონ გაეროს გლობალურ შეთანხმებას (UN Global Compact) ან გამოიყენონ სხვა საერთაშორისო აღიარების ინსტრუმენტები მდგრადი განვითარებისა და კორპორაციული პასუხისმგებლობის სფეროში[130]. გერმანიის ფედერალური მთავრობის სამოქმედო გეგმაში კომპანიების მხრიდან CSR-ის დანერგვის დამატებითი მოტივაციისთვის ასევე აღნიშნულია, რომ გერმანიის მთავრობა მხარს დაუჭერს მრავალფეროვან სამუშაო გარემოს და ხელს შეუწყობს დასაქმებულებს, რომ შეძლონ შრომითი და ოჯახური პირობების დაბალანსება[131].

ესპანეთის სამოქმედო გეგმა გამოყოფს კარგ მმართველობასა და გამჭვირვალობას, როგორც კარგი პრაქტიკის გაძლიერების შესაძლებლობას. ეთიკური ქცევა და გამჭვირვალობა უნდა იყოს სოციალური პასუხისმგებლობის მქონე კომპანიების განმასხვავებელი თვისებები. პასუხისმგებელი ბიზნესპრაქტიკის დანერგვაში მნიშვნელოვანია სამეთვალყურეო საბჭოსა და მმართველი ორგანოების როლი. როგორც წესი, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის დანერგვა მოტივაციის ფაქტორია ინვესტორებისთვის,

---

[129] კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის დასანერგად შესაძლებელია რამდენიმე მაგალითის მოშველიება. კერძოდ, გუგლის (Google) აქტივობები მიმართულია მისი თანამშრომლებისა და გარემოს დასაცავად. კომპანია თანამშრომლებს სთავაზობს უფასო საკვებს სამსახურში და თავისუფალ წვდომას კამპუსის კაფეებზე, სამზარეულოებსა და სხვა კვებით შესაძლებლობებზე. გარემოსდაცვითი სტანდარტების თვალსაზრისით, კომპანია ხელს უწყობს განახლებადი ენერგიის წყაროებისა და მდგრადი ოფისების შექმნაში ფინანსების ინვესტირებას. ლეგო (LEGO) მიზნად ისახავს 2030 წლისთვის სრულად გადავიდეს გარემოსდაცვითი სტანდარტების შესაბამისი გადამუშავებადი პროდუქციის წარმოებაზე. „ტომსი“ (TOMS) მისდევს სოციალური პასუხისმგებლობის განსხვავებულ ფორმას. კერძოდ, საკუთარი მოგების მნიშვნელოვან ნაწილს გადასცემს საქველმოქმედო ორგანიზაციებს, რომლებიც ხელს უწყობენ ფიზიკური და მენტალური ჯანმრთელობის ინიციატივებს და საგანმანათლებლო შესაძლებლობების შექმნას. ყოველ ნაყიდ ერთ წყვილ ფეხსაცმელზე „ტომსი“ ერთ წყვილ ფეხსაცმელს უსასყიდლოდ გასცემს. დღეისათვის „ტომსს“ უსასყიდლოდ გაცემული აქვს 95 მილიონი წყვილი ფეხსაცმელი შესაბამისი საჭიროების მქონე პირებისთვის.

[130] National Strategy for Corporate Social Responsibility – Action Plan for CSR – of the German Federal Government, 2010, გვ. 22.

[131] იქვე, გვ. 18.

აქციონერებისთვის, მომხმარებლებისა და თანამშრომლებისთვის. სამოქმედო გეგმაში ასევე აღნიშნულია, რომ მსგავსი მიდგომა საკუთრივ სახელმწიფოს უქმნის დადებით იმიჯს და აძლიერებს სხვა სახელმწიფოების რწმენას ესპანეთის მიმართ.

ესპანეთის სამოქმედო გეგმის თანახმად, კარგი პრაქტიკის ერთ-ერთი გამოხატულებაა საწარმოებისთვის შესაძლებლობის მიცემა, რომ თვითონ მოახდინონ მონიტორინგის ისეთი ინდიკატორების განსაზღვრა, რომლებიც საუკეთესოდ შეესაბამება მათ აქტივობებს და რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება CSR-ის შესრულების მიმართულებით მათი პროგრესის განსაზღვრა. CSR-ის ანგარიშები, რომელსაც კომპანიები ნებაყოფლობით აკეთებენ, არ არის უბრალოდ კომპანიის მიერ შემუშავებული კიდევ ერთი ანგარიში. ეს არის საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდების ფორმა სოციალური და გარემოსდაცვითი გარემოებების გათვალისწინების შესახებ. ესპანეთის სამოქმედო გეგმა ასევე გამოყოფს უსამართლო კონკურენციის, გადასახადების გადახდისთვის თავის არიდებისა და კორუფციის შემთხვევებს, რასაც საწარმოები უნდა ებრძოდნენ ეთიკური სტანდარტებისა და გამჭვირვალობის დანერგვის გზით. სახელმწიფომ უნდა მოახდინოს ეთიკის კოდექსისა და საერთაშორისო ინიციატივების პოპულარიზაცია, რომლებიც მუშაობენ მსგავსი გამოწვევების აღმოფხვრაზე[132].

ესპანეთის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული კარგი პრაქტიკის გაზიარების კიდევ ერთი მაგალითია დასაქმებისა და სოციალური უსაფრთხოების სამინისტროს მიერ მეწარმეობისა და ახალგაზრდების დასაქმების სტრატეგია 2013-2016-ის განხორციელება, რომელიც მოიცავდა ახალგაზრდების დასაქმების ბაზარზე მოხვედრის 100 მეთოდს. სტრატეგია ითვალისწინებდა სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციების დაჯილდოებას – ახალგაზრდების დასაქმების პასუხისმგებლობის მქონე ორგანიზაციის სტატუსის მინიჭებას. ამ სტრატეგიის მიზანი იყო, სხვა საკითხებთან ერთად, გაეზარდა ასეთი საწარმოების შესახებ ცნობადობა, რაც ხელს შეუწყობდა და იქნებოდა მოტივაცია კარგი პრაქტიკის გავრცელებისთვის[133].

ირლანდიის სამოქმედო გეგმის მეოთხე დანართში ჩამოთვლილია კარგი პრაქტიკის სხვადასხვა მაგალითები, რომლებიც შეიძლება გამოიყენონ კომპანიებმა, რომელთაც სურთ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის დანერგვა. ამ კარგი პრაქტიკის მაგალითები დაკავშირებულია კომპანიებისთვის მნიშვნელოვან ეკონომიკურ ბენეფიტებთან, რაც, როგორც წესი, დამატებითი მოტივაციის ფაქტორია CSR-ის დასანერგად. კერძოდ, კომპანიებმა შეიძლება გამოიყენონ კარგი პრაქტიკის ისეთი მაგალითები, როგორიცაა: დასაქმების პირობების გაუმჯობესება (მათ შორის საბონუსე და საპენსიო სქემები, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ბენეფიტები, სპორტული და სოციალური ბენეფიტები და ა.შ.); თანასწორობისა და მრავალფეროვნების ხელშეწყობა (მათ შორის პროაქტიული გენდერული პოლიტიკის განხორციელება და შშმ პირების დასაქმება); თანამშრომლების ჯანმრთელობასა

---

[132] Spanish Strategy for Corporate Social Responsibility, 2014-2020, გვ. 35-36

[133] იქვე, გვ. 16

და უსაფრთხოებაზე ზრუნვა (მისაღები სამუშაო პირობების შექმნა, თანამშრომლების მხარდამჭერი სერვისების დანერგვა და ა.შ.); მომხმარებლებთან დამოკიდებულების გაუმჯობესება, კერძოდ, ქცევის კოდექსის დანერგვა, მომხმარებლების უკუკავშირის გათვალისწინება, ხარისხის აუდიტის დანერგვა, სტეიკჰოლდერებთან კონსულტაციების გამართვა და ა.შ.; ბიზნესსკოლების, უნივერსიტეტებისა და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებების კურიკულუმში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მოდულების დანერგვა, გამჭვირვალობის სტანდარტისა და პროაქტიული პოლიტიკის დანერგვა CO2-ის გამოყოფის დროს[134].

ჩეხეთის სამოქმედო გეგმა კომპანიების მოტივაციის გასაზრდელად მიუთითებს CSR-ის მნიშვნელობაზე საჯარო შესყიდვებისა და პროდუქციის გაყიდვის თვალსაზრისით. მაგალითად, სამოქმედო გეგმა აღნიშნული მიზნის მისაღწევად ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამის შექმნას. დასახელებული საგანმანათლებლო პროგრამის შექმნაში უშუალოდ პასუხისმგებელ უწყებასთან ერთად ჩართული უნდა იყოს რეგიონული განვითარების სამინისტრო და შინაგან საქმეთა სამინისტრო[135].

რეკომენდაციები

- CSR-ის კარგი პრაქტიკის დანერგვა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ კერძო, არამედ საჯარო უწყებებისთვისაც, მათ შორის, სახელმწიფო საწარმოების საქმიანობაშიც. კარგი პრაქტიკის გაზიარებისა და დანერგვისთვის აუცილებელია მოტივაციის შესაბამისი გარემოებების არსებობა. ამ დროისთვის არსებობს სამოქალაქო და კერძო ორგანიზაციების მიერ დაფუძნებული CSR კონკურსები. აუცილებელია, სახელმწიფოს მიერ ასეთი კონკურსების წახალისება და ასეთი კონკურსების ჩატარებაში ჩართულობა სხვადასხვა ფორმით. შეიძლება ეს იყოს დაჯილდოებაში უშუალოდ სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირების მონაწილეობა და პრიზების მათი ხელით გადაცემა, რაც ხაზს გაუსვამს კონკურსის მნიშვნელობას. ამავდროულად შესაძლებელია, რომ სახელმწიფომ თავად გაუწიოს ასეთ კონკურსებს ორგანიზება.
- სახელმწიფო უწყებები და სახელმწიფო საწარმოები თავად უნდა იყვნენ მაგალითის მიმცემი კერძო კომპანიებისთვის CSR სტანდარტების დაცვისა და განხორციელების თვალსაზრისით. სახელმწიფო საქართველოში არის უმსხვილესი დამსაქმებელი. შესაბამისად, სახელმწიფო თავად უნდა იძლეოდეს CSR-ის დანერგვის მაგალითს, მათ შორის, შრომითი უფლებების დაცვის თვალსაზრისით. საჯარო უწყებებმა საკუთარ საქმიანობაში უნდა დანერგონ გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სისტემები, ოჯახურ ცხოვრებასთან თავსებადი სამუშაო პირობები, ჩაუტარონ თანამშრომლებს ტრენინგი CSR-

[134] Ireland's National Action Plan on Corporate Social Responsibility 2017-2020, მეოთხე დანართი
[135] National Action Plan for Corporate Social Responsibility in the Czech Republic 2016-2018, გვ. 29.

ის საკითხებზე. საჯარო უწყებების გამოქვეყნებულ ანგარიშებში ასახული უნდა იყოს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის (მათ შორის, გარემოს დაცვა, თანამშრომელთა უფლებების დაცვა, გენდერული ბალანსი) საკითხები.

- მაგალითის მისაცემად მნიშვნელოვანია, რომ საწარმოებმა, რომლებიც იცავენ CSR სტანდარტებს, შეიმუშაონ და გამოაქვეყნონ კონკრეტული CSR სტრატეგიები, ასევე ყოველ წელს გამოაქვეყნონ ანგარიშები საკუთარ საქმიანობაში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის გათვალისწინებისა და განხორციელებული ინიციატივების შესახებ. ამგვარი ანგარიშები დაეხმარება CSR-ის მაკოორდინირებელ რგოლს სოციალური პასუხისმგებლობის დანერგვასა და კონტროლში. ეს ვალდებულება თავდაპირველად შეიძლება რეკომენდაციის სახით მიეწოდოს CSR-ით დაინტერესებულ კომპანიებს. შემდეგ მის დანერგვაზე შესაძლებელია უფრო აქტიურად იმუშაოს CSR-ის განხორციელებაზე შექმნილმა პასუხისმგებელმა უწყებამ.
- მნიშვნელოვანია საკუთრივ საწარმოებს შორის კარგი პრაქტიკის შესახებ ინფორმაციისა და გამოცდილების გაზიარება. ეს გარკვეულწილად ნიშნავს, რომ საწარმოები ერთმანეთს ასწავლიან როგორ ხორციელდება CSR-ი, ასევე ერთმანეთს უზიარებენ CSR-ის დანერგვის დადებით ეფექტებს, რაც მოტივაციის დამატებითი გარემოება უნდა იყოს სხვა საწარმოებისთვის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სტანდარტების დანერგვისთვის. გამოცდილების გაზიარებისთვის კარგი გარემოა სამუშაო შეხვედრების ორგანიზება ასეთი საწარმოების მონაწილეობით და ონლაინპლატფორმების შექმნა, სადაც შესაძლებელი იქნება უფრო დიდი გამოცდილების მქონე საწარმოების მხრიდან კარგი პრაქტიკის მაგალითების გაზიარება. ამავდროულად, კარგი იქნება ასეთ პლატფორმებზე არა მხოლოდ ქართული, არამედ უცხოური კომპანიების ჩართულობაც საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების მიზნით. ასეთი ონლაინგამოცდილების გასაზიარებელი პლატფორმების შექმნა უნდა მოხდეს სახელმწიფოს კოორდინაციით, რაც გაზრდის როგორც ქვეყნის შიგნით პლატფორმის ლეგიტიმაციის ხარისხს, ასევე ხელს შეუწყობს, საჭიროების შემთხვევაში, უცხოური კომპანიების დამატებას.

3.4 გამჭვირვალობის მხარდაჭერა და მდგრადი განვითარების ანგარიშგება

მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის პროცესში კერძო სექტორის ჩართულობისა და ამ მიმართულებით კომპანიების საქმიანობის შეფასებისათვის მნიშვნელოვანია მდგრადი განვითარების ანგარიშგების სისტემის განვითარება. კორპორაციული პასუხისმგებლობის ანგარიში მოიცავს ინფორმაციას კომპანიის საქმიანობის გავლენაზე ეკონომიკურ, გარემოსდაცვით და სოციალურ სფეროებზე.

ბოლო წლებში შეიცვალა კომპანიის მიერ მდგრადი განვითარების ანგარიშის მომზადების მიმართ ნებაყოფლობითი მიდგომა და მზარდია ბიზნესის საქმიანობაში სოციალური და გარემოსდაცვითი მიმართულებებით ანგარიშგების საკანონმდებლო რეგულაციების მიღების ტენდენცია.

ზოგადად, მდგრადი განვითარების მიმართულებით განხორციელებულ საქმიანობაზე კერძო სექტორის გამჭვირვალობა კომპანიებში მდგრადი პრაქტიკის განვითარებას, ბრენდის იმიჯისა და რეპუტაციის გაუმჯობესებას, ინვესტიციებისა და დაფინანსებების წახალისებას უწყობს ხელს. სახელმწიფო დონეზე მაღალი ხარისხის ანგარიშგების სისტემა მდგრად განვითარებაში კერძო სექტორის როლის შეფასების და უფრო მდგრადი და კონკურენტული ბიზნესის ჩამოყალიბების შესაძლებლობაა[136]. ინვესტიციების მოსაზიდად ხაზგასასმელია, რომ მდგრადი ფინანსების მიმართულების განვითარებასთან ერთად საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღების პროცესში უფრო დიდი ყურადღება ექცევა გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით ფაქტორებს.

საქართველოში მდგრადი განვითარების ანგარიშგების სისტემის განვითარების მიმართულებით მნიშვნელოვანი ინიციატივა იყო 2016 წელს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღება. ამ კანონით განისაზღვრა გარკვეული კომპანიების ვალდებულება მმართველობის ანგარიშგების წარდგენის მიმართულებით, რომელიც ასევე არაფინანსური ანგარიშგების ნაწილს მოიცავს.

კანონის მიხედვით, არაფინანსური ანგარიშგების წარდგენა სავალდებულოა მხოლოდ იმ საზოგადოებრივი დაინტერესების პირებისთვის (სდპ), რომლებიც შეესაბამებიან პირველი კატეგორიის საწარმოს ზომით კატეგორიას და საანგარიშო პერიოდში საშუალოდ 500-ზე მეტი დასაქმებული ჰყავთ. არაფინანსური ანგარიშგების მიზანია გარემოს დაცვის, სოციალური, დასაქმების, ადამიანის უფლებების დაცვისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე სუბიექტის საქმიანობაზე ინფორმაციის წარდგენა.[137] საზოგადოებრივი დაინტერესების პირად განსაზღვრულია კომერციული ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, სადაზღვევო კომპანიები და ა.შ. გასათვალისწინებელია, რომ კანონში განსაზღვრულია ანგარიშგების შემადგენელი ნაწილები, თუმცა არ არის დადგენილი ამ ნაწილების სავალდებულო სტრუქტურა. დამატებით გასათვალისწინებელია, რომ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის სამსახურმა 2018 წელს შეიმუშავა „სახელმძღვანელო მმართველობის ანგარიშგების შესახებ“, რომელიც სარეკომენდაციო ხასიათის დოკუმენტია. სახელმძღვანელო მიზნად ისახავს მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესის გამარტივებას და დაინტერესებული მხარეების ხელშეწყობას

---

[136] United Nations Conference on Trade and Development (2022), Tackling the Sustainability Reporting Challenge A Policy Guide

[137] საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (2016), საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“

საუკეთესო პრაქტიკისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ანგარიშგების შემუშავების მიმართულებით. [138]

დამატებით, ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის 2023-2026 წლების სტრატეგიაში გათვალისწინებულია მდგრადი ანგარიშგების განვითარების მიმართულება. ასოცირების შეთანხმების შესაბამისად, ევროკავშირის კანონმდებლობასთან საქართველოს კანონმდებლობის დინამიკური დაახლოების პრინციპისა და კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგების ახალი დირექტივის მოთხოვნების გათვალისწინებით, სამსახური გეგმავს ანგარიშგების ახალი რეგულაციების შემოღების უზრუნველსაყოფად საკანონმდებლო ცვლილებების ინიციირებას, ასევე კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შერჩევას, თარგმნასა და შემოღებას.[139]

ხაზგასასმელია, რომ სახელმწიფო რეგულირების დონეზე შედარებით განვითარებული მდგრადი ანგარიშგება საფინანსო სექტორშია. ამ მიმართულებით ეროვნული ბანკი ყოველწლიურად მდგრადი დაფინანსების ანგარიშს აქვეყნებს. ეს ანგარიში მოიცავს ინფორმაციას მდგრადი განვითარების მიმართულებით გატარებულ ღონისძიებებსა და სამომავლო გეგმებზე, კომერციული ბანკების მიერ წარმოდგენილი გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) საკითხების ანგარიშგების შეჯამებაზე და ასევე, მწვანე და მდგრადი ობლიგაციების გამოშვების ტენდენციებზე[140].

სახელმწიფოს მხრიდან მდგრადი განვითარების ანგარიშგების მარეგულირებელ ინსტრუმენტებს შორის მნიშვნელოვანი ინიციატივა, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მდგრადი დაფინანსების ტაქსონომიასთან ერთად, კომერციული ბანკების მდგრადი დაფინანსების ანგარიშგების რეგულაციის დამტკიცებაა. რეგულაციაში განსაზღვრულია მწვანე, სოციალური და მდგრადი სესხების კლასიფიკაცია და შესაბამისი სესხების ანგარიშგების მოთხოვნები. ინსტრუმენტი ავალდებულებს კომერციულ ბანკებს, წარადგინონ ინფორმაცია მწვანე სესხებზე, როგორც ყოველთვიურ ანგარიშებში, ისე წლიურ ESG ანგარიშებში. კომერციული ბანკებისა და სხვა ფინანსური ინსტიტუტების მიერ გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) საკითხების თანმიმდევრული, თავსებადი და შედარებადი გამჟღავნების ხელშესაწყობად ეროვნულმა ბანკმა აღნიშნული

---

[138] ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური (2018), მმართველობის ანგარიშგების სახელმძღვანელო

[139] ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური (2023), 2023-2026 წლების სტრატეგია

[140] საქართველოს ეროვნული ბანკი (2023), მდგრადი დაფინანსების ანგარიში, 2022
საქართველოს ეროვნული ბანკი (2023), გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) საკითხების ანგარიშგება და გამჟღავნება

საკითხების ანგარიშგებისა და გამჟღავნების პრინციპები და შესაბამისი შაბლონი შეიმუშავა[141]. ამ ინსტრუმენტის შემოღება მნიშვნელოვანია, როგორც ინფორმაციის საჯაროობის, ისე ბანკების საქმიანობაში მდგრადი დაფინანსების წახალისების და ზოგადად, ამ მიმართულებით ბაზრის განვითარების ხელშეწყობისთვის.

ESG-ისთან დაკავშირებული საკითხები ასევე გათვალისწინებულია კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსსა და საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისთვის კორპორაციული მართვის კოდექსში. დოკუმენტები მოიცავს მდგრადობასთან დაკავშირებული მოთხოვნების გათვალისწინებას ESG საკითხების კორპორაციის სტრატეგიაში, რისკის მენეჯმენტსა და ESG ანგარიშგების მოთხოვნებში. კორპორაციული მართვის კოდექსის მიხედვით, ESG საკითხების ანგარიშგების ფორმა პილარ 3-ის წლიურ ანგარიშგებას დაემატა და შესაბამისად, ESG საკითხების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება მის ფარგლებში ხორციელდება.[142]

ზოგადად, იმის გათვალისწინებით, რომ კომპანიების ძირითადი ნაწილისთვის მდგრადი განვითარების ანგარიშგების სისტემა ნებაყოფლობითია, საკმაოდ დაბალია სექტორის აქტივობა ანგარიშების გამოქვეყნების მხრივ.

კომპანიებში მდგრადი განვითარების ანგარიშგების დასანერგად მნიშვნელოვანია წამახალისებელი მექანიზმების შემოღებაც. ამ მიმართულებით საქართველოში არსებობს რამდენიმე წამახალისებელი საშუალება, დაკავშირებული კომპანიების დაჯილდოებასთან. ერთ-ერთია საუკეთესო ანგარიშისა და გამჭვირვალობის ჯილდოს (BARTA) ყოველწლიური კონკურსი, რომელსაც მსოფლიო ბანკი „ბუღალტრული რეფორმის ბენეფიციართა ფონდის მხარდაჭერის ეროვნულ ფონდთან“ თანამშრომლობითა და ევროკავშირის მხარდაჭერით ატარებს[143]. კიდევ ერთი ინიციატივაა საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის (CSRDG) ყოველწლიური დაჯილდოება – საქართველოს პასუხისმგებელი ბიზნესის კონკურსი Meliora. ამ დაჯილდოებაში შედის ასევე კორპორაციული პასუხისმგებლობისა და მდგრადობის საკითხებზე გამჭვირვალობისა და ანგარიშგების კატეგორია[144].

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ მდგრადობის ანგარიშგებასთან დაკავშირებით საქართველოს ეროვნული ბანკის, გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის, მდგრადი განვითარების ინსტიტუტისა და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის თანამშრომლობით იგეგმება მდგრადობის ანგარიშგების

---

[141] საქართველოს ეროვნული ბანკი (2023), გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) საკითხების ანგარიშგება და გამჟღავნება

[142] საქართველოს ეროვნული ბანკი, 2023, მდგრადი დაფინანსების ანგარიში 2022

[143] https://www.barta.ge

[144] https://meliora.ge/ka/categories/csr_communication

საკანონმდებლო ჩარჩოს განვითარება და მდგრადობის ანგარიშგების სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება[145].

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში მდგრადი ანგარიშგების სისტემის განვითარებაზე მიმართული პოლიტიკა ძირითადად საზოგადოებრივი დაინტერესების სექტორშია კონცენტრირებული. სხვა სექტორებში კომპანიების გამჭვირვალობა, მდგრადი საქმიანობის მიმართულებით ნებაყოფლობითია და ცალკეული კომპანიის პოლიტიკაზეა დამოკიდებული.

საერთაშორისო დონეზე ამ მიმართულებით ყველაზე გავრცელებული ინსტრუმენტი ანგარიშგების გლობალური ინიციატივის (GRI) უნივერსალური სტანდარტებია. GRI არის საერთაშორისო სტანდარტების ორგანიზაცია, რომელიც მიზნად ისახავს საყოველთაოდ აღიარებული ერთიანი სისტემის შემუშავებას, ორგანიზაციების ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური საქმიანობის შესახებ ანგარიშგებისთვის. ანგარიშგების გლობალური ინიციატივის (GRI) მდგრადი განვითარების ანგარიშგების ერთიანი სტანდარტი მოიცავს უარყოფითი ზეგავლენის პრევენციისა და მართვის პასუხისმგებლობის, სექტორების სპეციფიკური ზემოქმედების თანმიმდევრული ანგარიშგების და თემატურად ინფორმაციის გამჟღავნების პრინციპებს[146].

GRI სტანდარტის მიხედვით ანგარიშგება უზრუნველყოფს წარდგენილი ინფორმაციის ხარისხს და სანდოობას, გადამოწმებისა და შედარების საშუალებას. ამდენად, ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყანაში საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით ანგარიშგების წახალისება და მხარდაჭერა.

ევროკავშირში მდგრადობის საკითხებზე გამჭვირვალობის სისტემას შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩო არეგულირებს. 2014 წლიდან მოქმედებდა არაფინანსური ანგარიშგების შესახებ დირექტივა, რომელიც გარკვეული ტიპის მსხვილ კომპანიებს ავალდებულებდა შერჩეულ სოციალურ და გარემოსდაცვით საკითხებზე ანგარიშების მომზადებას[147]. 2023 წელს ევროპის კავშირმა მდგრადი განვითარების საკითხებზე კორპორაციული ანგარიშგების ახალი დირექტივა მიიღო, რომელიც აფართოებს 2014 წლის დირექტივის მოქმედების არეალს. დირექტივის შესაბამისად, ანგარიშგების ვალდებულება შეეხება ყველა მსხვილ კომპანიას და ასევე გარკვეულ მცირე და საშუალო ბიზნესს.

---

[145] ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური (2021), მდგრადობის ანგარიშგების სფეროსთან დაკავშირებით თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, მოძიებულია 09.08.2023 https://saras.gov.ge/ka/News/Detail/2508

[146] GRI (2021), A Short Introduction to the GRI Standards, GRI Standards for Sustainability Reporting: https://www.globalreporting.org/standards/

[147] CSR ჰაბი (2023), კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ძირითადი საკითხები, გამჭვირვალობა და ანგარიშგება, https://csrgeorgia.com/ka/overview/csr-themes/reporting-and-transparency

დირექტივის ფარგლებში შემუშავდა ანგარიშგების დეტალური სტანდარტები[148]. ევროკავშირის ქვეყნებში, მდგრადი საქმიანობის მიმართულებით, ერთიანი სტანდარტით ანგარიშგების ვალდებულება უფრო მეტ კომპანიას ექნება, რაც ასევე ინვესტორებისა და დაინტერესებული მხარეებისათვის საჭირო ინფორმაციის უფრო სრულყოფილად მიღების შესაძლებლობაა.

ზოგადად აღსანიშნავია, რომ კომპანიების საქმიანობის სოციალური და გარემოსდაცვითი ასპექტების გამჭვირვალობის უზრუნველყოფის ვალდებულებაზე ქვეყნებს შორის განსხვავებული მიდგომები არსებობს. მაგალითისათვის, გერმანიაში მდგრადი განვითარების ანგარიშგება მდგრადობის კოდექსით რეგულირდება. კოდექსში განსაზღვრულია ანგარიშის შემუშავების სტანდარტები, შეფასების 20 კრიტერიუმი და ანგარიშგების საჭიროების მინიმალური მოთხოვნები, რაც კომპანიებში კორპორაციული პასუხისმგებლობის მიმართულებით განხორციელებული საქმიანობის პირდაპირი შედარების საშუალებას იძლევა. კოდექსში წარმოდგენილი ჩარჩო შემუშავებულია ყველა ზომისა და სახეობის ორგანიზაციისთვის, თუმცა სავალდებულო მხოლოდ გარკვეული კომპანიებისთვის არის[149].

საფრანგეთშიც, ევროპული კავშირის რეგულაციის შესაბამისად, კომპანიების ნაწილისთვის არის სავალდებულო გარემოსდაცვითი/მდგრადი განვითარების საქმიანობის ანგარიშების წარდგენა. ეს ვალდებულებები რამდენიმე მიმართულებას მოიცავს, მათ შორის, არაფინანსური საქმიანობის შესახებ ინფორმაციის წარდგენას, შესაბამისობის გეგმის განხორციელებას და ფინანსური ბაზრის მონაწილეების ვალდებულებას, რომ მდგრადობის რისკის პოლიტიკაში კლიმატის ცვლილებისა და ბიომრავალფეროვნების საკითხები გაითვალისწინონ.

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ საფრანგეთის ეროვნულ ასამბლეაში მწვანე ინდუსტრიის კანონში მიღებული ცვლილებების მიხედვით, ყველა კომპანიას ევალება კლიმატისა და მდგრადობის სტრატეგიების შემუშავება. სიახლეს კომპანიაში დაგეგმილი აქტივობების დამტკიცებაში მეწილეების მონაწილეობის უზრუნველყოფა და ყოველწლიურად შესაბამისი ანგარიშების მომზადების ვალდებულება წარმოადგენს[150]. შესაბამისად, საფრანგეთში დაგეგმილი ცვლილებების მიხედვით, მნიშვნელოვნად ფართოვდება მდგრადობის ანგარიშგების ვალდებულების არეალი.

ქვეყანაში მდგრადობის ანგარიშგების სისტემის განვითარება მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, კომპანიებში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობების განვითარების და მწვანე

---

[148] Official Journal of the European Union (2022), Directive (EU) 2022/2464 of the European Parliament and of the Council of 14 December 2022 amending Regulation (EU) No 537/2014, Directive 2004/109/EC, Directive 2006/43/EC and Directive 2013/34/EU, as regards corporate sustainability reporting, EUR-Lex

[149] The Federal Government of Germany (2021), German Sustainable Development Strategy

[150] McNally, F. (2023), France adopts mandatory Say on Climate Law, Responsible Investor, მოძიებულია 09.08.2023

ინვესტიციების წახალისების, ხოლო, მეორე მხრივ, საერთაშორისო სტანდარტებთან და ევროპული კავშირის საკანონმდებლო ცვლილებებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიმართულებით. თუმცა ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ მდგრადი განვითარების ანგარიშების მომზადება ბევრი ორგანიზაციისთვის მნიშვნელოვან გამოწვევებთან არის დაკავშირებული.

რეკომენდაციები

- საქართველოში მდგრადი განვითარების ანგარიშგების განვითარებისათვის, პირველ რიგში, აუცილებელია არსებული ინიციატივების ანალიზი, კომპანიების შესაძლებლობების შეფასება და იმ კომპანიების განსაზღვრა, ვისთვისაც სავალდებულო შეიძლება გახდეს ამ მიმართულებით ანგარიშგება. ასევე მნიშვნელოვანია ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობის უზრუნველყოფა მდგრადი განვითარების ანგარიშგების სისტემის განვითარების პროცესში, მთავრობის მიერ დაგეგმილი აქტივობებისა თუ მარეგულირებელი ჩარჩოს შემუშავებაში.
- ქვეყანაში მდგრადი განვითარების ანგარიშგების მარეგულირებელი სისტემა ნაკლებად არის განვითარებული. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ანგარიშგების მიმართ სავალდებულო მიდგომა ეტაპობრივად დაინერგოს, რაც კომპანიებს ახალი მოთხოვნების შესაბამისი უნარების განსავითარებლად საკმარის დროს მისცემს.
- კერძო სექტორის მხარდაჭერისთვის მიზანშეწონილია, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, მდგრადი განვითარების ანგარიშის ჩარჩოსა და სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება; ასევე, კომპანიების მხარდაჭერა შესაბამისი უნარების და კომპეტენციების განვითარებისთვის.
- კერძო სექტორში მდგრადი განვითარების ნებაყოფლობითი ანგარიშგების წახალისების მიმართულებით შესაძლებელია ისეთი ინსტრუმენტების გამოყენება, როგორიც არის საინფორმაციო კამპანიების წარმოება, დაჯილდოება, გრანტებისა და სხვა მასტიმულირებელი აქტივობების შემოღება.

3.5 კარგი კორპორაციული მმართველობის განვითარება და ორგანიზაციის საქმიანობის უარყოფითი ზეგავლენის შეფასება და მართვა (sustainability due diligence)

კერძო სექტორის საქმიანობაში მდგრადი განვითარების საკითხების ინტეგრირების კიდევ ერთი მიმართულებაა კომპანიების მართვის სისტემებში ადამიანის უფლებებისა და გარემოსდაცვითი საკითხების დანერგვა, რაც ხელს უწყობს უფრო მდგრადი და პასუხისმგებელი ბიზნესსაქმიანობის განვითარებას. კორპორაციული მმართველობის პრინციპებში მდგრადობის გათვალისწინება და ორგანიზაციის საქმიანობის უარყოფითი ზეგავლენის შეფასების (due diligence) ჩატარება სოციალურ და გარემოსდაცვით სფეროებზე

კომპანიების საქმიანობის უარყოფითი გავლენის კომპანიებისგანვე გამოვლენისა და შემცირების მიმართულებებს მოიცავს.

OECD-ის განმარტებით, ორგანიზაციის საქმიანობის უარყოფითი ზეგავლენის შეფასება და მართვა (sustainability due diligence) წარმოადგენს დასაქმებაზე, ადამიანის უფლებებზე, გარემოზე, კორუფციასა და მომხმარებლებზე პოტენციური უარყოფითი გავლენის განსაზღვრის, პრევენციის, შეზღუდვის და ამ მიმართულებით ანგარიშვალდებულების პროცესს. ეროვნულ და რეგიონულ დონეზე ამ ინსტრუმენტის განვითარება გასცდა მხოლოდ კომპანიების საქმიანობაში გაჩენილ გავლენაზე პასუხისმგებლობის აღებას და მოიცავს კომპანიების მიწოდების ჯაჭვებსა და ბიზნესპარტნიორებს[151].

ადამიანის უფლებებზე უარყოფითი ზეგავლენის პრევენციისა და მართვის კორპორაციული პასუხისმგებლობა 2011 წელს გაეროს ბიზნესისა და ადამიანის უფლებების სახელმძღვანელო პრინციპებში იქნა გათვალისწინებული. შედეგად, ეს საკითხი ასევე მულტინაციონალური კომპანიებისთვის დაემატა OECD-ის სახელმძღვანელო პრინციპებს. ასევე მნიშვნელოვანია, რომ 2021 წლიდან სოციალური და გარემოსდაცვითი უარყოფითი ზეგავლენის პრევენციის პრინციპები დაემატა ანგარიშგების გლობალური ინიციატივის (GRI) უნივერსალურ სტანდარტებს[152].

GRI საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით, ადამიანებსა და გარემოზე უარყოფითი ზეგავლენის პრევენციისა და მართვის პროცესში გათვალისწინებულია შემდეგი აქტივობების განხორციელება:

- პასუხისმგებელი ბიზნესსაქმიანობის ინტეგრირება კომპანიის პოლიტიკასა და მმართველობით სისტემაში;
- საწარმოების ოპერაციებთან, პროდუქტსა და სერვისებთან დაკავშირებული რეალური და შესაძლო უარყოფითი გავლენის განსაზღვრა და შეფასება;
- ამ გავლენის აღმოფხვრა, პრევენცია ან შემცირება და ჩატარებული აქტივობებისა და შედეგების მონიტორინგი;
- საქმიანობის შედეგებზე კომუნიკაცია და დაინტერესებული პირებისთვის ინფორმაციის მიწოდება[153].

კომპანიების საქმიანობის უარყოფითი ზეგავლენის პრევენციისა და მართვის საკითხებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რომ მმართველობის ანგარიშგების არაფინანსური ნაწილი ასევე მოიცავს სუბიექტის საქმიანობის რისკების ანალიზს. ამ ნაწილში

---

[151] GRI (2023), Corporate sustainability due diligence policies and sustainability reporting, A state-of-play report by the GRI Policy team

[152] იქვე.

[153] იქვე.

გათვალისწინებულია კომპანიის ბიზნესურთიერთობები, პროდუქციისა და მომსახურების შესაძლო უარყოფითი გავლენა და რისკების მართვის მეთოდები.[154]

ამასთან, სოციალური და გარემოსდაცვითი მიმართულება გათვალისწინებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებულ გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით (ESG) საკითხებზე ანგარიშგების პრინციპებში. დოკუმენტში წარმოდგენილი პრინციპები შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს და მოიცავს საფინანსო ინსტიტუტების მიერ სოციალური და გარემოსდაცვითი მიმართულებებით უარყოფითი ზეგავლენის შეფასების საჭიროებას, რაც მოიცავს ESG საკითხებთან დაკავშირებული რისკების იდენტიფიცირების, მართვისა და დაძლევის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებას[155]. დამატებით, კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსსა და საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისთვის კორპორაციული მართვის კოდექსში „რისკების მართვის ნაწილში გათვალისწინებულია ფინანსურ რისკებთან ერთად არაფინანსური, მათ შორის, გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების შეფასების მიმართულება, ასევე სოციალური და მმართველობითი რისკების იდენტიფიცირებისა და მათი ზემოქმედების შეფასების პროცესი[156]. კომერციული ბანკების რეგულაციების მსგავსად, საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისთვის კორპორაციული მართვის კოდექსიც შეიცავს მდგრადობასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, ორგანიზაციების სტრატეგიებსა და რისკის მენეჯმენტის სისტემებში ESG საკითხების გათვალისწინების მიმართულებით.[157]

ამ მხრივ ასევე გასათვალისწინებელია საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია (2022–2030 წლებისთვის). სტრატეგიის ერთ-ერთი მიზანია ბიზნესის და ადამიანის უფლებების სტანდარტების გაძლიერება, რაც მოიცავს საერთაშორისო სტანდარტებისა და კანონმდებლობის ჰარმონიზაციას[158].

საქართველოსგან განსხვავებით, ევროპის კავშირში სოციალური და გარემოსდაცვითი ზეგავლენის მართვის უფრო განვითარებული მარეგულირებელი სისტემაა ჩამოყალიბებული. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი სიახლეა 2022 წელს ევროკომისიის მიერ მიღებული „ადამიანებსა და გარემოზე უარყოფითი ზეგავლენის პრევენციისა და მართვის კორპორაციული ვალდებულების შესახებ“ დირექტივის პროექტი, რომელიც

---

[154] https://saras.gov.ge/Content/files/mmartvelobis-angarishgebis-saxelmzgvanelo.pdf

[155] National Bank of Georgia (2020), ESG Reporting and Disclosure Principles

[156] საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (2018), საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №215/04 - კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსის დამტკიცების თაობაზე

[157] საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (2021), საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №172/04 - საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისათვის კორპორაციული მართვის კოდექსის დამტკიცების თაობაზე

[158] საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (2023), საქართველოს პარლამენტის დადგენილება- „საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის (2022–2030 წლებისთვის)“ დამტკიცების შესახებ

ევროპარლამენტისა და საბჭოს მიერ დამტკიცებიდან ორ წელიწადში ამოქმედდება. შემოთავაზებული ცვლილების მიხედვით, კომპანიის ვალდებულებად განისაზღვრება ადამიანის უფლებებსა და გარემოზე შესაძლო უარყოფითი გავლენის პრევენცია, აღმოფხვრა ან შემცირება. ამისათვის კომპანიამ უნდა შეიმუშაოს და განახორციელოს პრევენციის სამოქმედო გეგმა, შეაფასოს ბიზნესპარტნიორების და კომპანიის მიწოდების ჯაჭვის გავლენა ამ მიმართულებით; ასევე ხელი უნდა შეუწყოს პარტნიორი მცირე და საშუალო საწარმოების შესაბამისობას წარმოდგენილ მოთხოვნებთან[159].

ხაზგასასმელია, რომ ადამიანის უფლებებისა და გარემოს დაცვაზე არსებული უარყოფითი გავლენის რისკების შეფასებისა და მართვის ვალდებულება მხოლოდ განსაზღვრულ კომპანიებზე გავრცელდება. ეს ჩამონათვალი მოიცავს ორგანიზაციების ორ ჯგუფს. პირველ ჯგუფში შედის კომპანიები, რომლებშიც დასაქმებულია 500-ზე მეტი თანამშრომელი და წლიური ბრუნვა 150 მილიონ ევროს აღემატება. მეორე, მაღალი გავლენის მქონე სექტორებში (ტექსტილი, სოფლის მეურნეობა, ბუნებრივი წიაღისეულის მოპოვება და სხვა) მომუშავე კომპანიები, რომლებშიც 250-ზე მეტი თანამშრომელია და წლიური ბრუნვა 40 მილიონ ევროს აღემატება. დირექტივა ვრცელდება ასევე სხვა რეგიონების (არაევროკავშირის) კომპანიებზე, რომლებიც საქმიანობენ ევროკავშირში და რომელთა წლიური ბრუნვა ევროკავშირის ფარგლებში შეესაბამება პირველი ან მეორე ჯგუფისთვის დაწესებულ მოთხოვნებს. შესაბამისად, დირექტივა გავრცელდება დაახლოებით 13 000 კომპანიაზე ევროკავშირში და 4000 კომპანიაზე ევროკავშირის გარეთ. ჯამში, ეს კომპანიები აწარმოებენ ევროკავშირის მთლიანი პროდუქციის ორ მესამედს[160].

ამასთან ხაზგასასმელია, რომ საერთაშორისო დონეზე, ამ სტანდარტების ნებაყოფლობითობის მიუხედავად, ბოლო წლებში ევროკავშირის ქვეყნებმა ამ მიმართულებით ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩოს განვითარება დაიწყეს. ინდივიდუალურ ქვეყნებში შემუშავებული რეგულაციები საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისია, თუმცა მნიშვნელოვნად განსხვავდება მასშტაბის, დაფარული რისკების, აღსრულებისა და ვალდებულებების თვალსაზრისით. თავის მხრივ, ქვეყნებს შორის არსებული ფრაგმენტაცია ევროკავშირში ერთიანი საკანონმდებლო ჩარჩოს შემუშავების საფუძველი გახდა[161]. იმის გათვალისწინებით, რომ ადამიანის უფლებებზე უარყოფითი ზეგავლენის პრევენციისა და მართვის კორპორაციული პასუხისმგებლობა მსოფლიოში ნებაყოფლობითი სისტემით

---

[159] Spinaci, S. (2023), Corporate sustainability due diligence, How to integrate human rights and environmental concerns in value chains, Briefing - EU Legislation in Progress, European Parliament

[160] European Commission (2022), Corporate sustainability due diligence: Fostering sustainability in corporate governance and management systems

[161] Spinaci, S. (2023), Corporate sustainability due diligence, How to integrate human rights and environmental concerns in value chains, Briefing - EU Legislation in Progress, European Parliament

რეგულირდებოდა და ეს მიდგომები ბოლო წლებში შეიცვალა, ასევე საინტერესოა ევროკავშირის ქვეყნებში არსებული სისტემების განხილვა.

2017 წელს ევროკავშირსა და მსოფლიოშიც საფრანგეთი იყო პირველი ქვეყანა, რომელმაც უარყოფითი ზეგავლენის შეფასების (Due Dilligence) კანონმდებლობა მიიღო. ამ ინსტრუმენტის გამოყენება სავალდებულოა მხოლოდ დიდი ზომის კომპანიებისთვის, რომლებშიც ევროკავშირის მასშტაბით 5,000 დასაქმებულზე მეტია, ხოლო მსოფლიოს მასშტაბით – 10,000 დასაქმებულზე მეტი. რეგულაცია მოიცავს პირდაპირი და არაპირდაპირი კონტროლის ქვეშ არსებული კომპანიების, ყველა კონტრაქტორისა და მიმწოდებლის საქმიანობას. რეგულაციით განსაზღვრული ვალდებულება მოიცავს შესაბამისი გეგმის მომზადებას, რომელიც ეხება ადამიანის უფლებების, ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის მიმართულებებს და მიზნად ისახავს იდენტიფიცირებული რისკების პრევენციას ან შემცირებას. მნიშვნელოვანია, რომ საფრანგეთში ამ ვალდებულებების დარღვევისთვის არ არის გათვალისწინებული დაჯარიმების მექანიზმები (გაუქმდა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით).

2021 წელს გერმანიამაც მიიღო კანონი კომპანიების მიერ უარყოფითი ზეგავლენის შეფასების განხორციელების ვალდებულებაზე. კანონი ვრცელდება იმ კომპანიებზე, რომლებშიც 3,000 დასაქმებულზე მეტია (2024 წლიდან ეს მოთხოვნა 1,000 დასაქმებულამდე შემცირდება). რეგულაციები ვრცელდება კომპანიის საქმიანობასა და მიწოდების ჯაჭვის ოპერაციებზე. კანონმდებლობის მიხედვით, განისაზღვრა რისკების მართვის სისტემა, ადამიანის უფლებების დარღვევისა და გარემოსთვის მიყენებული ზიანის იდენტიფიცირების, თავიდან აცილების და მინიმუმამდე დაყვანის მიმართულებით. ამასთანავე, ხაზგასასმელია, რომ გერმანიაში არსებული სისტემა, ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, ადმინისტრაციულ ჯარიმებს ითვალისწინებს[162].

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფოების მიერ უარყოფითი ზეგავლენის შეფასების განხორციელებისა და კარგი კორპორაციული მმართველობის განვითარების ინსტრუმენტები ძირითადად მსხვილი ზომის საწარმოებს ეხება, ამასთან, საფრანგეთისა და გერმანიის რეგულაციებთან შედარებით, ევროკავშირის ახალი დირექტივის პროექტში მოცემული კრიტერიუმები უფრო დიდი რაოდენობის კომპანიების გათვალისწინების წინაპირობაა. ხაზგასასმელია, რომ დირექტივის მიღებიდან ორ წლის შემდეგ წევრი ქვეყნებისთვის სავალდებულო გახდება უარყოფითი ზეგავლენის შეფასების ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება და ეროვნულ დონეზე შესაბამისი რეგულაციების მიღება.

[162] Spinaci, S. (2023), Corporate sustainability due diligence, How to integrate human rights and environmental concerns in value chains, Briefing - EU Legislation in Progress, European Parliament

რეკომენდაციები

- იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში სახელმწიფოს მხრიდან უარყოფითი ზეგავლენის შეფასების ხელშემწყობი ინსტრუმენტი მხოლოდ საფინანსო სექტორშია გამოყენებული, მნიშვნელოვანია დანარჩენ სექტორებში კომპანიების საქმიანობის ამ მიმართულების განვითარების შესაძლებლობების შეფასება.
- აუცილებელია კერძო სექტორის წარმომადგენლების ინფორმირება კორპორაციულ მმართველობაში ადამიანის უფლებებზე უარყოფითი ზეგავლენის პრევენციისა და მართვის პასუხისმგებლობის მექანიზმების გამოყენების სარგებელთან დაკავშირებით.
- დამატებით, კომპანიების კორპორაციულ მართვაში ამ მიმართულების განვითარების ხელშეწყობისათვის მნიშვნელოვანია სახელმწიფოს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ერთიანი ნებაყოფლობითი სტანდარტის შემუშავება, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ყველა დაინტერესებული მხარისთვის.
- რაც შეეხება ადამიანის უფლებებისა და გარემოს დაცვაზე უარყოფითი გავლენის პრევენციასა და აღმოფხვრასთან დაკავშირებით კომპანიების ვალდებულებებს, პირველ ეტაპზე მიზანშეწონილია მაღალი ზეგავლენის მქონე სექტორებში (წიაღისეულის მოპოვება, სოფლის მეურნეობა და ა.შ.) მსხვილი კომპანიების იდენტიფიცირება და მათი ჩართულობის უზრუნველყოფით შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩოს შემუშავება.

3.6 პასუხისმგებელი ბიზნესსაქმიანობისა და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის მხარდაჭერა

საერთაშორისო დონეზე კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობისა და მდგრადობის მნიშვნელობის ზრდის შედეგად, საერთაშორისო ორგანიზაციებმა განავითარეს და გააუმჯობესეს ამ მიმართულებით არსებული ინსტრუმენტები. მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იყო 2010 წელს სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ISO) სოციალური პასუხისმგებლობის სტანდარტის ISO 26000 მიღება. ამ სტანდარტის შემოღების შემდეგ, 2011 წელს, OECD-მ განაახლა მრავალეროვანი საწარმოებისთვის სახელმძღვანელო მითითებების დოკუმენტი, ხოლო გაერომ დაამტკიცა რეზოლუცია „სახელმძღვანელო პრინციპები ბიზნესისა და ადამიანის უფლებების შესახებ“. აქვე აღსანიშნავია, რომ OECD-მ სახელმძღვანელო მითითებები მრავალეროვანი საწარმოებისთვის 2023 წელს კიდევ ერთხელ განაახლა. დამატებით, მნიშვნელოვანი საერთაშორისო სტანდარტია ანგარიშგების გლობალური ინიციატივის (GRI) მიერ შემუშავებული მდგრადი განვითარების ანგარიშგების ერთიანი ფორმატი. მდგრადობის სტანდარტების სისტემაა ასევე დამკვიდრებული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების საქმიანობისთვის, მოპოვებითი მრეწველობის გამჭვირვალობის ინიციატივის (EITI) საფუძველზე.

ISO 26000 სახელმძღვანელო არის ნებაყოფლობითი და არასერტიფიცირებადი სტანდარტი, რომელიც ორგანიზაციების სოციალური პასუხისმგებლობის განვითარების ინსტრუქციებსა და სახელმძღვანელო პრინციპებს მოიცავს. მნიშვნელოვანია, რომ ეს სტანდარტი მიესადაგება ყველა ტიპის, ზომისა და ადგილმდებარეობის ორგანიზაციას და არ არის მიმართული მხოლოდ კერძო სექტორში ამ სფეროს განვითარებაზე. ISO 26000 მოიცავს 7 ძირითად მიმართულებას: ორგანიზაციული მმართველობის, ადამიანის უფლებების, შრომითი პრაქტიკის, გარემოს დაცვის, სამართლიანი საოპერაციო პრაქტიკის, მომხმარებელთა საკითხებისა და საზოგადოების ჩართულობისა და განვითარების მიმართულებებს. შვიდ ძირითად მიმართულებაში წარმოდგენილია დეტალური სახელმძღვანელო პრინციპები სოციალური პასუხისმგებლობის 37 საკითხზე[163].

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარების მიმართულებით ერთ-ერთი ძირითადი დოკუმენტია ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OECD) „სახელმძღვანელო მითითებები მრავალეროვანი საწარმოებისათვის". დოკუმენტში წარმოდგენილია ბიზნესსაქმიანობაში სოციალური პასუხისმგებლობის გათვალისწინების ნებაყოფლობითი პრინციპები და რეკომენდაციები. სტანდარტი მოიცავს ადამიანის უფლებების, დასაქმებულთა უფლებების, გარემოს დაცვის, კორუფციასთან ბრძოლის, მომხმარებელთა დაცვის, გამჭვირვალობის, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების, კონკურენციისა და გადასახადების მიმართულებებს.

მნიშვნელოვანია, რომ ISO 26000 სტანდარტისაგან განსხვავებით, OECD-ის სახელმძღვანელო პრინციპები სახელმწიფოების დონეზე აღიარებული დოკუმენტია და შედეგად, შესაბამისი ქვეყნებისთვის განსაზღვრულ ვალდებულებებს აჩენს. სახელმძღვანელო მითითებები ნებაყოფლობითია კერძო სექტორისათვის, თუმცა შეერთების შემდეგ სახელმწიფოები იღებენ ვალდებულებას, ქვეყნის ტერიტორიაზე მოქმედ და სახელმწიფო კომპანიებში ამ პრინციპების დანერგვის ხელშეწყობისა და ამისათვის ეროვნული საკონტაქტო უწყებების (National Contact Points) შექმნის მიმართულებით. ამ ეტაპზე, აღნიშნული სახელმძღვანელო პრინციპები მიღებული აქვს 51 ქვეყანას, 38 OECD-ის წევრს და 13 პარტნიორს[164]. დამატებითი წევრები არიან ევროპის, ლათინური ამერიკისა და აფრიკის ქვეყნები, რომელთა შორისაც ერთ-ერთი წევრია უკრაინა.

ბიზნესსაქმიანობაში კიდევ ერთი დოკუმენტია „გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები ბიზნესისა და ადამიანის უფლებების შესახებ", სადაც გათვალისწინებულია მდგრადობის საკითხები. სახელმძღვანელო ორიენტირებულია კერძო სექტორში ადამიანის უფლებების დარღვევის საკითხების მართვის მოწესრიგებაზე და სამ ძირითად მიმართულებას ეყრდნობა: სახელმწიფოს პასუხისმგებლობას – დაიცვას ადამიანის უფლებები, კორპორაციულ

---

[163] International Organization for Standardization (2010), ISO 26000: Guidlance on Social Responsibility

[164] OECD (2011), OECD Guidelines for Multinational Enterprises

პასუხისმგებლობას – პატივი სცეს ადამიანის უფლებებს და ბიზნესსაქმიანობაში უფლებების დარღვევის შემთხვევაში – ადამიანის დაცვის საშუალებების ხელმისაწვდომობას[165]. შესაბამისად, „გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები ბიზნესისა და ადამიანის უფლებების შესახებ" მთავრობებისა და ბიზნესის წარმომადგენლებისათვის პასუხისმგებელი ბიზნესსაქმიანობის ხელშეწყობის, განხორციელებისა და შეფასების საერთო პლატფორმას წარმოადგენს.

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის საქმიანობაზე გამჭვირვალობისა და ანგარიშგების მიმართულებით მნიშვნელოვანია ანგარიშგების გლობალური ინიციატივის (GRI) მდგრადი განვითარების ანგარიშგების ერთიანი სტანდარტის განხილვა. ეს სტანდარტი ეხება ნებისმიერი ტიპის, ზომისა და მდებარეობის ორგანიზაციის საქმიანობას სოციალური, ეკონომიკური და გარემოსდაცვითი მიმართულებებით. GRI სტანდარტები 2021 წელს განახლდა და მსოფლიოში მდგრადი განვითარების ანგარიშგების სფეროში ყველაზე გავრცელებული ფორმატია[166].

GRI სტანდარტები მოიცავს: (I) უნივერსალურ სტანდარტებს, რომლებშიც გათვალისწინებულია ადამიანის უფლებებსა და გარემოზე უარყოფითი ზეგავლენის პრევენციისა და მართვის პასუხისმგებლობა; (II) დარგობრივ სტანდარტებს, რომლებიც სექტორის სპეციფიკურ ზემოქმედებაზე უფრო თანმიმდევრულ ანგარიშგების შესაძლებლობას წარმოადგენს და (III) თემატურ სტანდარტებს, რომლებიც ადაპტირებულია განახლებულ უნივერსალურ სტანდარტებთან და მოიცავს კონკრეტული თემის შესაბამისი ინფორმაციის გამჟღავნების პრინციპებს[167].

დამატებით, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების სფეროში, მოპოვებითი მრეწველობის გამჭვირვალობის ინიციატივის (EITI) საფუძველზე, შემუშავებულია მდგრადობის სტანდარტების სისტემა. EITI-ის გლობალური სტანდარტი ხელს უწყობს ნავთობის, გაზისა და მინერალური რესურსების მოპოვების ინდუსტრიაში არსებული კომპანიების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების განვითარებას. ამასთანავე, ამ სტანდარტის მიხედვით, ინფორმაციის გასაჯაროების მოთხოვნა მთლიანი ღირებულებათა ჯაჭვის ოპერაციებზე ვრცელდება და მოიცავს მოპოვების ლიცენზიის, კონტრაქტის გაფორმების, კომპანიის მფლობელობის, ფისკალური და სამართლებრივი შეთანხმებების, ბუნებრივი

[165] United Nations (2011) Guiding Principles on Business and Human Rights

[166] CSR ჰაბი, ანგარიშგების გლობალური ინიციატივის (GRI) მდგრადი განვითარების ანგარიშგების სტანდარტები, მოძიებულია 11.08.2023 https://csrgeorgia.com/ka/international-standarts/20201204105101-global-reporting-initiative-reporting-standards

[167] GRI (2021), A Short Introduction to the GRI Standards

რესურსების მოპოვების, გადასახადების, ეკონომიკაში შეტანილი წვლილის (მათ შორის, დასაქმებისა და საზოგადოებისთვის სარგებლის) მიმართულებებს[168].

საქართველოში, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობის მიმართულებით, სახელმწიფოს მნიშვნელოვანი მექანიზმი 2018-2020 წლებისთვის იყო ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა. პირველ რიგში ხაზგასასმელია, რომ სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ აქტივობებში მოცემული იყო ბიზნესისა და ადამიანის უფლებების დაცვის შესახებ ერთიანი პოლიტიკის შემუშავების და ამ საკითხზე საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლების მიმართულება, რაც, თავის მხრივ, შესაბამისი სტანდარტების გათვალისწინების საჭიროებაზე მიუთითებს. რაც შეეხება, ზემოთ ნახსენებ საერთაშორისო სტანდარტებზე მითითებას, სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული იყო ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) სახელმძღვანელო პრინციპებთან მრავალეროვანი საწარმოებისათვის საქართველოს შეერთება, რისთვისაც დაგეგმილი იყო შესაბამისი სამუშაო ჯგუფის შექმნა, ასევე სპეციალური თემატური ქვეჯგუფის შექმნა ბიზნესისა და ადამიანის უფლებების შესახებ გაეროს სახელმძღვანელო პრინციპების პრაქტიკაში გატარების უზრუნველყოფის მიზნით. ამ სტანდარტთან დაკავშირებით ერთ-ერთი მიმართულება იყო შიდა სახელმძღვანელო დოკუმენტის შემუშავებისა და მისი პოპულარიზაციის ხელშეწყობა, რის ფარგლებშიც ტრენინგებისა და სამუშაო შეხვედრების ორგანიზება იგეგმებოდა.[169]

ამასთან, 2023 წელს მიღებული საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულ სტრატეგიაში 2022-2030 წლებისთვის ასევე არის თავი ბიზნესისა და ადამიანის უფლებებზე, რომელშიც მითითებულია ბიზნესსექტორში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის დაცვისთვის გარკვეული გამოწვევების გათვალისწინების და კომპანიებში ადამიანის უფლებათა დაცვისთვის შესაბამისი ნაბიჯების გადადგმის საჭიროების შესახებ. ამ მხრივ, სტრატეგიის მიზანია ბიზნესის და ადამიანის უფლებების ჩარჩო-სტანდარტების გაძლიერება (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2023). აღსანიშნავია, რომ ამ ეტაპისთვის კონკრეტული მოქმედებები არ არის განსაზღვრული.

რაც შეეხება ISO 26000 სოციალური პასუხისმგებლობის სტანდარტს, საქართველოში ეს სტანდარტი 2013 წელს დაარეგისტრირეს. ამრიგად, კომპანიებს კორპორაციული მმართველობის შემუშავების პროცესში საერთაშორისო პრინციპების გათვალისწინების შესაძლებლობა აქვთ. დამატებით, გაეროს გლობალურმა შეთანხმებამ და ანგარიშგების

---

[168] CSR ჰაბი, მომპოვებელი მრეწველობის გამჭვირვალობის ინიციატივის (EITI) კარგი მმართველობის გლობალური სტანდარტი გაზის, ნავთობის და მინერალური რესურსების მოპოვების ინდუსტრიაში, მოძიებულია 11.08.2023 https://csrgeorgia.com/ka/international-standarts/20201204094137-5the-extractive-industries-transparency-initiatives

[169] საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (2018), ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2018-2020 წლებისთვის) დამტკიცების შესახებ

გლობალურმა ინიციატივამ შეიმუშავეს სახელმძღვანელო „ურთიერთკავშირის დამყარება: „ანგარიშგების გლობალური ინიციატივის“ სახელმძღვანელო მითითებები და გაეროს „გლობალური შეთანხმების“ ანგარიში მიღწეული შედეგების შესახებ“[170]. დოკუმენტი მოიცავს მითითებებს კომპანიების მიერ წარმოდგენილი ორი მექანიზმის გამოყენების პროცესში გასათვალისწინებელ საკითხებზე, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს კერძო სექტორში ამ საკითხზე ცნობიერების ამაღლებას.

ამ მიმართულებით კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია გაეროს გლობალური შეთანხმების ინიციატივა, რომელშიც 170 ქვეყანასთან ერთად საქართველოც მონაწილეობს. ინიციატივა მდგრადი და სოციალური პასუხისმგებელი საქმიანობის ხელშეწყობისა და განვითარების გარშემო აერთიანებს კომპანიებსა და ორგანიზაციებს, როგორიც არის გაეროს სააგენტოები, პროფესიული კავშირები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და სამთავრობო უწყებები. გლობალურ შეთანხმებას შემუშავებული აქვს პასუხისმგებელი ბიზნესის 10 პრინციპი ადამიანის უფლებების, შრომითი უფლებების, გარემოს დაცვისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროებში. გლობალური შეთანხმება ნებაყოფლობითი ინიციატივაა და ხელს უწყობს საჯარო ანგარიშგებას, გამჭვირვალობას თანამშრომლობასა და გამოცდილების გაზიარებას, პასუხისმგებელი ბიზნესის 10 პრინციპის დანერგვისა და მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში თანამშრომლობის უზრუნველყოფისთვის[171].

მოპოვებითი მრეწველობის გამჭვირვალობის ინიციატივასთან (IETI) დაკავშირებით ხაზგასასმელია, რომ საქართველო არ არის ამ ინიციატივის წევრი და შესაბამისად, არც მის ფარგლებში ჩამოყალიბებული სტანდარტების გავრცელების მხარდაჭერის ინსტრუმენტები აქვს შემუშავებული. ამასთანავე, ხაზგასასმელია ამ ინიციატივაში რეგიონის ქვეყნების ჩართულობა. 2017 წლიდან ორგანიზაციას სომხეთი შეუერთდა, ხოლო აზერბაიჯანს, რომელიც 2007 წელს გაწევრიანდა, 2017 წლიდან შეუჩერდა საბჭოს წევრობა. ეს გადაწყვეტილება EITI-ის საბჭომ აზერბაიჯანის მიერ ინიციატივით განსაზღვრული სტანდარტების არშესრულების გამო მიიღო. ამის შედეგად ქვეყანამ EITI-ის დატოვება გადაწყვიტა. ამასთან, 2013 წლიდან ინიციატივას ასევე შეუერთდა უკრაინა. ევროპის ქვეყნებიდან EITI-ში გაწევრიანებულია გერმანია, ნიდერლანდები, ნორვეგია და დიდი ბრიტანეთი.[172]

---

[170] საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (2007), ურთიერთკავშირის დამყარება: ანგარიშგების გლობალური ინიციატივის სახელმძღვანელო მითითებები და გაეროს გლობალური შეთანხმების ანგარიში მიღწეული შედეგების შესახებ, United Nations Global Compact Office,

[171] CSR ჰაბი, გაეროს გლობალური შეთანხმების პრინციპები, მოძიებულია 23.08.2023 https://csrgeorgia.com/ka/international-standarts/20201204094030-un-global-compact

[172] EITI, Countries: Global implementation of the EITI Standard, მოძიებულია 11.08.2023,

კორპორაციული მმართველობის მიმართულებით ევროპის კავშირის ქვეყნების გამოცდილების შეფასების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სოციალური პასუხისმგებლობის სტანდარტების ხელშეწყობა მეტად არის განვითარებული სახელმწიფოს CSR პოლიტიკაში. გერმანიის შემთხვევაში, CSR პოლიტიკა გათვალისწინებულია კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სამოქმედო გეგმასა და ბიზნესისა და ადამიანის უფლებების შესახებ გაეროს სახელმძღვანელო პრინციპების განხორციელების სამოქმედო გეგმაში. სამოქმედო გეგმის მიღების მიზანია ყველა დაინტერესებული პირისთვის გაეროს სტანდარტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და ერთიანი სტანდარტით ბიზნესის მდგრადობის განვითარების ხელშეწყობა. გერმანიის პოლიტიკა ძირითადად მიმართულია ცნობიერების ამაღლებასა და კომპეტენციების გაძლიერებაზე, რომელიც ყველა სექტორს მოიცავს. თუმცა განხილვის საგანია სექტორების რისკების ანალიზის ჩატარება და მაღალი რისკის მქონე სექტორებისათვის კონკრეტული ინიციატივების შემუშავება. პოლიტიკის დოკუმენტებისა და CSR-ის ვებგვერდის მიხედვით, გერმანიაში CSR-ის განვითარებას სამართლებრივ საფუძველს მრავალეროვან საწარმოებზე ILO-ს დეკლარაცია, OECD სახელმძღვანელო პრინციპები, ადამიანის უფლებების დეკლარაცია, ბიზნესისა და ადამიანის უფლებების გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები და ISO26000 სტანდარტი წარმოადგენს[173]. გერმანიის შემთხვევაში, სახელმწიფოს მხრიდან კომპანიებში CSR-ის მიმართულებით საერთაშორისო სტანდარტების მხარდაჭერისათვის გათვალისწინებულია როგორც სახელმწიფო დონეზე პოლიტიკის ინსტრუმენტები, ისე აღსრულების პროცესში მხარდაჭერის მექანიზმები.

სხვა ქვეყნებთან შედარებით, საფრანგეთს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის რეგულირების უფრო დიდი გამოცდილება აქვს. CSR-ის პოლიტიკის განხორციელებისა და დაინტერესებული მხარეების მხარდაჭერის მიზნით ქვეყანაში შექმნილია CSR პლატფორმა. 2017 წელს საფრანგეთმა ბიზნესისა და ადამიანის უფლებების შესახებ გაეროს სახელმძღვანელო პრინციპების განხორციელების სამოქმედო გეგმა მიიღო. CSR პოლიტიკა ასევე დაფუძნებულია OECD მრავალეროვანი საწარმოებისათვის სახელმძღვანელო პრინციპებზე, ILO სტანდარტებზე, ISO26000, ანგარიშგების გლობალური ინიციატივის (GRI) და გაეროს სტანდარტებზე. საფრანგეთში CSR-ის განხორციელების მხარდასაჭერად ცნობიერების ამაღლების აქტივობები ითვალისწინებს პასუხისმგებელი ბიზნესის სტანდარტებისა და ეტიკეტების ინსტრუმენტების პოპულარიზაციას. 2010 წლიდან საფრანგეთში მოქმედებს სამუშაო ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელი ბიზნესის ეტიკეტების საკითხებზე მუშაობს[174].

ევროკავშირის ქვეყნების გამოცდილების შეფასების საფუძველზე კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის საერთაშორისო სტანდარტების გავრცელების მხარდაჭერის

---

[173] Ministry of Foreign Affairs of the Netherland (2018), Government policy to stimulate international responsible business conduct

[174] იქვე.

სხვადასხვა მექანიზმი გამოიკვეთა, მათ შორის, სახელმწიფო სტრატეგიულ დოკუმენტებში მათ დანერგვასთან დაკავშირებული აქტივობები და კერძო სექტორში ცნობიერების ამაღლებისა და კომპანიებში სტანდარტების განხორციელების მხარდაჭერის მიმართულებები.

საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმასა და სტრატეგიაში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სტანდარტების გათვალისწინება სახელმწიფო დონეზე პოლიტიკის განსაზღვრის მიმართულებით გადადგმული ნაბიჯია, თუმცა ამ სფეროს განვითარებისათვის მნიშვნელოვანია დამატებითი ღონისძიებების ჩატარება.

რეკომენდაციები

- საქართველოში კერძო სექტორის მიერ CSR-თან დაკავშირებული სტანდარტების გამოყენების წახალისებისათვის, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია კომპანიებისათვის ამ მიმართულებით ინფორმაციის მიწოდება და როგორც დამსაქმებლების, ასევე დასაქმებულების კომპეტენციები გაძლიერება.
- საერთაშორისო გამოცდილებაში იდენტიფიცირებული ტენდენციის შესაბამისად, მიზანშეწონილია საქართველოშიც განხორციელდეს მაღალი რისკის შემცველი სექტორების შეფასება და შემდგომ, აღნიშნული კვლევის საფუძველზე, მათ საქმიანობაში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპების დანერგვის მხარდაჭერა.
- კერძო სექტორში სოციალური პასუხისმგებლობის სტანდარტების წახალისებისათვის ასევე მნიშვნელოვანია სახელმწიფო საწარმოებში ამ ინსტრუმენტის დანერგვა და კომპანიებისათვის მაგალითის მიცემა.
- საქართველოში წიაღისეული რესურსების მოპოვების სექტორში მოქმედ კომპანიებში არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, საქართველოსთვის მიზანშეწონილია EITI-ის სტანდარტის დანერგვის პროცესის წახალისება. EITI-ის სტანდარტის დანერგვის ხელშეწყობის საფუძველზე უზრუნველყოფილი იქნება კომპანიების გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება.
- მნიშვნელოვანია, მრავალეროვანი საწარმოებისათვის OECD სახელმძღვანელო პრინციპებს შეუერთდეს საქართველო, რაც ასევე გათვალისწინებული იყო ადამიანის უფლებების დაცვის 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმაში.

დანართი

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა საქართველოში: განხორციელებისა და პასუხისმგებელი ბიზნესის კონსოლიდირების პერსპექტივა

ავტორი - თომას სერკოვიჩი (Tomas Sercovich),
ირლანდიის პასუხისმგებელი ბიზნესის ქსელი - ბიზნესი საზოგადოებაში (BiTC Ireland),
აღმასრულებელი დირექტორი

საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკაზე დაყრდნობით ქვემოთ წარმოდგენილია რამდენიმე რეკომენდაცია, რომელთა გათვალისწინებაც მიზანშეწონილი იქნებოდა საქართველოში პასუხისმგებელი ბიზნესის კონსოლიდაციისა და CSR-ის დასანერგ სამოქმედო გეგმაში. ეს არის ძირითადი იდეები და მათი განხორციელებისათვის შესაძლებელია სხვა ქვეყნების გამოცდილებიდან კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობა:

- ბიზნესკომპანიების ყოველწლიური გამოკითხვა, რომლის მიზანიც არის მსხვილ და მცირე/საშუალო კომპანიებში პასუხისმგებელი ბიზნესმიდგომების დანერგვისთვის მზადყოფნის, განხორციელებისა და ზეგავლენის გაზომვა. კვლევამ უნდა გამოავლინოს კომპანიებში მდგრადობის/ CSR-ის კუთხით არსებული ცნობიერების დონე, განხორციელებული CSR ინიციატივების ძირითადი მიმართულებები, ყველაზე მნიშვნელოვანი დაბრკოლებები ან ცვლილების ხელშემწყობი პირობები, ასევე – რა ტიპის მხარდაჭერა სჭირდებათ კომპანიებს ამ სფეროში. ამ გამოკითხვაში შესაძლებელია ყურადღების გამახვილება შემდეგ კონკრეტულ საკითხებზე:
  - კლიმატის შესახებ სამეცნიერო მონაცემებზე დაფუძნებული მიზნების დასახვა;
  - კლიმატნეიტრალურობის მისაღწევად სამოქმედო გეგმის მომზადება და გამოქვეყნება;
  - ბუნებასა და კლიმატთან დაკავშირებული რისკების გამჟღავნებისთვის TNFD და TCFD სახელმძღვანელო პრინციპების გამოყენება;
  - ევროკავშირის CSR რეგულაციებთან და ESRS სტანდარტებთან შესაბამისობა;
  - CSR-ის და კორპორაციული მდგრადობის სფეროში საერთაშორისო სერტიფიცირების სქემების გამოყენება, როგორებიცაა: B Corp სერტიფიცირება, Eco Vadis რეიტინგი, შესაბამისი ISO სტანდარტები და სხვ.
- მომხმარებელთა ყოველწლიური გამოკითხვა CSR პასუხისმგებელი ბიზნესსაქმიანობის/ CSR-ის მიმართ დამოკიდებულების შესაფასებლად. კვლევამ უნდა დაადგინოს, თუ რამდენად არიან მომხმარებლები გათვითცნობიერებული პასუხისმგებელ ბიზნესპრაქტიკაში, რას აფასებენ მომხმარებლები საქონლისა და

მომსახურების შეძენისას, პასუხისმგებელი ბიზნესპრაქტიკის რა სფეროები ან განზომილებები იქნებოდა მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი. ასევე, ამ კვლევებით უნდა მოხდეს ქცევების ტესტირება, გადაიხდიდნენ თუ არა მომხმარებლები მეტ თანხას „პასუხისმგებლობით“ შექმნილ პროდუქტსა ან მომსახურებაში და რომელი ჩვევები შეიცვლება პასუხისმგებელი ბიზნესსაქმიანობის შესახებ ცნობიერების გაზრდის საფუძველზე.

- ყოველწლიური პუბლიკაცია, სადაც თავმოყრილი იქნება პასუხისმგებელი ბიზნესპრაქტიკის საუკეთესო მაგალითები სხვადასხვა სექტორისა და თემატიკის მიხედვით.
- მთავრობის ყოველწლიური ანგარიში პასუხისმგებელი ბიზნესსაქმიანობის ხელშემწყობი, წამახალისებელი და მარეგულირებელი პოლიტიკისა და განხორციელებული ინიციატივების შესახებ (მაგალითად, როგორიცაა CSR Check ანგარიში ირლანდიაში). ანგარიში უნდა ეხებოდეს პასუხისმგებელი ბიზნესპრაქტიკის სხვადასხვა სფეროს და მოიცავდეს საუკეთესო საილუსტრაციო მაგალითებს სხვადასხვა სამთავრობო დეპარტამენტისა და სააგენტოს საქმიანობიდან.
- წლიური ანგარიშგება „მულტინაციონალური საწარმოებისთვის OECD სახელმძღვანელო პრინციპების“ განხორციელების შესახებ; ასევე ანგარიშის გამოქვეყნება ეროვნული საკონტაქტო უწყების (National Contact Point) მიერ გამოვლენილი დარღვევების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.
- ბიზნესისა და ადამიანის უფლებათა შესახებ ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავება, პუბლიკაცია და გავრცელება; ასევე მის შესახებ ცნობადობის, მისი გავლენისა და შედეგების გასაზომად დაინტერესებულ მხარეთაგან განმახორციელებელი ჯგუფის შექმნა. ამ სამუშაოს ნაწილია ასევე Corporate Human Rights Benchmark პროცესის განხორციელება, რომელიც შეაფასებს კომპანიათა მზადყოფნას ადამიანის უფლებებთან მიმართებით, გაეროს სახელმძღვანელო პრინციპებზე (UNGP) დაყრდნობით (ეს პრინციპებია: დაიცავი ადამიანის უფლებები, პატივი ეცი და გამოასწორე მიყენებული ზიანი).
- საქართველოს პასუხისმგებელი ბიზნესის კონკურსის Meliora გაგრძელება და მასში ახალი კატეგორიების დამატება იმისთვის, რომ მოხდეს სხვადასხვა სექტორის, ზომისა და სხვადასხვა თემატიკის საუკეთესო კომპანიების წარმოჩენა და აღიარება.
- ინიციატივები, რომლებიც მიმართული იქნება პასუხისმგებელი და მდგრადი ბიზნესსაქმიანობის შესახებ ცნობიერების ამაღლებისკენ; ინფორმაციის, პრაქტიკული სახელმძღვანელოების, შესაბამისი დოკუმენტების და ნიმუშების მიწოდება; მაგალითად, ამ მიზნით შეიძლება შეიქმნას რესურსცენტრი, სადაც თავს მოიყრის ინფორმაცია და რომელიც გამოსცემს რეგულარულ საინფორმაციო ბუკლეტებს, ჩაატარებს ვებინარებსა და რეგიონულ ღონისძიებებს და ა. შ.

- ბიზნესისთვის ტრენინგების შეთავაზება – კარგი რეპუტაციის მქონე ადგილობრივ უნივერსიტეტთან ან ტრენინგცენტრებთან თანამშრომლობით ან საერთაშორისო ექსპერტების მოწვევით. კომპანიების გარდა, ტრენინგები ასევე უნდა ჩაუტარდეს საკვანძო პოზიციებზე მყოფ საჯარო მოხელეებს, ბიზნესასოციაციებს, პარლამენტის წევრებს და სხვ.
- ქმედებები, რომ CSR-ის/მდგრადობის საკითხები ჩართული იყოს იმ საკვანძო სამთავრობო უწყებების სტრატეგიებსა და დღის წესრიგში, რომლებიც მუშაობენ საქართველოში ინვესტიციების შემოტანასა თუ ქართული პროდუქტისა და მომსახურების ექსპორტზე საზღვარგარეთის ბაზრებზე.
- პასუხისმგებელი ბიზნესსაქმიანობის/მდგრადობის საკითხების შეტანა სხვა ქვეყნებთან დადებულ კომერციულ შეთანხმებებში.
- კომპანიებისთვის CSR-ის/პასუხისმგებელი ბიზნესის ეროვნული სერტიფიცირების სქემის შექმნა, სადაც ყურადღება გამახვილებული იქნება საექსპორტო ბაზრებზე და რომლის მიზანიც იქნება საქონელსა და მომსახურებებში მდგრადობის ატრიბუტების წარმოჩენა. ბრენდის „დამზადებულია საქართველოში“ დაკავშირება მდგრადობასთან/ CSR-თან.
- ინიციატივები, რომელთა მიზანიც იქნება ხელისუფლების, მთავრობის მხრიდან „მაგალითის მიცემა“. ამ მიზნით შეიძლება შეიქმნას სამუშაო ჯგუფები სახელმწიფო საწარმოებისთვის, მათი ცნობიერების ასამაღლებლად, ინფორმაციისა და საუკეთესო გამოცდილების გასაზიარებლად და პასუხისმგებელ ბიზნესსაქმიანობაზე/ CSR-ზე მათი სტრატეგიებისა და მიდგომების გამოსაქვეყნებლად. აქ შეიძლება შედიოდნენ სახელმწიფო კომპანიები ისეთი მნიშვნელოვანი სექტორებიდან, როგორიცაა რკინიგზა, ფოსტა, ტელეკომუნიკაციები, ჯანდაცვა და სხვ.
- ქმედებები პასუხისმგებელი ბიზნესსაქმიანობის წასახალისებლად ქალაქის დონეზე – ქალაქების წახალისება, მოაწყონ ფორუმები, სადაც თავს მოიყრიან ბიზნესკომპანიები და იმსჯელებენ მდგრადობასთან დაკავშირებული კონკრეტული საკითხების გადაწყვეტაზე, როგორებიცაა, მაგალითად, ნარჩენები/ნაგავი, მიტოვებული ობიექტები და სხვ.
- ქმედებები კორპორაციული შემოწირულობების და კორპორაციული მოხალისეობის ხელშესაწყობად, მაგალითად, მოხალისეობის ეროვნული დღის შემოღება, სადაც შეიკრიბებიან სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლები და სხვადასხვა ზომის კომპანიები. შემოწირულობის მოცულობისა და მოხალისეობრივი სამუშაოს საათების აღრიცხვა შეიძლება სტიმული გახდეს სხვებისთვის, რომ მსგავს საქმიანობას მათაც მიმართონ, ბიზნესში, ამ საკითხში, გაჩნდეს კონკურენცია და გაიზარდოს ზეგავლენა. ასეთივე მიდგომების გამოყენება შეიძლება სამუშაო ადგილის კეთილმოწყობის, სამუშაო ადგილზე მრავალფეროვნებისა და ინკლუზიის, გარემოსდაცვითი

საუკეთესო პრაქტიკის წასახალისებლად. მაგალითად, ასეთი შეიძლება იყოს სამსახურში საზოგადოებრივი ტრანსპორტით მისვლის ეროვნული დღე და სხვ.

- გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებისა და ამ მიზნების მისაღწევად ბიზნესის როლის წინ წამოწევა „SDG ჩემპიონების“ და სხვა მსგავსი ინიციატივების საშუალებით, ბიზნესისთვის გზის ჩვენება და ბიზნესის წვლილის აღიარება მდგრადი განვითარების დღის წესრიგში.

დამოწმებული ლიტერატურა

I. შესავალი

International Organization for Standardization (2010), ISO 26000: Guidance on Social Responsibility

OECD (2011), OECD Guidelines for Multinational Enterprises.

United Nations (2011) Guiding Principles on Business and Human Rights

Communication from the commission: A renewed EU strategy 2011-14 for Corporate Social Responsibility. Brussels, 25.10.2011 COM(2011) 681 final

II. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა (CSR): გლობალური და ადგილობრივი კონტექსტი

თავი 1

Carroll, A. B., The pyramid of corporate social responsibility: Toward the moral management of organizational stakeholders. Business Horizons, 1991, 34(4), 39-48

თავი 2

Carroll, A.B. A History of Corporate Social Responsibility: Concepts and Practices, In book: The Oxford Handbook of Corporate Social Responsibility, Chapter 2, 2008

Banerjee, S. B., Iyer, E. S., & Kashyap, R. K. (2008). Corporate social responsibility: A review and conceptual framework. Journal of business ethics, 87(S1), 129-143

Flammer, C. (2017). Does Corporate Social Responsibility Lead to Superior Financial Performance? A Regression Discontinuity Approach. Management Science, 63(11), 3570-3584

World Commission on Environment and Development. (1987). Our Common Future. Oxford University Press

Kolk, A. (2016). The social responsibility of international business: From ethics and the environment to CSR and sustainable development. Journal of World Business, 51(1), 23-34

თავი 3

Burritt, R. L., & Schaltegger, S. (2019). Sustainable entrepreneurship and accounting: A synthesis. Accounting, Auditing & Accountability Journal, 32(5), 1295-1329

Luo, X., & Bhattacharya, C. B. (2019). Corporate social responsibility, customer satisfaction, and market value. Journal of Marketing, 83(5), 1-20

Fassin, Y., Van Rossem, A., & Buelens, M. (2015). Small-business owner-managers' perceptions of business ethics and CSR-related concepts. Journal of Business Ethics, 127(3), 531-545.

Kim, Y., Lee, H., & Noh, M. (2015). The impact of corporate social responsibility on consumer trust: The case of organic food. Journal of Food Products Marketing, 21(6), 683-697

Masuda, A. D., Takahashi, R., & Hashimoto, H. (2020). Drivers of corporate social responsibility activities in Japan: A comparison between large and small- and medium-sized enterprises. Corporate Social Responsibility and Environmental Management, 27(6), 2652-2665.

Shetty, A. (2016). Corporate social responsibility in Asia: A systematic review of the literature. Journal of Management and Sustainability, 6(3), 51-64

Ritthiruangdej, P. (2018). Corporate social responsibility practices in Thailand: A content analysis of company websites. Kasetsart Journal of Social Sciences, 39(2), 225-232

KPMG. Sustainable Insight: The Corporate Reporting Landscape, 2020.

Welford, R. (2004). Corporate social responsibility in Europe, North America, and Asia: 2004 survey results. Business for Social Responsibility

Assessment of corporate social responsibility performance and state promotion policies: a case study of the Baltic States, Journal of Business economics and management, Vilnius: VTGU Publ. House "Technika", ISSN 2029-4433, ZDB-ID 2400520-4. - Vol. 21.2020, 4, p. 1203-1224

თავი 4

EU Commission webpage: Corporate sustainability due diligence

Directive (EU) 2022/2464 of the European Parliament and of the Council of 14 December 2022 amending Regulation (EU) No 537/2014, Directive 2004/109/EC, Directive 2006/43/EC and Directive 2013/34/EU, as regards corporate sustainability reporting, Official Journal of the European Union, 16.12.2022

Corporate sustainability reporting: Corporate sustainability reporting

თავი 5

Thatcher, A and Yeow P. Human factors for a sustainable future, 2016

Raworth, K., A Safe and Just Space for Humanity Oxfam Discussion Paper, February 2012

თავი 6

საქართველოს მთავრობის დადგენილება N 551, 2016 წლის 13 დეკემბერი, ადამიანის უფლებების უწყებათაშორისი საბჭოს დებულება, მუხლი 3.

საქართველოს მთავრობის დადგენილება N338, 2016 წლის 21 ივლისი, ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა.

საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა.

საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია 2022-2030 წლებისთვის.

საქართველოს მთავრობის დადგენილება N400, 2014 წლის 17 ივნისი, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის „საქართველო 2020“ დამტკიცებისა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე.

საქართველოში სახელმწიფო საწარმოთა კორპორაციული მართვის პრაქტიკების შესახებ ანგარიშში, გვ. 24-40, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, 2021.

ლელა ხოფერია, ელენე ჩხეიძე, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სახელმძღვანელო მცირე და საშუალო კომპანიებისთვის, 2018, CSRDG, გვ. 15.

III. საქართველოში კორპორაციული პასუხისმგებლობის მხარდამჭერი სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები

თავი 1.1

National Action Plan for Corporate Social Responsibility in the Czech Republic 2016-2018, გვ. 17.

Ireland's National Action Plan on Corporate Social Responsibility 2017-2020, გვ. 10

National Strategy for Corporate Social Responsibility – Action Plan for CSR – of the German Federal Government, 2010, გვ. 4.

უკრაინის 2020 წლის სამოქმედო გეგმა, გვ. 3.

თავი 1.2

European Commission, Directorate-General for Employment, Social Affairs and Inclusion, *EU Multi-Stakeholder Forum on Corporate Social Responsibility : CSR EMS Forum*, Publications Office, 2004.

უკრაინის 2020 წლის სამოქმედო გეგმა.

National Strategy for Corporate Social Responsibility – Action Plan for CSR – of the German Federal Government, 2010.

National Strategy for Corporate Social Responsibility – Action Plan for CSR – of the German Federal Government, 2010.

Ireland's National Action Plan on Corporate Social Responsibility 2017-2020.

National Action Plan for Corporate Social Responsibility in the Czech Republic 2016-2018.

Spanish Strategy for Corporate Social Responsibility, 2014-2020.

Nordic Strategy for Corporate Social Responsibility, 2012.

ინფორმაცია უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოების შესახებ.

თავი 1.3

The Federal Government of Germany (2017) National Action Plan Implementation of the UN Guiding Principles on Business and Human Rights 2016–2020.

Ireland's National Action Plan on Corporate Social Responsibility 2017-2020, https://enterprise.gov.ie/en/publications/publication-files/towards-responsible-business-ireland's-national-plan-csr-2017-2020.pdf.

თავი 2.1

საქართველოს ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმა (2022), საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (2022) ბიზნესის სექტორი საქართველოში, სტატისტიკური პუბლიკაცია.

Citizens Information (2023), Supports for businesses going green.

Environmental taxes, reliefs and schemes for businesses, GOV.UK, Accessed 08.04.2023

Global Compact Network Georgia (2020) Private Sector Contribution to Georgia's 2020 Voluntary National Review on Sustainable Development Goals

OECD (2020), Taxation and Philanthropy, OECD Tax Policy Studies, No. 27, OECD Publishing, Paris.

Sustainable Energy Authority of Ireland (2023), Accelerated Capital Allowance.

თავი 2.2

Charles Baah, Yaw Agyabeng-Mensah, Ebenezer Afum, Caleb Amankwaa Kumi, Do circular economy practices accelerate CSR participation of SMEs in a stakeholder-pressured era? A network theory perspective, Journal of Cleaner Production, Volume 394, 2023, 136348, ISSN 0959-6526.

Solon Magrizos, Eleni Apospori, Marylyn Carrigan, Rosalind Jones, Is CSR the panacea for SMEs? A study of socially responsible SMEs during economic crisis, European Management Journal, Volume 39, Issue 2, 2021, Pages 291-303, ISSN 0263-2373.

Spanish Strategy for Corporate Social Responsibility, 2014-2020.

Ireland's National Action Plan on Corporate Social Responsibility 2017-2020.

National Action Plan for Corporate Social Responsibility in the Czech Republic 2016-2018.

Erhan Boğan, Bekir Bora Dedeoğlu, The influence of corporate social responsibility in hospitality establishments on students' level of commitment and intention to recommend, Journal of Hospitality, Leisure, Sport & Tourism Education, Volume 25,2019, 100205, ISSN 1473-8376.

Nor Hadi, Udin Udin, Testing the Effectiveness of CSR Dimensions for Small Business Entrepreneurs, Journal of Open Innovation: Technology, Market, and Complexity, Volume 7, Issue 1, 2021, 6, ISSN 2199-8531.

Nathaly Aya Pastrana, Krishnamurthy Sriramesh, Corporate Social Responsibility: Perceptions and practices among SMEs in Colombia, Public Relations Review, Volume 40, Issue 1, 2014, Pages 14-24, ISSN 0363-8111.

Italy National Action Plan on CSR 2012-2014, Dr. ssa Maria Benedetta Francesconi, Ministry of Economic Development, General Directorate for Industrial Policy and Competitiveness.

თავი 2.3

საქართველოში სახელმწიფო საწარმოთა კორპორაციული მართვის პრაქტიკების შესახებ ანგარიშში, გვ. 24-40, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, 2021.

მაისურაძე და სხვები, სახელმწიფო საწარმოები საქართველოში (არსებული სამართლებრივი რეგულირება, გამოწვევები და რეკომენდაციები), 2018, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

სახელმწიფო საწარმოები საქართველოში და მათი ეფექტიანობა.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (2015) სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული საწარმოების გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება.

საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო (2016) საქართველოს სახელმწიფო საწარმოები: გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება და კორუფციის პრევენცია.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია) და ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) 2016, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოების მართვა, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება საქართველოში.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური (2015) სახელმწიფო საწარმოების მართვის და განკარგვის ეფექტიანობის აუდიტი.

Maisuradze, Davit, Narmania, Giorgi, Lazishvili, Magda, Tkeshelashvili, Mariam and Shakiashvili, Irakli. "Is Corporate Social Responsibility (CSR) a New Alternative to Governance Challenges of State-Owned Enterprises (SOEs)?" Central European Journal of Public Policy, vol.14, no.2, 3920, გვ. 40-42.

საქართველოში სახელმწიფო საწარმოთა კორპორაციული მართვის პრაქტიკების შესახებ ანგარიშში, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, 2021.

OECD-ის სახელმწიფო საწარმოების კორპორაციული მართვის გზამკვლევი, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD), 2015.

თავი 2.4

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (2020), საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია – 2021-2025 წლებისთვის.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (2023), საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის 2021-2025 წლების სტრატეგია, 2022 წლის სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიში.

საქართველოს ეროვნული ბანკი (2022), მდგრადი დაფინანსების ტაქსონომია.

European Council (2019), European Green Deal.

Federal Ministry for Economic Affairs and Energy (2021), Towards a sustainable economy, Second report on sustainability.

OECD (2020), SME Policy Index: Eastern Partner Countries 2020.

თავი 2.5

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო (2023), 2022 წლის საქმიანობის ანგარიში.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, მდგრადი საჯარო შესყიდვების (SPP) კონცეფცია, მოძიებულია 04.08.2023

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, SPP_მოკლე მიმოხილვა, მოძიებულია 04.08.2023

EU4Environment (2021), არსებული ეკო–მარკირების სისტემების შეფასება საქართველოში

EU4Environment (2023), მდგრადი საჯარო შესყიდვების კუთხით განხორციელებული რეფორმები და პრაქტიკა საქართველოში.

EU4Environment (2023), საქართველოს მდგრადი საჯარო შესყიდვების სახელმძღვანელო.

OECD(2015), Going Green: Best Practices for Sustainable Procurement.

OECD, 2023, Green Public Procurement.

OECD (2019), Public Procurement in Germany, OECD Public Governance Reviews.

თავი 3.1

Robert L. Heath, Damion Waymer, University Engagement for Enlightening CSR: Serving Hegemony or Seeking Constructive Change, Public Relations Review, Volume 47, Issue 1, 2021, 101958, ISSN 0363-8111.

K. Ceulemans, M. De Prins, Teacher's manual and method for SD integration in curricula, Journal of Cleaner Production, Volume 18, Issue 7, 2010, Pages 645-651, ISSN 0959-6526.

Francisca Castilla-Polo, Ana Licerán-Gutiérrez, M. del Consuelo Ruiz-Rodríguez, The adoption of corporate social responsibility active learning methodology with management accounting students, The International Journal of Management Education, Volume 20, Issue 1, 2022, 100613, ISSN 1472-8117.

Helin Sun, Jia Zhu, Tao Wang, Yue Wang, MBA CEOs and corporate social responsibility: Empirical evidence from China, Journal of Cleaner Production, Volume 290, 2021, 125801, ISSN 0959-6526.

Fabio Pizzutilo, Elisabetta Venezia, On the maturity of social responsibility and sustainability integration in higher education institutions: Descriptive criteria and conceptual framework, The International Journal of Management Education, Volume 19, Issue 3, 2021, 100515, ISSN 1472-8117.

National Strategy for Corporate Social Responsibility – Action Plan for CSR – of the German Federal Government, 2010.

უკრაინის 2020 წლის სამოქმედო გეგმა (On approval of the action plan for the implementation of the Concept of implementation of state policy in the field of promoting the development of socially responsible business in Ukraine for the period up to 2030).

Spanish Strategy for Corporate Social Responsibility, 2014-2020.

National Action Plan for Corporate Social Responsibility in the Czech Republic 2016-2018.

თავი 3.2.

Vishwanathan, Pushpika & Oosterhout, Hans & Heugens, Pursey & Duran, Patricio & Essen, Marc. (2019). Strategic CSR: A Concept Building Meta-Analysis. Journal of Management Studies. 10.1111/joms.12514.

Spanish Strategy for Corporate Social Responsibility, 2014-2020.

უკრაინის 2020 წლის სამოქმედო გეგმა (On approval of the action plan for the implementation of the Concept of implementation of state policy in the field of promoting the development of socially responsible business in Ukraine for the period up to 2030).

Ireland's National Action Plan on Corporate Social Responsibility 2017-2020.

National Action Plan for Corporate Social Responsibility in the Czech Republic 2016-2018.

National Strategy for Corporate Social Responsibility – Action Plan for CSR – of the German Federal Government, 2010.

Italy National Aciton Plan on CSR 2012-2014, Dr. ssa Maria Benedetta Francesconi, Ministry of Economic Development, General Directorate for Industrial Policy and Competitiveness.

თავი 3.3

National Strategy for Corporate Social Responsibility – Action Plan for CSR – of the German Federal Government, 2010.

Spanish Strategy for Corporate Social Responsibility, 2014-2020.

Ireland's National Action Plan on Corporate Social Responsibility 2017-2020.

National Action Plan for Corporate Social Responsibility in the Czech Republic 2016-2018.

თავი 3.4

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური (2021), მდგრადობის ანგარიშგების სფეროსთან დაკავშირებით, თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, მოძიებულია 09.08.2023

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური (2018), მმართველობის ანგარიშგების სახელმძღვანელო.

საქართველოს ეროვნული ბანკი (2023), მდგრადი დაფინანსების ანგარიში, 2022.

საქართველოს ეროვნული ბანკი (2023), გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) საკითხების ანგარიშგება და გამჟღავნება.

საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (2016), საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ"

ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური (2023), 2023-2026 წლების სტრატეგია.

CSR ჰაბი (2023), კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ძირითადი საკითხები, გამჭვირვალობა და ანგარიშგება.

GRI (2021), A Short Introduction to the GRI Standards.

GRI Standards for Sustainability Reporting.

McNally, F. (2023), France adopts mandatory Say on Climate Law, Responsible Investor, მოძიებულია 09.08.2023

Official Journal of the European Union (2022), Directive (EU) 2022/2464 of the European Parliament and of the Council of 14 December 2022 amending Regulation (EU) No 537/2014, Directive 2004/109/EC, Directive 2006/43/EC and Directive 2013/34/EU, as regards corporate sustainability reporting, EUR-Lex.

The Federal Government of Germany (2021), German Sustainable Development Strategy.

United Nations Conference on Trade and Development (2022), Tackling the Sustainability Reporting Challenge A Policy Guide.

თავი 3.5

საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (2018), საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №215/04 - კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსის დამტკიცების თაობაზე.

საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (2021), საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №172/04 - საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისათვის კორპორაციული მართვის კოდექსის დამტკიცების თაობაზე.

საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (2023), საქართველოს პარლამენტის დადგენილება- „საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის (2022–2030 წლებისთვის)“ დამტკიცების შესახებ.

European Commission (2022), Corporate sustainability due diligence: Fostering sustainability in corporate governance and management systems.

GRI (2023), Corporate sustainability due diligence policies and sustainability reporting, A state-of-play report by the GRI Policy team.

National Bank of Georgia (2020), ESG Reporting and Disclosure Principles.

Spinaci, S. (2023), Corporate sustainability due diligence, How to integrate human rights and environmental concerns in value chains, Briefing - EU Legislation in Progress, European Parliament.

თავი 3.6

საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (2018), ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2018-2020 წლებისთვის) დამტკიცების შესახებ.

საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (2023), საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის (2022–2030 წლებისთვის) დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (2007), ურთიერთკავშირის დამყარება: ანგარიშგების გლობალური ინიციატივის სახელმძღვანელო მითითებები და გაეროს გლობალური შეთანხმების ანგარიში მიღწეული შედეგების შესახებ, United Nations Global Compact Office.

CSR ჰაბი, კორპორაციული პასუხისმგებლობის საერთაშორისო სტანდარტები.

EITI, Countries: Global implementation of the EITI Standard, მოძიებულია 11.08.2023.

GRI (2021), A Short Introduction to the GRI Standards.

International Organization for Standardization (2010), ISO 26000: Social responsibility.

Ministry of Foreign Affairs of the Netherland (2018), Government policy to stimulate international responsible business conductz.

OECD (2011), OECD Guidelines for Multinational Enterprises.

United Nations (2011) Guiding Principles on Business and Human Right.

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

იოველ ჯეგაშვილის I გასასვლელი, N5, 0177ზ. თბილისი, საქართველო

office@csrdg.ge

(99532) 2 30 90 19

www.csrdg.ge

www.csrgeorgia.com